



თბილისის ჰუმანიტარული
სასწავლო უნივერსიტეტი

შრომათა კრებული

COLLECTED PAPERS

Tbilisi Humanitarian
Teaching University

1, 2022

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო

უნივერსიტეტის შრომათა კრებული

ჟურნალში იბეჭდება სოციალურ-ეკონომიკური, ფინანსური, საერთაშორისო ურთიერთობების, ტურიზმის, სამართლის, ჯანდაცვისა და ეკოლოგიის აქტუალური საკითხები.

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. ამასთან, მისი პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის მოსაზრებებს.

აკრძალულია ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამრავლება და გავრცელება კომერციული მიზნებისათვის.

Collected Papers of Tbilisi Humanitarian University

Current issues of socio-economic, financial, international relations, tourism, law, healthcare and ecology are published in the journal.

Each author is responsible for the accuracy of the article in this journal. His/her position may not coincide with the opinions of the editorial board.

Reproduction on distribution of the materials published in this journal for commercial purposes is strictly prohibited.

გამომცემლობა „დანო“

ISBN 978-9941-8-5219-0

სარედაქციო კოლეგია

ვალენტინა საყვარელიძე

დოქტორი, პროფესორი,
თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი

ილონა საყვარელიძე

დოქტორი, პროფესორი,
თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო
უნივერსიტეტი

მარინე შავლაყაძე

დოქტორი, ასოც. პროფესორი
კვლევებისა და განვითარების
ცენტრის ხელმძღვანელი,
თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო
უნივერსიტეტი

მაია მელაძე

ასოც. პროფესორი,
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი;
უფროსი სპეციალისტი,
თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო
უნივერსიტეტი;

ლია ჭილაშვილი

დოქტორი, პროფესორი,
თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო
უნივერსიტეტი

ნონა გელიტაშვილი

დოქტორი, პროფესორი,
თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო
უნივერსიტეტი

ირინე არჯვანიძე

დოქტორი, პროფესორი,
თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო
უნივერსიტეტი

ნინო აბაიშვილი

დოქტორი, ასოც. პროფესორი,
თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო
უნივერსიტეტი

ზურაბ ბარათაშვილი

დოქტორი,
საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემია

ჯერზი ვებერი

დოქტორი, პროფესორი,
ვროცლავის გარემოსდაცვისა
და სიცოცხლის შემსწავლელ
მეცნიერებათა უნივერსიტეტი,
ნიადაგმცოდნეობის, მცენარეთა
კვებისა და გარემოს დაცვის
ინსტიტუტი

ირმინა კიაშვილი

დოქტორი, პროფესორი,
ვროცლავის გარემოსდაცვისა
და სიცოცხლის შემსწავლელ
მეცნიერებათა უნივერსიტეტი,
ნიადაგმცოდნეობის, მცენარეთა
კვებისა და გარემოს დაცვის
ინსტიტუტი

სარჩევნი

ჰუმანიტარული მეცნიერებები

- 7** ბედნიერების განცდის ფსიქოლოგიური ასპექტები
ლია ქურხული, ნათია არჩვაძე
- 15** განმავითარებელი შეფასება და სტუდენტთა წარმატება
იანინა გიგიბერია, ლია ქურხული
- 20** ანთროპოლოგიური ლინგვისტიკა
ეკატერინე მარუაშვილი
- 25** სუიციდური ქცევა და სკორტი მოზარდებში
აბა რევიშვილი
- 32** ტექსტოლოგიური მუშაობა XIX საუკუნის საქართველოში
ირინე არჭევანიძე
- 38** კონცეპცია მეხსიერების პროცესის ნეიროანატომიური და
ნეიროფიზიოლოგიური ბუნების შესახებ
ნინო ორმოცაძე

სოციალური მეცნიერებები

- 48** მაღალკვალიფიციური თანამშრომლების მიგრაცია
ნონა გელიტაშვილი
- 58** კირდაკირი უცხოური ინვესტიციების როლი და გავლენა
ეკონომიკის განვითარებაზე კანდემიის დროს, ხედვა
მომავლისკენ
თამარ საჭაია, ნატო გეგენავა
- 65** მწვანე ეკონომიკის და მწვანე ბიზნესის როლი ცხოვრების
დონის გაუმჯობესებაში
ნუნუ აჩუაშვილი

სარჩევნი

- 71 სამხედროთა კიროვნული ნიშან-თვისებები ეკატერინე სულუხია
- 77 საბანკო საქმიანობის სრულყოფის აქტუალური საკითხები ბესარიონ ნაყოფია
- 87 ოჯახის, ქორწინებისა და ნიშნობის დეფინიციის სამართლებრივი საფუძვლები ღია ქილაშვილი

მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებები

- 102 ადაპტაციური პროცესების ზოგიერთი მექანიზმები მარიამ გაგნიძე
- 108 მემკვიდრეობითი მიკროსფეროციტოზის სადიაგნოზო ტესტები ციური ერაძე, მანანა დოლაბერიძე

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- 121 ქლორპირიფოს უმცველი კესტიციდებით დაბინძურებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ნიადაგის ბიორემედიაციისთვის გამოყენებული კვლევის თანამედროვე მეთოდები მარინე შავლაყაძე, გიორგი ნატროშვილი, ლევან იტრიაშვილი, კახა დიდებულისძე, ანა გუჯაბიძე

ჰუმანიტარული მეცნიერებები

PSYCHOLOGICAL ASPECTS OF THE FEELING OF HAPPINESS

Lia Kurkhuli
E-mail:
kurkhulilia@yahoo.com

Natia Archvadze
E-mail:
nati23nati@yahoo.com



Lia Kurkhuli

*Doctor of Psychology,
Tbilisi Humanitarian Teaching University, Associate Professor*

Natia Archvadze

Tbilisi Humanitarian Teaching University, Affiliate Assistant

ABSTRACT

Happiness has been the topic of interest since the time of Aristotle. By that time attention was paid on two major aspects: Hedonia and Eudamonia.

The science of psychology, in the early stages of its emergence, sidestepped the topic of happiness, and the most research resources were spent on traumatized and mentally ill individuals. Later, modern psychology expanded its interest and began to identify the causes of a number of factors that directly or indirectly affected an individual's happiness. Recent studies have shown that the strongest sense of happiness is achieved through the implementation of prosocial behavior. It is also noteworthy that money brings happiness to a person to some degree, and then it can not have a significant impact on the well-being of the individual.

Finally, it can be said that happiness is still a „product of thought“ and its feeling depends largely on a person's inner feelings, thoughts and perception of the world.

KEYWORDS

Happiness, Hedonia, Eudaimonia, Prosocial Behavior, Positive Psychology

ბედნიერების განცდის ფსიქოლოგიური ასპექტები

ლია ქურხული
ე. ფოსტა:
kurkhulia@yahoo.com

ნათია არჩვაძე
ე. ფოსტა:
nati23nati@yahoo.com



ლია ქურხული

ფსიქოლოგიის დოქტორი,
საქართველოს ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის
ასოციირებული პროფესორი

ნათია არჩვაძე

საქართველოს ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის
აფილირებული ასისტენტი

აბსტრაქტი

ბედნიერების თემით ჯერ კიდევ არისტოტელეს დროიდან ინტერესდებოდნენ. ამ პერიოდისათვის მისი შესწავლის ქვაკუთხედს ორი ძირითადი ასპექტი წარმოადგენდა: ჰედონია და ევდამონია.

ფსიქოლოგიის მეცნიერება, თავისი აღმოცენების საწყის ეტაპზე ბედნიერების თემას გვერდს უვლიდა და მისი კვლევების რესურსების მთელი წილი ტრავმირებული და ფსიქიკური აშლილობით დაავადებული პიროვნებების შესწავლაზე იხარჯებოდა. მოგვიანებით თანამედროვე ფსიქოლოგიამ უფრო გააფართოვა თავისი ინტერესის თვალსაწიერი და დაიწყო იმ რიგ ფაქტორთა მიზეზების დადგენა, რომლებიც ინდივიდის ბედნიერებაზე პირდაპირ თუ ირიბად ზემოქმედებდნენ. უახლოეს პერიოდში ჩატარებული კვლევების მიხედვით დადგინდა, რომ ბედნიერების ყველაზე მძაფრი განცდა პროსოციალური ქცევის განხორციელების შედეგად მიიღწევა. საგულისხმოა ასევე, რომ ფულს, პიროვნებისთვის რალაც ეტაპამდე ბედნიერება მოაქვს, შემდეგ კი მას ინდივიდის კეთილდღეობაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა არ შეუძლია.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ბედნიერება, მაინც „ფიქრის პროდუქტია“ და მისი შეგრძნება დიდწილად ადამიანის შინაგან განცდებზე, ფიქრებსა და სამყაროსადმი მის აღქმაზეა დამოკიდებული.

საკვანძო სიტყვები

ბედნიერება, ჰედონია, ევდამონია, პროსოციალური ქცევა, პოზიტიური ფსიქოლოგია

ყველას სურვილი და მიზანია იყოს ბედნიერი, თუმცა თითოეულ მათგანში მისი აღქმის კრიტერიუმები ინდივიდუალური და განსხვავებულია – ზოგიერთისთვის ძვირად ღირებული მანქანაა ბედნიერების მომტანი, ზოგი კი მცირედითაც კმაყოფილდება და საყვარელ ადამიანთან ხელი-ხელ ჩაკიდებული სიარული ანიჭებს ბედნიერებას. რა არის ბედნიერება და საიდან მოდის ის? ბედნიერება სტატიკური გრძნობაა თუ ცვალებადი? არის თუ არა შესაძლებელი, პიროვნებამ ერთხელ მიაღწიოს ბედნიერების უმაღლეს დონეს და მთელი ცხოვრება შეინარჩუნოს ის? ეს კითხვები ყოველთვის აქტუალური იყო საზოგადოებისათვის.

ყველაზე დიდი შეცდომა, რაც ბედნიერების მაძიებელ ადამიანებს დაუშვიათ, საკუთარი თავის გარეთ ბედნიერების ძიებაა, რაც მათ მატერიალურ ჰედონიზმსა და სხვებთან გაჯიბრების მუდმივ მისწრაფებაში გამოიხატება; თანამედროვე პირობებში კი ცხოვრების ტემპი ისეა აჩქარებული, რომ მათში სიამოვნების განცდა მინავლებულია და არც თუ იშვიათად მადლიერების გრძნობაც გამქრალია. ბედნიერება სტატიკური გრძნობა არაა და ამიტომ ის არ ექვემდებარება მარადიულობის პრინციპს. მართალია, გარემოს როლი და მნიშვნელობა ადამიანის თვითკმაყოფილებაში განუზომელია, მაგრამ ბედნიერებისათვის ასევე აუცილებელია პიროვნების შესაბამისი მზაობა. ბედნიერების განცდას სჭირდება საკუთარი ფიქრების გაცნობიერება, მათი დალაგება და პოზიტიურად გაფილტვრა. ადამიანს ფიქრის შესაბამისი ემოცია ეუფლება, „ფიქრის პროდუქტი“ კი გამოხატულებას ქცევაში ჰპოვებს.

2000 წელს ვისკონსინის (აშშ) უნივერსიტეტის ნეირომეცნიერებმა მედიტირებული ბუდისტი ბერის მეთურ რიკარდის ტვინის სკანირების შედეგად დაადგინეს, რომ მას ბედნიერების უმაღლესი ხარისხი ჰქონდა. აღნიშნულის გამო ბერმა „მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი კაცის“ ტიტული მოიპოვა. რიკარდის განმარტებით, ადამიანის ბედნიერება პირველ რიგში განპირობებულია მისი „კეთილმოსურნეობით“; როდესაც მას არ აწუხებს სიძულვილი, ობსესიური სურვილები, ეჭვიანობა და ამპარტავნება.

ზოგადად, ბედნიერება პოზიტიური ემოციური მდგომარეობაა, რომელიც ადამიანმა შესაძლოა სხვადასხვა საქმიანობიდან მიიღოს. სიამოვნება, კომფორტი, მადლიერება, იმედი, ინსპირაცია – პოზიტიური ემოციების ის მაგალითებია, რომლებიც ადამიანში ბედნიერების გრძნობის გაღვივებას უწყობენ ხელს.

არისტოტელეს დროიდან მოყოლებული, ბედნიერების განმარტებისას გამოყოფდნენ ორ ძირითად ასპექტს: ჰედონიას (სიამოვნებას) და ევდამონიას (განცდას, რომ ადამიანი ცხოვრებას კარგად ატარებს) (Kringelbach & Berridge, 2010).

ჰედონიური სიხარული დაკავშირებულია ბედნიერებისა და სიმშვიდის განცდასთან (Ryan & Deci, 2001). სამეცნიერო ლიტერატურაში ბედნიერება მოიხსენიება, როგორც ჰედონია (Ryan & Deci, 2001), რაც ნიშნავს პოზიტიური ემოციების არსებობას და ნეგატიური ემოციების არარსებობას. ჰედონიური ფსიქოლოგია ადამიანის კეთილდღეობას განიხილავს როგორც სიამოვნებას ტკივილის წინააღმდეგ კონტექსტში. აღნიშნული ფსიქოლოგიის მიხედვით პიროვნების კეთილდღეობა (ბედნიერება) შედგება 3 კომპონენტისაგან:

1. ცხოვრებით კმაყოფილება;
2. პოზიტიური განწყობის არსებობა;
3. უარყოფითი განწყობის არარსებობა (Ryan & Deci, 2001).

არისტოტელეს აზრით, იმის გამო, რომ ადამიანს განსჯის უნიკალური შესაძლებლობა აქვს, ის მარტო სიამოვნების განცდით ვერ აღწევს სრულყოფილ ბედნიერებას. ცხოველების შემთხვევაში მათი მამოძრავებელი ძალა სიამოვნების განცდაშია. ადამიანებს კი ცხოველებზე უფრო მეტი უნარი გააჩნიათ და შესაბამისად, მეტი რამ სჭირდებათ ბედნიერებისათვის (The Pursuit of Happiness, 2018).

რაც შეეხება ევდამონიას, არისტოტელეს მიხედვით, ის „სათნობით გამოხატულ საქმიანობას“ წარმოადგენს. თანამედროვე ბედნიერების ევდამონიური თეორია, შეიძლება ითქვას, რომ მასლოუს თვითაქტუალიზაციისა და როჯერსის „სრულფასოვნად ფუნქციონირებადი პიროვნების“ (Fully functioning person) თეორიას ეფუძნება.

ევდამონიური თეორიის მიხედვით, სუბიექტური კეთილდღეობა (ბედნიერება) ევდამონიური მიზნების დასახვით მიიღწევა (Norrish & Vella-Brodrick, 2008).

მეცნიერებმა წლების განმავლობაში რიგი კორელაციური ფაქტორები გამოავლინეს, რომლებიც პიროვნების ბედნიერებაზე ახდენენ გავლენას. ესენია (Ryan, 2001):

1. პიროვნების ტიპი;
2. პოზიტიური ემოციები, ნეგატიურის საპირისპიროდ;
3. ატიტუდები ფიზიკურ ჯანმრთელობასთან მიმართებაში;
4. სოციალური კლასი და სიმდიდრე;
5. მიჯაჭვულობა და ურთიერთობა;

6. მიზნები და თვითეფექტიანობა;
7. დრო და ადგილი.

ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება, მისი აღმოცენების საწყის ეტაპზე ბედნიერების თემით ნაკლებად ინტერესდებოდა, ის პიროვნების ნაკლებ სასიამოვნო ცხოვრებისეულ მხარეებზე უფრო იყო ფოკუსირებული. მისი შესწავლის საგანს ადამიანის პათოლოგიური მიდრეკილებების გამოვლენა წარმოადგენდა და მთელი ყურადღება ისეთი სამეცნიერო კვლევების დაფინანსებაზე ჰქონდა გადატანილი, რომელთა ძირითად ობიექტებს მენტალური ავადმყოფობები და ფსიქიკური აშლილობების მქონე ტრავმირებული პირები წარმოადგენდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის კვლევების ჩატარებას ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების შემდგომ განვითარებაში, საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვის, ისინი არ იძლეოდნენ ინფორმაციას, თუ რა იყო საჭირო პიროვნების პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებისა და ბედნიერების მოსაპოვებლად. სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევების საფუძველზე ბედნიერების ფსიქოლოგიამ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი აღმოჩენები გააკეთა და მოგვცა საინტერესო და საგულისხმო შედეგები, კერძოდ:

► ფულმა შეიძლება იყიდოს ბედნიერება 75.000\$-მდე, ამ თანხის შემდეგ მას პიროვნების ემოციურ კეთილდღეობაზე მნიშვნელოვანი გავლენა აღარ აქვს (Kahneman & Deaton, 2010);

► ასევე ცნობილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ფულში ბედნიერება არაა, დაადასტურა მასშტაბურმა სოციოლოგიურმა კვლევამ, რომელიც ილინოისის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ჩაატარეს. მათ გააანალიზეს სააგენტო Gallup-ის პირველი მსოფლიო

გამოკითხვა, რომელშიც ასე ათასზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. კვლევამ საბოლოო ჯამში დაადასტურა, რომ ფული მათ მფლობელს თავდაჯერებულობას ანიჭებს, თუმცა ბედნიერების განცდის ყიდვის შესაძლებლობას არ აძლევს. შესაბამისად, ბედნიერად შეიძლება იგრძნოს თავი როგორც მდიდარმა, ისევე მცირე შემოსავლის მქონე ადამიანებმა. პოზიტიური ემოციები, როგორცაა სიხარული და სიამოვნება, გაცილებით მჭიდროდაა დაკავშირებული არა ფულთან, არამედ ისეთ ფაქტორებთან, როგორცაა პატივისცემისა და დამოუკიდებლობის განცდა. პოზიტიური ემოციის წყაროა ასევე მეგობრები და სამსახური, რომელიც ადამიანს კმაყოფილების გრძნობას ანიჭებს;

► ჩვენი ბედნიერება უმეტესად განპირობებულია არა გენეტიკით, არამედ ჩვენი გამოცდილებებითა და ყოველდღიური ცხოვრებით (Lyubomirsky, Sheldon, & Schkade, 2005);

► გადაჭარბებულმა მცდელობამ, რომ პიროვნებამ ბედნიერება იპოვოს, შეიძლება საპირისპირო ეფექტი გამოიწვიოს და ადამიანში ზედმეტი ეგოისტური მიდრეკილებები გააღვივოს (Mauss et al., 2012);

► კვლევებმა აჩვენეს, როდესაც პიროვნება ბედნიერებას სოციალური ურთიერთობების საშუალებებით ეძიებს (როგორცაა, მაგალითად, ოჯახთან და მეგობრებთან მეტი დროის გატარება), ეს ქმედება უფრო ეფექტურ შედეგს იძლევა, ვიდრე სხვა მეთოდები (Rohrer, Richter, Brümmer, Wagner, & Schmukle, 2018);

► ბედნიერება ხელს უწყობს კარიერულ წინსვლასაც. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ხშირი პოზიტიური ემოცია, სამსახურში საქმიანობის

უკეთესად შესრულებას უწყობს ხელს, რაც შემდგომში შესაძლო დაწინაურებაშიც გამოიხატება (Walsh, Boehm, & Lyubomirsky, 2018);

► დაადგინეს, რომ რელიგიურ ჩართულობასა და ბედნიერებას შორის წრფივი კავშირი არსებობს. საეკლესიო მსახურებაზე ხშირი დასწრება კორელაციაშია პიროვნების რწმენასთან, რწმენა დაკავშირებულია თანაგრძნობის არსებობასთან. ადამიანები, რომლებსაც თანაგრძნობის გამოხატვა შეუძლიათ, ხშირად სხვების მიმართ ემოციურ მხარდაჭერას იჩენენ და დიდი ალბათობით უფრო ბედნიერებიც არიან (Krause, Ironson, & Hill, 2018).

აღსანიშნავია, რომ პროსოციალური ქცევა იმის წინაპირობაა, რომ ადამიანმა თავი ბედნიერად იგრძნოს. ერთ-ერთი ბოლო კვლევის თანახმად, რომელიც კატრინ ნელსონ-კოფი (Katherine Nelson-Coffey) და მისმა კოლეგებმა გამოაქვეყნეს, სწორედ პროსოციალურ ქცევასა და ბედნიერებას შორის კავშირს ეხებოდა. კვლევის შინაარსი შემდეგი იყო – ექსპერიმენტში მონაწილეები დაყვეს ოთხ ჯგუფად და მათ ყოველ კვირა, ოთხი კვირის განმავლობაში, ახალი დავალება ეძლეოდათ:

► პირველ ჯგუფს სთხოვეს, რომ მათ საკუთარი თავისთვის რაიმე კეთილი ქმედება განეხორციელებინათ (როგორცაა მაგალითად შოპინგი ან რაიმე ჰობით დაკავება);

► მეორე ჯგუფის მიზანი იყო, რომ მათ სხვისთვის გაეკეთებინათ რაიმე სიკეთე (როგორცაა მაგალითად მოხუცებული ნათესავის მონახულება ან საყიდლების დროს უცხოეთის ნაყიდი პროდუქტების წამოღებაში დახმარება);

► მესამე ჯგუფის დავალება იყო, რომ მათ ისეთი კეთილი ქმედება ჩაე-

დინათ, რომელიც მსოფლიოს გაუმჯობესებას შეუწყობდა ხელს (როგორცაა მაგალითად საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობა, დონაცია, გარემოზე ზრუნვა);

► მეოთხე ჯგუფის წევრებს კი უბრალოდ თავიანთი ყოველდღიური საქმიანობები უნდა აღერიცხათ.

ექსპერიმენტში მონაწილეები თავიანთ პოზიტიურ და ნეგატიურ ემოციებზე ყოველ კვირა წერდნენ ანგარიშს. ექსპერიმენტის დასაწყისში და ასევე ოთხკვირიანი პერიოდის დასრულებიდან ორ კვირაში, მონაწილეებმა კითხვარი შეავსეს, რომლითაც მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა ფასდებოდა. კითხვარი ზოგადი ბედნიერების გაზომვის გარდა ფსიქოლოგიურ, სოციალურ და ემოციური კეთილდღეობის შინაარსის კითხვებს შეიცავდა.

ექსპერიმენტის შედეგები გასაცარი იყო. მონაწილეებმა, რომლებმაც პროსოციალური ქცევა განახორციელეს, მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა პოზიტივისკენ. ამ ტიპის მონაწილეების პოზიტიური ემოციები პირველი კვირიდან მოყოლებული უმჯობესდებოდა. მათში ყოველკვირეულად იზრდებოდა ბედნიერებისა და სიხარულის განცდა, რამაც კვლევის დასრულების შემდეგ მათ ზოგად ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე მოახდინა გავლენა.

თუმცა იმ ადამიანების ემოციები, რომლებიც მხოლოდ საკუთარი თავისათვის აკეთებდნენ სიკეთეს, ნეგატიური თუ პოზიტიური ემოციების კუთხით არ განსხვავდებოდნენ ექსპერიმენტში მონაწილე იმ პირებისაგან, რომლებიც უბრალოდ თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობას აღრიცხავდნენ.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანებს არ უნდა უყვარდეთ საკუთარი თავი,

არ მოახდინონ განტვირთვა ნეგატიური ემოციებისაგან, როდესაც მათ ეს სჭირდებათ, თუმცა კვლევის შედეგი ნათლად აჩვენებს, რომ ბედნიერების მაღალი მწვერვალის მიღწევა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ადამიანი პროსოციალურ ქცევას ავლენს და თავისი ქმედებებით სხვა ადამიანების მიმართ იჩენს სიკეთეს.

ფსიქოლოგიაში არსებობს ბედნიერების გასაზომი სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის ყველაზე ცნობილია – სკალები, თვითანაგარიშის მეთოდი და კითხვარები, კერძოდ, ესენია:

1. პოზიტიური გავლენისა და ნეგატიური გავლენის განრიგი (The PANAS-Positive Affect and Negative Affect Schedule);

2. ცხოვრებით კმაყოფილების სკალა (The SWLS-Satisfaction With Life Scale);

3. სუბიექტური ბედნიერების სკალა (The SHS-Subjective Happiness Scale).

ადამიანის გონება იმდენად უსაზღვრო უნარების მატარებელია, რომ მის ფიქრებზე, აზროვნებაზე, სამყაროს აღქმაზე ბევრადაა დამოკიდებული, თუ რამდენად ბედნიერად იგრძნობს ის თავს. ერთია, რას გვთავაზობს გარემო პირობები, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით და მეორეა, როგორ ვაანალიზებთ და რა სახის ინტერპრეტაციას ვაძლევთ თითოეულ მოვლენას ჩვენს ცხოვრებაში.

პოზიტიური ფსიქოლოგიის სფეროში ჩატარებული ახალი კვლევები გვიჩვენებს, რომ ფიზიკური ჯანმრთელობა, ფსიქოლოგიური კეთილდღეობა და ფსიქოლოგიური ფუნქციონირება უმჯობესდება, როდესაც ვსწავლობთ თუ როგორ ვიგრძნოთ თავი უკეთესად (Fredrickson B. L. 2000).

აღსანიშნავია, რომ ბედნიერების შეგრძნებაში პიროვნებას ხელს უშლის რიგი ფაქტორები:

► **პერფექციონიზმი** – პერფექციონიზმი ისეთ მაღალ სტანდარტებს აწესებს, რომელთა მიღწევაც შეუძლებელია ან საკმაოდ რთულია. „Perfectus“ ლათინური სიტყვაა და „აბსოლუტურ სრულყოფილებას“ ნიშნავს. პერფექციონიზმის გამო პიროვნებამ შეიძლება განიცადოს სტრესი და საკუთარი თავის მიმართ გაუჩნდეს იმედგაცრუება, რადგან ის თავისივე დადგენილ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს;

► **სოციალური შედარება** – როდესაც საქმე გვაქვს ჯანმრთელ სოციალურ შედარებასთან, მაგალითად პიროვნებას მოსწონს სხვა პიროვნების დადებითი თვისებები და ცდილობს თვითონაც გამოიმუშაოს ან გაიუმჯობესოს ანალოგიური თვისებები, ეს მას პიროვნულ ზრდაში ეხმარება. თუმცა როდესაც ადამიანი საკუთარი თავის შედარებას სხვასთან შეჯიბრის მიზნით ახდენს, ხშირად ის ამით საკუთარ მე-ს კარგავს. ამიტომ ყველაზე უმჯობესია, რომ პიროვნებამ შედარება ისევ თავის თავთან მოახდინოს და დააკვირდეს, თვითონ რამდენად უკეთესი გახდა ადრინდელთან შედარებით;

► **მატერიალიზმი** – როდესაც პიროვნება თავის ბედნიერებას გარე ფაქტორებსა და მატერიალურ სიმდიდრეს უკავშირებს, ეს შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს მისთვის, რადგან მატერიალური კეთილდღეობის დაკარგვასთან ერთად, მისი ბედნიერებაც ქრება;

► **მაქსიმიზაცია** – მაქსიმალისტები ცდილობენ რომ უფრო უკეთესი შედეგი მიიღონ მაშინაც, როდესაც უკვე კმაყოფილად გრძნობენ თავს. ამიტომ მათ უჭირთ საკუთარ ცხოვრებაში მი-

მდინარე კარგი მომენტების შეგრძნება და მიღწეულისა თუ მოპოვებულისათვის მადლიერების გრძნობის გამოხატვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ პიროვნებას სურს, რომ მისი ცხოვრება მეტი პოზიტივისკენ შეიცვალოს, ბედნიერების განცდისათვის მნიშვნელოვანია ხელისშემშლელი ფაქტორების გათვალისწინება. ერთია, თეორიული დოქტრინების წაკითხვა და მეორეა, თუ რამდენად მოახდენს პიროვნება ამ თეორიების პრაქტიკაში გადმოტანას. მთავარია, ადამიანს, რომელსაც სურს იყოს ბედნიერი, ცვლილებები პირველ რიგში საკუთარი თავიდან დაიწყოს, გაანალიზოს ყოველდღიურად – რას ფიქრობს და როგორ ფიქრობს; გაფილტროს გონებიდან ნეგატიური, სულის ამაფორიაქებელი აზრები და მეტი კონცენტრაცია იმ ყოველდღიურ პატარა პოზიტიურ მოვლენებზე მოახდინოს, რომლებიც მის ცხოვრებაში ხდება. მადლიერებისა და სიყვარულის განცდა ასევე ეხმარება ადამიანს, რომ თავი უკეთ იგრძნოს. ფაქტია, ნეგატიურ ფიქრებს პოზიტიური ცხოვრება არ მოაქვთ, ამიტომ ბედნიერებაც არჩევანია და ამ არჩევანს დამოუკიდებლად, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, პიროვნება თავად აკეთებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Carter, T. J., & Gilovich, T. (2010). The relative relativity of material and experiential purchases. *Journal of Personality and Social Psychology*, 98(1), 146.
2. Fredrickson, B. L., Mancuso, R. A., Branigan, C., & Tugade, M. M. (2000). The undoing effect of positive emotions. *Motivation and emotion*, 24(4), 237-258.
3. Hefferon, K., & Boniwell, I. (2011) *Positive Psychology: Theory, research, and applications*. Open University Press: United States.
4. Helliwell, J., Layard, R., & Sachs, J. (2013) *World Happiness Report 2013*. United Nations. Retrieved from United Nations.
5. Mohun, J. (2012) *The Economics Book*. Pages 217-219. DK Publishers: Great Britain.
6. Ryan, R. M., & Deci, E. L. (2001) On Happiness and Human Potentials: A review of research on hedonic and eudaimonic well-being. *Annual Reviews Psychology* (2001) 52:141-66.
7. Schwartz, B., Ward, A., Monterosso, J., Lyubomirsky, S., White, K., & Lehman, D. R. 2002).
8. Sheldon, K. M., & Lyubomirsky (2006). Achieving Sustainable Gains in Happiness: Change your actions, not your circumstances. *Journal of Happiness Studies* (2006) 7:55-86. Springer Publishers online.
9. Schwartz, B., Ward, A., Monterosso, J., Lyubomirsky, S., White, K., & Lehman, D. R. (2002). Maximizing versus satisficing: happiness is a matter of choice. *Journal of personality and social psychology*, 83(5), 1178.
10. Veenhoven, R. (1999) The Four Qualities of Life: Ordering concepts and measures of the good life. *Journal of Happiness Studies* 1: 1-39, 2000.

FORMATIVE ASSESSMENT AND STUDENT SUCCESS

Ianina Gigiberia
E-mail:
i.gigiberia@seu.edu.ge

Lia Kurkhuli
E-mail:
kurkhulilia@yahoo.com



Ianina Gigiberia

Doctor of Informatics, Invited Lecturer at the Georgian National University (SEU)

Lia Kurkhuli

Doctor of Psychology, Tbilisi Humanitarian Teaching University, Associate Professor

ABSTRACT

It is important to use formative assessment to maximize student opportunity. Formative assessment helps the student to receive feedback on his/her own achievements, to correct misconceptions in a timely manner, to build new knowledge and experience on the correct notions, and to increase motivation.

The formative assessment helps the lecturer on reflection of his/her own practice, to control the dynamics of student development and to improve the quality of learning-teaching. This contributes to the effectiveness of the teaching process and the building of solid knowledge by the student.

KEYWORDS

Formative assessment, Improving the quality of learning, Assessment of the learning process, Feedback

განმავითარებელი შეფასება და სტუდენტთა წარმატება

იანინა გიგიბერია
ე. ფოსტა: i.gigiberia@seu.edu.ge

ლია ქურხული
ე. ფოსტა: kurkhulia@yahoo.com



იანინა გიგიბერია

ინფორმაციის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) მოწვეული დოქტორი

ლია ქურხული

ფსიქოლოგიის დოქტორი, საქართველოს ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

სტუდენტის შესაძლებლობის მაქსიმუმის გამოვლენისათვის მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასების გამოყენება. განმავითარებელი შეფასება ეხმარება სტუდენტს საკუთარ მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირის მიღებაში, მცდარი წარმოდგენების დროულად გამოსწორებაში, ახალი ცოდნისა და გამოცდილების სწორ წარმოდგენებზე დაშენებასა და მოტივაციის ამაღლებაში.

ლექტორს განმავითარებელი შეფასება ეხმარება საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიაში, სტუდენტის განვითარების დინამიკის გაკონტროლებაში და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში. ეს ხელს უწყობს სწავლების პროცესის ეფექტურობასა და სტუდენტის მიერ მყარი ცოდნის აგებას.

საკვანძო სიტყვები

განმავითარებელი შეფასება, სწავლის ხარისხის ამაღლება, სასწავლო პროცესის შეფასება, უკუკავშირი

ახალგაზრდა თაობის კონკურენტუნარიანობისა და ქვეყნის განვითარებაში წარმატებით მონაწილეობისათვის, აუცილებელი მოთხოვნა გახდა უმაღლეს სასწავლებლებში შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის დანერგვა, რაც გულისხმობს

თითოეული სტუდენტის სწავლის პროცესზე დაკვირვებას, მისი შესაძლებლობის შესაბამისად განვითარებას, მიღწეული შედეგის კონტროლს და სასწავლო პროცესის მოდიფიცირებას.

მოგეხსენებათ, სწავლის შედეგების ხარისხი განისაზღვრება შეფასების

საშუალებით. როდესაც სტუდენტის შეფასებაში ქულა იწერება, მის მიერ მიღწეული ცოდნის დონის ფორმალური შეფასება ხდება. მაგ.: შუალედური შეფასება სტუდენტის წარმატებას ადგენს სწავლის კონკრეტულ ეტაპზე. შუალედური შეფასების ინსტრუმენტების დანიშნულებაა სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგის გაზომვა და სილაბუსით გათვალისწინებულ შედეგებთან შედარება. მიღებული ქულები სტუდენტის წარმატება-წარუმატებლობას აღნიშნავს, თუმცა, შუალედური შეფასება სწავლა-სწავლების პროცესში გამოვლენილი პრობლემების დიაგნოსტიკის საშუალებას არ იძლევა [1].

სასწავლო პროცესში სტუდენტის განვითარების დინამიკის გასაკონტროლებლად აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება სწავლის პროცესის შეფასებას დაეთმოს, რაც სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. სწავლის პროცესის შეფასება ლექტორს საკუთარი ყოველდღიური საქმიანობის რეფლექსიის შესაძლებლობას მისცემს, დასახული მიზნის მიღწევის ხარისხის კონტროლი მას საკუთარი პრაქტიკის გაანალიზებასა და უკეთესი შედეგის მიღწევის მიზნით, სწავლების პროცესის მოდიფიცირებაში დაეხმარება.

უმალეს სასწავლებლებში, სწავლების პროცესის განვითარებისათვის, ლექტორის მიერ სემინარზე, თუ პრაქტიკულ მეცადინეობაზე სტუდენტის გაგება-გააზრების პროცესზე მუდმივი დაკვირვებაა საჭირო.

მიმდინარე შეფასება, რომელიც მხოლოდ ქულებით არ გამოისახება, ემსახურება სტუდენტის პოტენციალის რეალიზებას და სწავლების პროცესის მუდმივ გაუმჯობესებას ისახავს მიზნად, რაც განმავითარებელი შეფასების

მთავარი მიზანია. ასეთი მიმდინარე შეფასება იძლევა სტუდენტის მრავალმხრივი შესწავლის საშუალებას: კერძოდ, რაში აქვს მას წინსვლა, რა არის მისი წარუმატებლობის მიზეზი, რა გზითა და საშუალებებით არის შესაძლებელი კონკრეტული სტუდენტის მიერ უკეთესი შედეგის მიღწევა (ფაქტიურად, გამოვლინდება სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები) [4].

სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია ლექტორის მხრიდან თითოეული სტუდენტისათვის მუდმივი უკუკავშირის მიწოდება: *მაგ. გამოსდის მას კახგად, ხისი გაკეთება შეუძლია უკეთ და ხოგოხ/მა გზით შეიძლება გააუმჯობესოს სტუდენტმა მიღებული შედეგი. შესაძლებელია განმავითარებელი შეფასების განსხვავებული ხერხების გამოყენება (თუმცა, ხანადახან ისინი ერთმანეთს გადაფარავენ): სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება – რუბრიკაზე დაყრდნობით და სხვა.*

შესაძლოა განმავითარებელი შეფასების სტრატეგიების სხვადასხვა ფორმით გამოყენება. მაგ.: ლექტორი სტუდენტებს უსვამს შეკითხვებს და პასუხებს აანალიზებს; ატარებს დისკუსიებს და აკვირდება; აძლევს კონკრეტული დავალებებს და ნამუშევრებს აანალიზებს; რთავს სტუდენტებს პროექტების შესრულების პროცესში და შედეგებს აანალიზებს და სხვ. მორგებული სწავლების სტრატეგიების გამოყენება სტუდენტთა სწავლის პროცესს მკვეთრად აუმჯობესებს [3].

განათლების სპეციალისტები განმავითარებელ შეფასებას განმარტავენ, როგორც პროცესს, რომელშიც პედაგოგი და სტუდენტი, ორივე მაქსიმალურადაა ჩართული, ხოლო შეფასებით მიღებული უკუკავშირი, სტუდენტთა მიერ მიღწეული შედეგების გაუმჯობესების

მიზნით, სასწავლო პროცესის გადახედვის შესაძლებლობას ქმნის [5].

განმავითარებელი შეფასება ცოცხალი და უწყვეტი პროცესია. სასწავლო პროცესზე მუდმივი დაკვირვება და შედეგების უკუკავშირისათვის გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესის მუდმივად ცვლილებისა და მოდიფიცირების შესაძლებლობას იძლევა (სტუდენტთა საჭიროებებზე მორგებულად და შესაბამისად). განმავითარებელი შეფასებისას განხორციელებული ცვლილებები ამცირებს „მანძილს“ სტუდენტის მიერ მიღწეულ შედეგს (შეძენილი ცოდნა, გამომუშავებული უნარ-ჩვევა და დამოკიდებულება) და მისაღწევ მიზანს შორის. ზოგი მკვლევარის მოსაზრებით, განმავითარებელი შეფასება მასწავლებლის იარაღია და იმის დასადგენად გამოიყენება, თუ რამდენად მოახერხა სტუდენტმა კონკრეტული საკითხის წვდომა, უნარის განვითარება და დამოკიდებულების ჩამოყალიბება. (Stuart Kahl) [2].

განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობის საყოველთაო აღიარებას ხელი შეუწყო პოლ ბლეკისა და დილან უილიამის (Paul Black & Dylan Wiliam) მიერ ჩატარებულმა კვლევებმა. კვლევის შედეგებში განმავითარებელი შეფასების უპირატესობები და მისი უფრო ფართო მასშტაბით დანერგვის საჭიროება იყო წარმოდგენილი. ნაშრომის მიხედვით, პედაგოგი ყოველდღიურ შეფასებას იმისათვის იყენებს, რომ შეამოწმოს, სტუდენტმა რამდენად სწორად გაიაზრა მასალა, რა არის ბუნდოვანი, ან რა არასწორი წარმოდგენა შეექმნა. ამის შესაბამისად იგი ცვლის ინსტრუქციას/აქტივობებს, ხოლო სწავლის პროცესი უფრო ხარისხიანი ხდება და სტუდენტიც მაღალი დონის შედეგებს აღწევს.

განმავითარებელი შეფასება წარმატებულია, თუ სასწავლო კურსის მიზანი, შინაარსი, სწავლება, შეფასების პროცედურები და შედეგები ერთმანეთთან დაკავშირებულია. აქედან გამომდინარე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ლექტორმა ისეთი უკუკავშირი უნდა შეიმუშაოს, რომელიც შეფასების შედეგებს სწავლებასა და სწავლასთან დააკავშირებს. დღეისათვის არსებული კვლევები შემდეგი დასკვნის საფუძველს იძლევა: როდესაც სტუდენტები ჩართულნი არიან მიზნების დასახვაში, ისინი კარგად აცნობიერებენ როგორც მიზნებს, ასევე ამ მიზნების მიღწევის საშუალებებსა და შეფასების კრიტერიუმებს [1].

განმავითარებელი შეფასება, ამავე დროს, სტუდენტისათვის მოტივატორიცაა – განმავითარებელი შეფასება დროულად გამოავლენს სტუდენტის მიღწევებს, რაც მის შინაგან მოტივაციას ზრდის. თუ ლექტორი სტუდენტის მცდარ წარმოდგენებს აღმოაჩენს, უკეთესი შედეგის მიღწევის მიზნით დროულად მიღებული რეკომენდაცია და სტუდენტის მხრიდან კარგი შედეგის მოლოდინი მის წახალისებას იწვევს [5].

ამგვარად, პრაქტიკულ მეცადინეობაზე ან სემინარზე, განმავითარებელი შეფასების მიზნით, საჭიროა სტუდენტის მიერ საკითხის გაგება-გააზრებაზე ლექტორის მხრიდან მუდმივი დაკვირვება. სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვისათვის კი, აუცილებელია თითოეული სტუდენტისათვის ინდივიდუალური და დროული უკუკავშირის მიწოდება, მცდარი წარმოდგენების გამოსწორება და ახალი ცოდნისა და გამოცდილების სწორ წარმოდგენებზე დაშენება. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მყარი და გრძელვადიანი ცოდნის აგებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Assessment Tools for HE Learning Environments. Supporting projects and activities in the fields of education (2017-2020).
2. CTC, Empowering People For Cheng, Skola-Lab. ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრი, სკოლა-ლაბი, განმავითარებელი შეფასება საქართველოში ეროვნული სასწავლო გეგმების მიხედვით. 2020 წ.
3. Embedded Formative Assessment : (Strategies for Classroom Assessment That Drives Student Engagement and Learning). Solution Tree. Wiliam, D. (2017)..
4. How to measure students' innovation competences in higher education: Evaluation of an assessment tool in authentic learning environments. Jani Ursin, Kari Nissinen, (2018).
5. What Teachers Really Need to Know About Formative Assessment. Laura Greenstein, (2010).

ANTHROPOLOGICAL LINGUISTICS

Ekaterine Maruashvili
E-mail:
eka.ekaaaa@gmail.com



Ekaterine Maruashvili

*Professor of Tbilisi Humanitarian Teaching University,
Doctor of Philology*

ABSTRACT

This work refers to the stylistically analysis researching different syntax levels but our producing survey may be called syntactical, because the object of our research was not dependence between words and sentence members.

In the paper we touch on sentence constructions, however the subject of our research is the members of the sentence that we will try to discuss syntactically.

KEYWORDS

Ethnolinguistic, Linguistics, Syntactical, Interdisciplinary, Dynamic, Etymology, paradigm

ანთროპოლოგიური ლინგვისტიკა

ეკატერინე მარუაშვილი
 ელ. ფოსტა:
eka.ekaaaa@gmail.com



ეკატერინე მარუაშვილი

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის
 პოლიგრაფიის, ფილოლოგიის დოქტორი

აბსტრაქტი

ეს ნამუშევარი ეხება სხვადასხვა სინტაქსური დონის შესწავლის სტილისტურ ანალიზს, მაგრამ ჩვენს კვლევას სინტაქსური შეიძლება ვუწოდოთ, რადგან ჩვენი კვლევის მიზანი არ იყო სიტყვებსა და წინადადებების წევრებს შორის დამოკიდებულების დადგენა. ნაშრომში ვხვებით წინადადების კონსტრუქციებს, თუმცა ჩვენი კვლევის საგანია წინადადების წევრები, რომლებიც შევეცდებით, სინტაქსურად განვიხილოთ.

საკვანძო სიტყვები

ეთნოლინგვისტიკა, ლინგვისტიკა, სინტაქსური, ინტერდისციპლინური, დინამიური, ეტიმოლოგია, პარადიგმა

Language is a truly fascinating and enigmatic phenomenon. The scientific discipline that aims to study it, in all its dimensions, is known as linguistics. The particular approach that studies the relation between language, thought, and culture is known as anthropological linguistics (AL). Introducing the basics of AL, is the subject matter of this textbook. Known variously as ethnolinguistics, cultural linguistics, or linguistic anthropology, AL is a branch of both anthropology and linguistics. Traditionally, anthropological linguists have aimed to document and study the languages of indigenous cultures, especially North American ones. Today, however, the purview of AL has

been extended considerably to encompass the study of language as a general cognitive and cultural phenomenon, and to determine genealogical relations among languages, so as to recreate ancient cultures through them. The field of linguistic anthropology was born in the United States and Canada at the beginning of the twentieth century as one of the four fields of North American anthropology. At first it was mainly focused on the documentation of aboriginal languages (especially in North America) and grammatical structures. Later it became more concerned with language-mediated activities and the relationship between language and context.

The first paradigm emerged with the pioneering work of Franz Boas on American Indian languages and continues today in the descriptive work of so-called „field linguists,“ who are committed to writing grammars of previously undocumented aboriginal languages around the world. This paradigm persists today in much of so-called cognitively oriented linguistics (and cognitive oriented anthropologists) especially with regard to their interest in language as a resource for the encoding of experience. With the emergence of the second paradigm, language came to be conceived of as a variable entity that is sensitive to context and at the same time structures context. The second paradigm coincides with the ethnography of communication and interactional sociolinguistics. Many of the scholars involved in the second paradigm have been influential in developing what is considered here to be a third paradigm, which has expanded and challenged previous conceptualizations of language and its role in the construction of identities, institutions, and communities. Through the development of new areas of research (e.g. language socialization) and the adoption and further elaboration of concepts such as indexicality, heteroglossia and agency, those in the third paradigm have established a closer connection with contemporary social theory. The definition of what constitutes an understanding of language from an anthropological point of view.

Introduction Linguistic anthropology is an interdisciplinary field dedicated to the study of language from an anthropological perspective. This means that, over the years, linguistic anthropologists have regarded language as a sophisticated sign system that contributes to the constitution

of society and the reproduction of specific cultural practices. In addition to being a powerful tool for exchanging information, language has been shown to play a crucial role in the classification of experience, the identification of people, things, ideas, and emotions, the recounting of the past and the imagining of the future that is so critical for joint activities and problem solving. Over the last one hundred years, linguistic anthropologists have been engaged in such diverse tasks as the documentation and analysis of specific languages or language varieties, the study of linguistic genres and registers, and the refinement of theoretical concepts such as indexicality, iconicity, participation, and ideology and agency.

In these tasks, linguistic anthropologists have used a variety of methods, including grammatical analysis of texts and grammatical forms elicited from native speakers and interactional analysis of audio and video recording of speech events. The very notion of transcription has thus evolved over time from covering the phonetic characterization of what someone said, to providing a dynamic representation of the multi-modal nature of communication in face-to-face interaction. As an interdisciplinary field, linguistic anthropology has often drawn from and contributed to the development of a variety of research traditions including descriptive, formal, historical, and typological linguistics, folklore, language acquisition, literacy studies, sign language studies, literary criticism, philosophy of language, social theory, gender studies, cultural and clinical psychology, and narrative analysis. This history of intellectual interconnections and collaborations is partly reflected in the alternation among four labels for

what some might see as the same field: linguistic anthropology, anthropological linguistics, ethnolinguistics, and sociolinguistics. Part of the difficulty of agreeing on the name of what is being described here as „linguistic anthropology”, is due to the fact that, over the years, the discipline has changed or, rather, expanded its focus, methods, and theoretical orientation. From an almost exclusive interest in the documentation of the grammars of aboriginal languages in North America and other continents, linguistic anthropology has moved to the uses of speaking across social contexts and throughout individuals' life spans. language is an impossible task. The best way to formulate a working definition is to consider the origin of the word itself, which comes from the Latin *lingua*, meaning „tongue.”

As this etymology suggests, language can be defined as the use of the tongue to create meaning-bearing signs. A sign is anything that stands for something other than itself. When we use or hear the word red, we do not think of the sounds r-e-d that comprise it, but rather of a certain kind of color to which these sounds refer in tandem. In other words, we perceive the sound combination r-e-d as a single sign—the word red. Language can thus be defined more precisely as a mental code whose signs are constructed „with the tongue.“ Wherever there are humans, there is language. Languages enable people across the world to classify the things that are relevant and meaningful to them. Without language, there would be no science, religion, commerce, government, literature, philosophy, nor any of the other systems and institutions that characterize human life. There are about 6,000 languages spoken in the world today. This num-

ber does not include dialects (local forms of a language). Many languages, however, are spoken only by small groups of a few hundred or a few thousand people. There are barely more than 200 languages with a million or more speakers. Of these, 23 have about 50 million or more speakers each: Arabic, Bengali, English, French, German, Hindi, Italian, Japanese, Korean, Malay-Indonesian, Mandarin, Marathi, Portuguese, Punjabi, Russian, Spanish, Tamil, Telugu, Turkish, Vietnamese, and Wu.

All languages have certain things in common. They all have: (1) a system of recognizable sounds, (2) units known as words, (3) grammatical structure, and (4) strategies for using language in various personal and social ways. A sound system constitutes a group of sounds that speakers of a particular LINGUISTIC METHOD 9 language utilize to make up words. Most languages have from 20 to 60 of these sounds. Words are sound units (individual sounds or combinations of sounds) that have a meaning, standing for objects, actions, or ideas. Grammatical structure is the manner in which words are related to each other in forming larger, structural units such as sentences.

The strategies for using a language for various purposes, such as communication and representation, are the result of traditions that are deemed important by a speech community. Before proceeding further, it is obviously essential to differentiate between language and speech. Language is a mental code, consisting of certain types of signs and of the structural principles for making and using them. Speech, on the other hand, is the use of language to form and transmit messages. Speech can be vocal, involving the use of the vocal organs (tongue, teeth, lungs, etc.),

or non-vocal, as in writing or in gesturing. One can have language without speech, but one cannot have speech without language because it is dependent on the categories of the language code. Remarkably, no effort is required to acquire such a powerful sign system. Children quickly gain command of a language simply by being in regular contact with fluent speakers of that language. They listen to older people, gradually mastering the sounds used

in the language and associating words with objects, ideas, and actions. In short time, they start making up sentences that other speakers accept as correct, and using them as strategies for regulating interactions with others. By the age of five or six, children control the main structures of their native language, becoming able to communicate most of their needs, desires, and ideas „with the tongue.”

REFERENCES:

1. Hernan G., Quantitative Linguistics, London, Butterworths.
2. Sternberg R. j., Cognitive Psychology; 2009.

SUICIDAL BEHAVIOR AND SPORT IN ADOLESCENTS

Aza Revishvili
E-mail:
azarevishvili96@gmail.com



Aza Revishvili

*Academic Doctor of Medicine,
Associate Professor*

ABSTRACT

The study's goal was to evaluate the impact of sports exercise in the prevention of suicidal behaviour in both middle-aged and older adolescents. The frequency of adherence to a healthy lifestyle, thinking about death, desire to die, and attempted suicide among middle-aged and older individuals participating in physically sedentary, active, and team sports was investigated. According to the survey, middle-aged teenagers are more likely to lead a healthy lifestyle than older adolescents. Adolescents have overwhelmingly unfavourable and dramatically negative opinions regarding suicide. Middle-aged, physically inactive teenagers had a stronger urge to die. Suicide attempts are less common among teenagers who are physically active and participate in team sports. Physical exercise, particularly team sports participation, helps to relieve stress, enhance self-confidence and self-esteem, and therefore reduces the risk of suicidal behaviour in teenagers, thus adolescent engagement in sports should be a priority for pleasant adolescence.

KEYWORDS

Suicidal behavior, Stress, Prevention

სუიციდური ქცევა და სპორტი მოზარდებში

აზა რევიშვილი
ე.დ. ფოსტა:
azarevishvili96@gmail.com



აზა რევიშვილი

მედიცინის აკადემიური დოქტორი,
ასოციირებული პროფესორი

აბსტრაქტი

კვლევის მიზანი იყო სპორტული აქტივობის როლის განსაზღვრა სუიციდური ქცევის პრევენციაში როგორც საშუალო ასაკის, ისე უფროსი ასაკის მოზარდებში. ფიზიკურად არააქტიურ, აქტიურ და გუნდური სპორტით დაკავებულ საშუალო და უფროსი ასაკის მოზარდებში გამოკითხვის მეთოდით შევისწავლეთ ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვის, სიკვდილზე ფიქრის, სიკვდილის სურვილის, სუიციდის მცდელობის სიხშირე. გამოკითხვით გაირკვა, რომ ცხოვრების ჯანსაღი წესი მეტი სიხშირითაა დაცული საშუალო ასაკის მოზარდებში უფროსი ასაკის მოზარდებთან შედარებით. მოზარდთა დამოკიდებულება სუიციდის მიმართ უპირატესად უარყოფითი და მკვეთრად უარყოფითია. სიკვდილის სურვილი უფრო მეტად აღინიშნება საშუალო ასაკის, ფიზიკურად არააქტიურ მოზარდებში. სუიციდის მცდელობა ნაკლებად ვლინდება ფიზიკურად აქტიურ და გუნდური სპორტით დაკავებულ მოზარდებში. ფიზიკური აქტივობა, განსაკუთრებით გუნდურ სპორტულ აქტივობებში მონაწილეობა, ხელს უწყობს სტრესული მდგომარეობიდან განტვირთვას, ზრდის თავდაჯერებასა და თვითშეფასებას, შედეგად ამცირებს სუიციდური ქცევის რისკს მოზარდებში, ამიტომ მოზარდთა ჩართვას სპორტულ აქტივობაში უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მოზარდობის კრიტიკული პერიოდის უმტკივნეულოდ გავლისთვის.

საკვანძო სიტყვები

სუიციდური ქცევა, სტრესული მდგომარეობა, პრევენცია

შესავალი

თვითმკვლელობა (ლათინურიდან *suī caedere* – თავის მოკვლა, თვითმკვლელობა) არის საკუთარი ცხოვრების მიზანმიმართული და განზრახ შეწყვეტა. ფსიქოლოგები და ფსიქიატრები მიიჩნევენ სუიციდს, როგორც აუტანელი მდგომარეობის თავიდან აცილების გზას, ავტოაგრესიის აქტს (1).

სუიციდური აზრები (თვითმკვლელობის იდეა) არის აზრები თვითმკვლელობაზე. სუიციდური აზრები შეიძლება იყოს პასიური და აქტიური. პასიური სუიციდური აზრები არადიფერენცირებული ხასიათისაა და არ არის დაკავშირებული სუიციდის გეგმის შემუშავებასთან. აქტიური სუიციდური აზრები უკავშირდება თავის მოკვლის შეგნებულ განზრახვას ანუ მომავალი თვითმკვლელობის დაგეგმვას. სუიციდური აზრები შეიძლება გამოვლინდეს ეპიზოდურად და სწრაფად გაიაროს, შეიძლება გახდეს სუიციდის ქცევის ფორმირების ეტაპი. სუიციდის ქცევა ფართო ცნებაა, რომელიც, სუიციდის გარდა, მოიცავს სუიციდის მცდელობებსა და სხვა გამოვლინებებს (3). სუიციდი მსოფლიოში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთი უდიდესი პრობლემაა. სუიციდი მთელს მსოფლიოში სიკვდილიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. სუიციდი ყოველწლიურად, დაახლოებით, ერთი მილიონი ადამიანის სიცოცხლეს იწირავს. გლობალური სიკვდილიანობის მაჩვენებელი 16:100000-ზე წელიწადში. (2).

ჯანმო-ს მონაცემებით, ბოლო წლებში მსოფლიოში რამდენჯერმე გაიზარდა ბავშვებსა და მოზარდებში სუიციდის შემთხვევები: მაგალითად, 2016 წელს 10-დან 14 წლამდე ასაკის

ბავშვებში სუიციდის სიხშირემ შეადგინა 9,368 (5,130 ვაჟი და 4,238 გოგო), 15-19 წლის ასაკში – 52 750 (ბიჭების 25,690 და გოგონებისთვის 27,060). თვითმკვლელობის მანიფესტაციები კიდევ უფრო მკვეთრად გაიზარდა სუიციდის მცდელობის სიხშირის მომატებით. სამწუხაროდ, ოფიციალური სტატისტიკა არ ითვალისწინებს თვითმკვლელობის მცდელობებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში 2000 წელს სუიციდის ასაკობრივი კოეფიციენტი 15-19 წლის ასაკის მქონეთა შორის შეადგენდა 8.2-ს 100,000-ზე და სუიციდი, ამ ასაკობრივ ჯგუფში, გარდაცვალების მესამე ძირითად მიზეზს წარმოადგენდა (7). სუიციდთან და სუიციდის მცდელობასთან დაკავშირებული ეკონომიური ხარჯები მილიარდობით დოლარად არის შეფასებული (2). სუიციდის პრობლემა აქტუალურია საქართველოშიც. საქართველოს შსს-ის მიერ გამოქვეყნებულ მასალების მიხედვით 2020 წლის 1 იანვრიდან 30 ივლისამდე სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა 162-მა ადამიანმა. 254-მა ადამიანს სუიციდის მცდელობა ჰქონდა. 162 ადამიანიდან 125 არის მამაკაცი. სუიციდის ჩამდენის ასაკი 16-დან 90 წლამდე მერყეობს. (8).

სუიციდური შეგრძნებები შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერი ასაკის, სქესის, საზოგადოებრივი მდგომარეობის მქონე ადამიანს. მოზარდობის ასაკი ითვლება ერთ-ერთ კრიზისულ პერიოდად. კრიზისული პერიოდი გვესმის, როგორც განვითარების სოციალური მდგომარეობის ცვლილება, რაც იწვევს თავისთავად ახალი პიროვნული თვისებების ფორმირებების საჭიროებას და ცხოვრების ახალი სტრატეგიების არჩევის შესაძლებლობას. მოზარდის კრიზისი გამოიხატება ბავშვობის პე-

რიოდან ზრდასრულ ასაკში გადასვლის პერიოდში და თან ახლავს მნიშვნელოვანი ცვლილებები ბიოლოგიურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ დონეზე. ბავშვობისა და მოზარდობის ფსიქოფიზიოლოგიური მახასიათებლები განსაზღვრავს სუიციდური ქცევის მახასიათებლებს. ემოციურ-პიროვნული სფეროს ზოგადი უმნიშვნელობა, ცხოვრების მიზნების ჩამოუყალიბებლობა, დროებითი პერსპექტივა, თვითშეგნება, წარმოდგენები სიკვდილზე, როგორც საბოლოო შედეგზე, მათი ქმედებების შეუქცევადობის გააზრება და სხვა მახასიათებლები, მოზარდებს უფრო მეტად დაუცველს ხდის სუიციდური გამოვლინებების მიმართ. მოზარდების სუიციდურ ქცევას შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული ფსიქოლოგიური აზრი და იმოქმედოს, როგორც:

1. პრობლემიდან გაქცევის საშუალება, ბავშვის თვალსაზრისით უიმედო სიტუაციის გადასაჭრელად „სასონარკვეთილების აქტი“.
2. „შურისძიების აქტი ვიღაცის მიმართ, ვინც მოგვიანებით ყველაფერს ინანებს“.
3. ახლობლების ყურადღებისა და დახმარების მიღების გზა, ზოგიერთი საჭიროების დაკმაყოფილების, რომელზეც, რატომღაც, საუბარი არ შეიძლება, ანუ იყოს კომუნიკაციის გზა;
4. პროტესტის აქტი რაიმეს ან ვინმეს წინააღმდეგ (5).

მოზარდის გრძნობები შეიძლება შეუფასებელი დარჩეს მოზარდობის მხრიდან, ჩაითვალოს არასერიოზულ, „ბავშვურ“ ქცევად. მოზარდთა განცდები შეიძლება იყოს მაღალი და ხშირად „სამყაროს აღსასრულთან“ გაიგივებული. თვითშეფასების დაბალი დონე სარწმუნოდ ასოცირდება სუიციდის ქცევასთან. ადეკვატური თვითშეფასე-

ბა ეხმარება მოზარდებს შეინარჩუნონ დადებითი დამოკიდებულება გარშემოცემებთან. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდებში თვითშეფასება მცირდება დეპრესიასა და ფიზიკურ უმოქმედობას შორის კავშირის საფუძველზე. დეპრესიულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა შორის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროებში ჩართული პირების პროცენტული წილი დაბალია. ფსიქოლოგებმა წამოიწიეს საინტერესო საკითხი იმის შესახებ, ნამდვილად უკავშირდება თუ არა დეპრესია მჯდომარე ცხოვრების წესს. ეს მონაცემები ასევე ვრცელდება ფიზიკურად ნორმალური განვითარების მოზარდებზე. სპორტი და ფიზიკური დატვირთვა ამ ასაკობრივ პერიოდში ასოცირდება თანატოლებთან დადებით ურთიერთობებთან, მათში მდგრადი თვითშეფასების და სტრესოგენული დამცავი მექანიზმების ფორმირებასთან. მოზარდებში სუიციდის მცდელობის მნიშვნელოვან მახასიათებლებს შორის იყო დაფიქსირებული მათი დაღლილობა და სპორტში დაბალი ჩართულობა. აღმოჩნდა, რომ თვითმკვლელობის მცდელობები და სუიციდური აზრები ნაკლებად ხშირია ახალგაზრდა სპორტსმენებს შორის (2).

ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს, რომ თვითმკვლელობას მიკუთვნებული მდგომარეობები და მისი პრევენციის წინადადებები განსხვავდებოდა დროისა და ადგილის მიხედვით. მიუხედავად ამისა თვითმკვლელობა განაგრძობს ადამიანთა უმონყალო დანაკარგების მოტანას. მხოლოდ ახლო წარსულში გახდა ხელმისაწვდომი ის ცოდნა და ინსტრუმენტები, რომლებსაც შეუძლიათ სუიციდის საკითხს მიუდგინენ ისე, როგორც პრევენციურად პრობლემას

მრავალი სიცოცხლის გადარჩენის რეალისტური შესაძლებლობებით.

ამოცანები. სპორტული აქტივობის როლის განსაზღვრა საშუალო და უფროსი ასაკის მოზარდთა სუიციდური ქცევის პრევენციაში.

კვლევის მასალები და მეთოდები. კვლევის პროცესში გამოვიყენეთ ინტერვიუების მეთოდი წინასწარ შედგენილი კითხვარის მიხედვით. რესპოდენტები დაყოფილი იყო ჯგუფებად სქესის, ასაკის, განათლების ფიზიკური აქტივობის მიხედვით.

კვლევის შედეგები. ჩვენ მიერ მოხდა კვლევის ობიექტების ანონიმური გამოკითხვა წინასწარ შედგენილი კითხვარის მიხედვით. კითხვარში გამოვიყენეთ მარტივი და გასაგები ტერმინები.

კვლევაში მონაწილეობდა 32 რესპოდენტი, რომლებიც გადანაწილდა სქესის, ასაკის, ფიზიკური აქტივობის, სპორტის გუნდური სახეობის მიხედვით. ამ ჯგუფებში შეისწავლებოდა ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვის, „სიკვდილზე ფიქრის“, სიკვდილის სურვილის და მისი მცდელობის სიხშირე. ამასთანავე, შევისწავლეთ მათი დამოკიდებულება სუიციდური ქცევის მიმართ, რესპოდენტთა შეფასება თუ როგორ მოქმედებს სპორტული აქტივობა მათ სტრესულ მდგომარეობაზე, თვითშეფასებაზე, თვითდამაჯერებლობასა და სოციალიზაციაზე.

გამოკითხვით დადგინდა, რომ ცხოვრების ჯანსაღი წესის იცავს გამოკითხულ მოზარდილთა 68.7% (22). შესაბამისად, საშუალო და უფროსი ასაკის მოზარდილთა 75% (12) და 62.5% (10). ფიზიკურად აქტიურ და სპორტსმენ მოზარდებში მეტი სიხშირით, ვიდრე ფიზიკურად არააქტიურში. შესაბამისად – 59,1% (13) და 40.9% (9). ცხოვრების ჯანსაღი წესის ქვეშ ფიზიკურ აქტივობას არ მოიაზრებ-

და გამოკითხულ მოზარდთა 65.5% (21).

სუიციდური ქცევის მიმართ დადებითი დამოკიდებულება არ ჰქონდა არცერთს, ინდიფერენტული იყო (მისი სიცოცხლეა, გადანყვეტილება თავად უნდა მიიღოს) 4 (12.5%) უფროსი ასაკის ფიზიკურად არააქტიურ მამრ. სქესის მოზარდს, უარყოფითი – 18 (56.25%)-ს, მკვეთრად უარყოფითი – 1 (3.1%)-ს. გამოკითხულ მოზარდთა 59.4% (19)-მა უარყოფითი და მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება გამოავლინა სუიციდის (სუიციდური ქცევის) მიმართ.

გამოკითხულ მოზარდილთა 62.5%-ს(20) „სიკვდილზე უფიქრია“. სიკვდილზე ფიქრი თანაბრად გამოვლინდა საშუალო და უფროსი ასაკის მოზარდებში 10 (31.25%). საშუალო ასაკის მოზარდებიდან ფიზიკურად არააქტიურებში – 4 (12.5%), ფიზიკურად აქტიურში – 5 (15.6%) და სპორტსმენში 1 (3.1%). უფროსი ასაკის ჯგუფში ფიზიკურად არააქტიური იყო – 5 (15,6%), ფიზიკურად აქტიური – 3 (9,37%), ხოლო სპორტსმენი – 2 (5,88%).

გამოკითხულ მოზარდილთა 31% (10) ჰქონდა სიკვდილის სურვილი. აქედან, 60% (6) იყო საშუალო ასაკის (ფიზიკურად არააქტიური – 4 (12,5), აქტიური – 1 (3,1%), სპორტსმენი – 1 (3,1%) და 40% (4) უფროსი ასაკის (ფიზიკურად არააქტიური – 3 (3,37%) ფიზიკურად აქტიური – 1 (3,1%), სპორტსმენი-0)

გამოკითხულ მოზარდილთა 15.6%-ს (5) ჰქონდა სუიციდის მცდელობა. ფიზიკურად აქტიურ და სპორტსმენ მოზარდებში ნაკლები სიხშირით არააქტიურ მოზარდებთან შედარებით. შესაბამისად: 20% (1) და 80% (4). საშუალო ასაკის მოზარდი – 3 (ფიზიკურად არააქტიური – 2, ფიზიკურად აქტიური სპორტსმენი-0), უფროსი ასაკის კი – 2 (ფიზიკურად არააქტიური – 2, ფიზიკურად აქტიური – 0, სპორტსმენი 0)

გამოკითხულ მოზარდილთა 50% (16)

თვლის, რომ სპორტული აქტივობა ადამიანს ეხმარება სტრესულ ვითარებაში განტვირთვისთვის. სპორტულ აქტივობაში ჩართვის სურვილი აქვს ფიზიკურად არააქტიურ მოზარდების 62.5%(10), ხოლო სწრაფად დაღლის გამო სპორტული აქტივობა ეზარება 25% (4).

გამოკითხულ გუნდური სპორტით დაკავებულ სპორტსმენ მოზრდილთა შეფასებით სპორტულმა აქტივობამ მათი თვითშეფასება აამაღლა 75%(6)-ში, უფრო თავდაჯერებული გახდა 75% (6), ადამიანებთან ურთიერთობა გაუადვილდა 62.5%-ს (5), სხვის მიმართ უფრო კეთილგანწყობილი გახდა 87.5%. (7).

განხილვა. კვლევის მონაცემების ანალიზით დადგინდა, რომ მოზარდთა უმრავლესობა ინფორმირებულია ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ და იცავს მას, უპირატესად საშუალო ასაკის მოზარდები. მოზარდთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ფიზიკური აქტივობა არ შედის ცხოვრების ჯანსაღ წესში.

მოზარდთა უმრავლესობას სუიციდური ქცევის მიმართ უარყოფითი და მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება აქვს.

„სიკვდილზე ფიქრი“ ვლინდება მოზრდილთა ყველა ჯგუფში და არ არის დამოკიდებული ფიზიკურ თუ სპორტულ აქტივობაზე.

„სიკვდილის სურვილი“ აღინიშნება უფრო მეტად საშუალო ასაკის, ფიზიკურად არააქტიურ მოზარდებში.

სუიციდის მცდელობა ნაკლებად ვლინდება ფიზიკურად აქტიურ და სპორტსმენ მოზარდებში არააქტიურებთან შედარებით კვლევით დადგინდა, რომ ფიზიკური აქტივობა სტრესული მდგომარეობიდან განტვირთვის ერთ-ერთი საშუალებაა. მოზარდთა გუნდურ სპორტში დაკავება ხელს უწყობს თვითშეფასების ამაღლებას, თვითდამაჯერებლობას და სოციალიზაციას.

დასკვნა

ფიზიკური აქტივობა, განსაკუთრებით გუნდურ სპორტულ აქტივობებში მონაწილეობა, ხელს უწყობს სტრესულ მდგომარეობიდან განტვირთვას ზრდის თავდაჯერებასა და თვითშეფასებას, შედეგად ამცირებს სუიციდური ქცევის რისკს მოზარდებში, ამიტომ მოზარდთა ჩართვას სპორტულ აქტივობაში უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მოზარდობის კრიტიკული პერიოდის უმტკივნეულოდ გავლისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დევიდ ლესტერი, მიშელ ბატუელლო, მარკო ინამორატი, ილარია ფალკონი. სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა და სუიციდის პრევენცია. სპორტული ფსიქოლოგიის საერთაშორისო ჟურნალი, 2010. გვ. 58-72.
2. Комиссия по профилактике негативных проявлений ЭКС РО при ДОГМ М. Томори, Б. Залар (Словения) СПОРТ КАК ЗАЩИТНЫЙ ФАКТОР ОТ СУИЦИДАЛЬНЫХ ПОПЫТОК У ПОДРОСТКО. Пер. с англ. канд. психол. наук Н.С. Цикуновой. 2016.
3. Суицидальное поведение подростков: Диагностика, профилактика, коррекция. 2014.
4. С.С. Канавина Профилактика суицидов среди несовершеннолетних путем повышения стрессоустойчивости Методические рекомендации Иркутск – 2015.
5. Р.Э. Берман. Р.М. Клингман. Х. Б. Дженсон. Педиатрия по нельсону. Том №1 , №5. 2009.
6. Read more: <https://sputnik-georgia.com/incidents/20200913/249433996/sazareli-statistika-saqarTvelo-Si-eqvs-TveSi-suicidis-162-SemTxveva-moxda.html>
7. Суицид у детей и подростков © США 61. <https://www.youtube.com/watch?v=BenlC0qizLY>Профилактика суицидального поведения; <http://mn.ru/oped/20120214/311487836.html>
8. <http://www.opendata.ge/ka/content/47772>.
9. https://idfi.ge/ge/suicide_statistics_2014_2017.

TEXTOLOGICAL WORKS OF XIX CENTURY GEORGIA

Irine Arjevanidze
E-mail:
irinaarj@gmail.com



Irine Arjevanidze

*Academic Doctor of Philology,
Professor of Tbilisi Humanitarian Teaching University*

ABSTRACT

Publishing activities in Georgia developed at a very slow pace until the 70s of the 19th century. However, the rise of national self-awareness has increased the interest of the Georgian people in their own history, in general, in public ideas. The publication of literary and historical monuments began.

At the end of the 80's, the „Georgian Publishing Partnership“ was established, the purpose of which was to publish and popularize monuments of modern and ancient Georgian literature.

Prominent Georgian textologists of the 19th century are Davit Chubinashvili, a professor at the University of St. Petersburg, and Petre Umikashvili, who collected manuscripts, compared them with each other, chose a complete, reliable text, and added biographies and notes.

KEYWORDS

Textology, Edition, Manuscript, Printing, Mechanistic textology, Source

ტექსტოლოგიური მუშაობა XIX საუკუნის საქართველოში

ირინე არჯევანიძე
ე. ფოსტა:
irinaarj@gmail.com



ირინე არჯევანიძე

ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი,
თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის
პროფესორი

აბსტრაქტი

XIX საუკუნის საქართველოს 70-იან წლებამდე საგამომცემლო საქმიანობა საქართველოში უაღრესად ნელი ტემპით ვითარდებოდა. თუმცა, ნაციონალური თვითშეგნების ამალგებამ გაზარდა ქართველი ხალხის ინტერესი საკუთარი ისტორიისადმი და საერთოდ, საზოგადოებრივი იდეებისადმი. დაიწყო ლიტერატურული და ისტორიული ძეგლების გამოცემა. 80-იანი წლების დასასრულს დაარსდა „ქართველთა გამომცემელი ამხანაგობა“, რომლის მიზანს წარმოადგენდა თანამედროვე და ძველი ქართული მწერლობის ძეგლების გამოცემა და პოპულარიზაცია.

XIX საუკუნის ქართველ ტექსტოლოგთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს დავით ჩუბინაშვილს. პეტრე უმიკაშვილს, რომელიც თავად აგროვებდა ხელნაწერებს, ერთმანეთთან ადარებდა მათ, არჩევდა სრულ, საიმედო ტექსტს, ურთავდა ბიოგრაფიებსა და შენიშვნებს.

XIX საუკუნეში დაიწყო საისტორიო ძეგლების გამოცემა, რომელიც ივანე ჯავახიშვილის აზრით „შედარებით უკეთეს მდგომარეობაში“ იყო ვიდრე ძველი ქართული მწერლობის ძეგლების გამოცემის საქმე. ექვთიმე თაყაიშვილის შრომებმა ქართულ საისტორიო მწერლობას დიდი სამსახური გაუწია და მკითხველს თუ მკვლევარს საშუალება მისცა ქართული საისტორიო წყაროები შეესწავლა.

საკვანძო სიტყვები

ტექსტოლოგია, გამოცემა, ხელნაწერი, დასტამბვა, მექანიკური ტექსტოლოგია, წყარო

XIX საუკუნე ახალი ხანის დასაწყისია ქართველი ხალხის ისტორიაში. მეთვრამეტე საუკუნეში გამოცოცხლებული სასტამბო საქმიანობა მეცხრამეტე საუკუნის 40-იან წლებამდე შეფერხდა. 1801-1837 წლებში თბილისში ქართულ ენაზე სულ რვა წიგნი გამოიცა. ამ გარემოებამ თავისი დაღი დაასვა საგამომცემლო პრაქტიკას საქართველოში, რამაც ახლად ფეხადგმული ტექსტის შემსწავლელი მეცნიერება თითქმის კიდევაც ჩაჰკლა.

XIX საუკუნის 70-იან წლებამდე საგამომცემლო საქმიანობა საქართველოში უაღრესად ნელი ტემპით ვითარდებოდა. გასული საუკუნის 60-იან წლებიდან მთელი ძალით გაიშალა დიდი ლიტერატურული ცხოვრება. ყველა სფეროში შეინიშნებოდა გამოცოცხლება. იდეოლოგიურმა ბრძოლამ, ნაციონალური თვითშეგნების ამალგებამ გაზარდა ქართველი ხალხის ინტერესი საკუთარი ისტორიისადმი, საერთოდ საზოგადოებრივი იდეებისადმი. ფეხი მოიკიდა და გაიშალა ლიტერატურული და ისტორიული ძეგლების გამოცემა. 80-იანი წლების დასასრულს დაარსდა „ქართველ გამომცემელთა ამხანაგობა“, რომლის მიზანს წარმოადგენდა თანამედროვე და ძველი ქართული მწერლობის ძეგლების გამოცემა და პოპულარიზაცია. ქართველი სამოციანელები, რომელთა სახელთანაა დაკავშირებული მე-19 საუკუნის ყოველი დიდი წამოწყება, უპირველეს ყოვლისა საგანმანათლებლო საქმეს ისახავდნენ მიზნად. მათ დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს წარსული და თანამედროვე მწერლების ნაშრომების გამოცემას. „ამჟამად ჩვენში ძვირად იპოვება იმისთანა კაცი, რომ საფუძვლიანი ცოდნა ჰქონდეს ჩვენი ძველი ლიტერატურისა“, – წერდა გ. წერეთელი 1870 წელს.

ძველი და ახალი თაობის არაერთ წარმომადგენელს აწუხებდა ის გარემოება, რომ მრავალ ხელნაწერ თხზულებათაგან მხოლოდ მცირე ნაწილი იყო დაბეჭდილი; დაუბეჭდველობას დიდი ზიანი მოჰქონდა, როგორც მწერლობის განვითარებისთვის, ასევე, ახალგაზრდობის აღმზრდელობითი მოღვაწეობისათვის. საგანმანათლებლო საქმიანობას აფერხებდა საჭირო გამოცემათა სიმცირე. „მოკლედ ის აზრი გამოდის, რომ ჩვენ ჯერ არ ვიცით ლიტერატურის ისტორიულად შესწავლის სარგებლობა და ამის გამო კიდევაც არ იბეჭდება ჩვენი მწერლობის თხზულებანიო, – წერდა პეტრე უმიკაშვილი, – მაგრამ ცხადად სჩანს აუცილებელი საჭიროება ჩვენი თითოეულის მწერლის თხზულებათა ერთად გამოცემის“.

XIX საუკუნის ქართველ ტექსტოლოგთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია პეტრე უმიკაშვილს, რომელსაც თანამედროვენი „დაუზარელ შემკრებ ქართული სიძველეებისას“ უწოდებდნენ. იგი დაიბადა თბილისელი კათოლიკეების ოჯახში. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი. საქართველოში დაბრუნებისთანავე უმიკაშვილი ცნობილი გახდა ლიტერატურული ნარკვევებით, თარგმანებით, პიესებით. განსაკუთრებით გაითქვა სახელი ქართული ზეპირსიტყვიერების შეგროვებით, რომლის პირველი გამოცემა 1874 წელს განხორციელდა. გარდა ამისა, უმიკაშვილმა მოამზადა რამდენიმე გამოცემა სახალხო სიმღერების და მდიდარი ფოლკლორული კოლექციებისა. 1871 წელს პ. უმიკაშვილმა, დ. ჩუბინიშვილის შემდეგ, მეორედ გამოსცა „სიბრძნე სიცრუისა“. პირველი ავტორისაგან განსხვავებით, გამოცემას თან დაურთო წინასიტყვაობა, რომელშიც დახასიათებულია სულხან-საბა ორბელიანის

ნაშრომები. განსაკუთრებით ხაზგასმულია „სიბრძნე სიცრუის“ მნიშვნელობა ქართული ლიტერატურისათვის. გამომცემელს გარკვეული მუშაობა ჩაუტარებია ტექსტის დადგენაზე, მან აღადგინა ჩუბინიშვილის გამოცემა, ხელნაწერების მიხედვით გაასწორა ბუნდობანი ადგილები. 1870 წელს პ. უმიკაშვილმა გამოსცა დ. გურამიშვილის „დავითიანი“ (ნ. ბერძენოვთან და გ. წერეთელთან ერთად). პირველი გამოცემა შეიცავდა „დავითიანის“ 43 თავს, მეორე კი წარმოადგენდა სრულ ტექსტს. გამოცემა დაიბეჭდა ავტორის მართლწერის დაცვით, მცირეოდენ შეცდომათა გასწორებით. გამომცემელს გასწორებული აქვს ავტორისეული ლაფსუსები (დ. გურამიშვილს თავისებურად გადაუკეთებია „ფრიდრიხ ჰაფენი“ – „ფინდრიღვანის“, „შვეტის“ უნდა იყოს „შვედი“, „ბრუსის“ – „პრუსიის“ და სხვ.). „ივერია“ ამ გამოცემის გამო წერდა: „თუ ყველა შესანიშნავი ძველი ქართული თხზულება დაიბეჭდება ასე კეთილსინდისიერად, იმედი უნდა ვიქონიოთ, ძველი დროის შესწავლა გაადვილებდა და იქნება აღმოჩნდეს იმისთანა პირიც, რომელიც გაჰბედავს ამ ახალ გზაზე დადგომას“.

პ. უმიკაშვილის წიგნის „სიკეთის სიმრავლის“ მომხრე იყო. იგი წერდა: „უკეთესი იქნება ერთი წიგნი მომზადდეს კარგად, დიდხანს, ვიდრე ორმოცი და ხელდახელ მომზადებული და უვარგისი“. იგი ძალზედ დაფასებული იყო თანამედროვეთა მიერ, მაგალითად, ნ. ნიკოლაძე 1873 წელს წერდა: „ეს ჩვენი ახალგაზრდა (საუბარია პ. უმიკაშვილზე) დიდი ხანია, რაც ნელ–ნელა, აუჩქარებლად და მოუსვენრად სჩხრეკს... ხელნაწერებს, აგროვებს სახალხო ლექსებს და ანდაზებს, ჰკრებს ძველ წიგნებს და გამოცემებს და ზოგჯერ კი ბეჭდავს შესანიშნავ თხზულებებს. მისი მხრით ეს

უფრო მოსაწონი და საქები საქმეა, რომ ამნაირ შრომას მეტისმეტი თავდავინყება სჭირია... პ. უმიკაშვილი გულითადი მადლობის ღირსია ჩვენი მწერლობის და მკითხველი საზოგადოების მხრით“. მისი „ხალხური სიტყვიერება“, სადაც პეტრე უმიკაშვილის შეგროვებული მასალის უმრავლესი ნაწილია მოთავსებული, გამოიცა 1964 წელს ოთხტომად სახელმწიფო (მაშინ საბჭოთა) მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ.

ახალი ქართული ლიტერატურის წარმომადგენლები, ერთეულების გარდა, თითქმის ყველა უშვალოდ იღებდა მონაწილეობას თავისი ნაწერების ბეჭდვაში. მათი ნაწერების გამოცემის ფართო პრაქტიკული საქმიანობა დაკავშირებული იყო „ქართველთა გამომცემელ ამხანაგობასთან“, რომელმაც დაიწყო ქართველი ავტორების თხზულებათა მასობრივი გამოქვეყნება.

ტექსტოლოგიური მუშაობა საქართველოში მე–18 საუკუნის 10–იან წლებში დაიწყო (უნდა აღინიშნოს „ვეფხისტყაოსანის“ ვახტანგისეული გამოცემა) და მეცხრამეტე საუკუნის 70–იან წლებამდე ძირითადად, პრაქტიკული მიზნებით იფარგლებოდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველოს საგამომცემლო საქმიანობაში უმთავრესად გაბატონებული იყო მექანისტური ტექსტოლოგია, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ხელნაწერი წყაროს დასტამბვა ყოველგვარი წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარების გარეშე.

80–იან წლებიდან საქართველოში ტექსტოლოგიური მუშაობა თავისუფლდება მექანისტური თეორიის არტახებისაგან და როგორც მეცნიერება, დგამს პირველ გაუბედავ ნაბიჯებს. ძველი ქართული მწერლობის ნიმუშების პირველი

გამომცემელი იყო პლატონ იოსელიანი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა XIX საუკუნის ქართული ტექსტოლოგიის განვითარებაში. მისი მოღვაწეობის დროს გამოცემულ ძეგლებს პლატონ იოსელიანმა დაურთო ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის შენიშვნები და სქოლიოები. იგი ცდილობდა, ძეგლის რამდენიმე წყაროდან ძირითად ტექსტად უკეთესი და ორიგინალთან ყველაზე ახლოს მდგომი წყარი აერჩია, ცდილობდა დამატებითი ინფორმაცია შეეგროვებინა და მიეწოდებინა მითხველისათვის ძეგლის ავტორის შესახებ.

XIX საუკუნის ქართველ ტექსტოლოგთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს, დავით ჩუბინაშვილს. მან გამოსცა: „ქართლის ცხოვრება“ (მეორე ნაწილი), „ვეფხისტყაოსანი“, „ქართული ქრესტომატია“, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ (1859 წ.). დ. ჩუბინაშვილის „ქრესტომათიამ“ „მტკიცე საფუძველი დაუდო ძველი მწერლობის ძეგლთა მეცნიერულ შესწავლას, რამდენადაც ნაწილობრივ მაინც, ხელმისაწვდომი გახდა ისინი დაინტერესებულ პირთათვის“.

1884 წელს თბილისში დაიბეჭდა „ვისრამიანის“ პირველი გამოცემა. წიგნის რედაქტორებად დასახელებულნი არიან: ილია ჭავჭავაძე, ალ. სარაჯიშვილი და პ. უმიკაშვილი. ეს გამოცემა თავის დროისათვის სანიმუშოდ არის შესრულებული. მის ფაქტიურ რედაქტორს პ. უმიკაშვილს დიდი შრომა ჩაუტარებია ტექსტის სათანადოდ მომზადება-გამოცემისათვის.

ტექსტოლოგიური მუშაობის ერთგვარ მიღწევად უნდა ჩაითვალოს 1886 წელს თბილისში გამოცემული „ქილილა და დამანა“ (რედაქტორი ილია ჭყონია). გამოცემა დაფუძნებულია ოთხი

ხელნაწერის კრიტიკულ შესწავლაზე. რედაქტორი შესავალ წერილში ახასიათებს მის ხელთ არსებულ ხელნაწერებს. ტექსტი დაუბეჭდავთ ვაჩნაძისეული ხელნაწერის მიხედვით „განსხვავებული თავები, – წერს ი. ჭყონია, – დანარჩენ ხელნაწერებიდან სქოლიოებად შევიტანეთ. ზოგ მათგანს აუცილებლად საჭირო განმარტება დავსძინეთ“. ტექსტს დართული აქვს ლექსიკონი.

1895 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა ექვსი ხელნაწერის მიხედვით გამოსცა „სიბრძნე ბალავარისი“.

XIX საუკუნეში დაიწყო სამოქალაქო-საისტორიო ძეგლების გამოცემა, რომელიც ივ. ჯავახიშვილის აზრით „შედარებით უკეთეს მდგომარეობაში“ იყო ვიდრე ძველი ქართული მწერლობის ძეგლების გამოცემის საქმე. მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილის, ალ. ცაგარელის, თ. ჟორდანიას, მ. ჯანაშვილის, ალ. ხახანაშვილის, ე. თაყაიშვილის შრომებმა ქართულ საისტორიო მწერლობას დიდი სამსახური გაუწია და მკითხველს თუ მკვლევარს საშუალება მისცა საფუძვლიანად შეესწავლა ქართული საისტორიო წყაროები.

რა თქმა უნდა, მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა ენის ისტორიული გრამატიკა, სათანადო არ იყო ისტორიულ-ლიტერატურული ცოდნის დონეც, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ გამოცემებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მწერლობის შემდგომი განვითარებისათვის. დიდი ილიას თქმისა არ იყოს „სახელი და დიდება მე-19 საუკუნისა არის, რომ უხვი მოსავალი მოგვცა“, ეს სიუხვე ტექსტოლოგიურ მუშაობასაც ჭარბად ემჩნევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნინიძე მ., გიგაშვილი ქ., ტექსტოლოგია, თბ., 2018 წ.
2. უთურგაიძე თ., ქართული ენის შესწავლის ისტორია, თბ. 1999 წ.
3. ფირცხალავა ლ., ისტორიის მეცნიერების შესავალი, თბ., 1995 წ.
4. ხარანაული ა., შესავალი ქართულ ფილოლოგიაში, თბ. 2014 წ.

THE CONCEPTS OF NEUROANATOMICAL AND NEUROPHYSIOLOGICAL NATURE OF MEMORY PROCESS

Nino Ormotsadze
E-mail:
ninoori@yahoo.com



Nino Ormotsadze

Doctor of Biological Sciences, Affiliated professor of Tbilisi Humanitarian Teaching University

ABSTRACT

Clinical studies of amnesia (loss of memory) suggest that several different brain regions are involved in memory storage and retrieval. Amnesia has been found to result from damage to the temporal lobe of the cerebral cortex, the hippocampus, the head of the caudate nucleus (in Huntington's disease), or the dorsomedial thalamus (in alcoholics suffering from Korsakoff's syndrome with thiamine deficiency). A number of researchers now believe, that there are several different systems of information storage in the brain. One system relates to the simple learning of stimulus – response that even invertebrates can do some degree. This together with skill learning and different kinds of habits is retained in people with amnesia.

The aim of this article is to find the kinds of conditioning and learning which disrupts in people with amnesia, explore hippocampal function in memory and form the concept of memory consolidation.

KEYWORDS

Memory, Consolidation, Hippocampus, Oxidative stress, Acetylcholine

კონცეპცია მეხსიერების პროცესის ნეიროანატომიური და ნეიროფიზიოლოგიური ბუნების შესახებ

ნინო ორმოცაძე
ე. ფოსტა:
ninoori@yahoo.com



ნინო ორმოცაძე

ბიოდოგეუზი მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის ჰუმანიტარული
სასწავლო უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ამნეზიის (მეხსიერების დარღვევის) პროცესის კლინიკურმა შესწავლამ გამოავლინა, რომ თავის ტვინის მრავალი უბანია ჩართული მეხსიერების კონსოლიდაციაში და მის ამოღებაში მეხსიერების საცავებიდან. ამნეზია ვითარდება საფეთქლის წილების დაზიანების შედეგად, ჰიპოკამპისა და კუდიანი ბირთვის თავის დაზიანების შედეგად (ჰანტინგტონის დაავადება), ასევე თალამუსის დორსომედიალური ბირთვის დაზიანებისას (ქრონიკულ ალკოჰოლიკებში – თიამინის დეფიციტის შედეგად).

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ თავის ტვინის მრავალი უბანია ჩართული ინფორმაციის შენახვასა და დასწავლის პროცესში. მათ შორის ზოგიერთი ემსახურება მარტივი სტიმულ-რეაქციის ტიპის დასწავლას, რომელიც უხერხემლო ცხოველებშიც კი არსებობს. აღნიშნული დასწავლის ფორმა მარტივი უნარებისა და ჩვევების სახით შემონახულია ამნეზიით დაავადებულ ადამიანებშიც.

სტატიის მიზანია დიფერენცირება მოვახდინოთ იმ უამრავ დასწავლისა და მეხსიერების ფორმებს შორის რომელთა დარღვევა იკვეთება ამნეზიით დაავადებულ ადამიანებში, გამოვყოთ ჰიპოკამპალური ფუნქციები და შევიმუშაოთ კონცეპცია მეხსიერების კონსოლიდაციის შესახებ.

საკვანძო სიტყვები

მეხსიერება, კონსოლიდაცია, ჰიპოკამპი, ოქსიდაციური სტრესი, აცეტილქოლინი

შესავალი

მას შემდეგ, რაც სკოვილმა და მილნერმა 1957 წელს (Scoville and Milner, 1957) H.M. პაციენტის საფეთქლის წილების მედიალური უბნების ორმხრივი რეზექციის შედეგად განვითარებული ამნეზიის კვლევის შედეგები გამოაქვეყნეს, აშკარა გახდა, რომ ჰიპოკამპალური რეგიონი წარმოადგენდა მეხსიერების პროცესისათვის არსებით სუბსტრატს. მეცნიერთა უმეტესობას დღეისათვის მიაჩნიათ, რომ თავის ტვინის მრავალი უბანია ჩართული ინფორმაციის დაგროვებაში, მის შენახვაში და გახსენებაში.

არსებობს მეხსიერების სხვადასხვა კატეგორიები. ტვინის ზოგიერთი უბანი პასუხისმგებელია მოკლევადიან მეხსიერებაზე, სხვანი კი გრძელვადიან მეხსიერებაზე. გრძელვადიანი მეხსიერება კლასიფიცირდება არადეკლარატიულ (იმპლიციტურ) და დეკლარატიულ (ექსპლიციტურ) მეხსიერების ფორმებად. არადეკლარატიული მეხსიერება პასუხისმგებელია მარტივი დასწავლის ფორმებზე, როგორცაა მაგ.: სტიმულ-რეაქციის ტიპის დასწავლა, გარკვეული ჩვევების და უნარების გამომუშავება. დასწავლის აღნიშნული მარტივი ფორმები შენარჩუნებული აქვთ ამნეზიით დაავადებულ ადამიანებს, თუმცა მათ აღნიშნებათ დარღვევები გრძელვადიანი მეხსიერების ისეთ ფორმებში, როგორცაა დეკლარატიული, იგივე ექსპლიციტური მეხსიერება. დეკლარატიული მეხსიერება მეხსიერების ისეთი ფორმაა, რომლის საშუალებით ვახდენთ აზროვნებითი პროცესების ვერბალიზაციას.

დეკლარატიული მეხსიერება თავის მხრივ იყოფა სემანტიკურ (ფაქტობრივ) და ეპიზოდურ (გარემოებით განპირო-

ბებულ) მეხსიერებებად. სემანტიკური მეხსიერებით შეგვიძლია მოვახდინოთ კონკრეტული ფაქტების დასახელება, საგნების და მოვლენების აღწერა; ეპიზოდური მეხსიერება კი შემოინახავს ინფორმაციას გარკვეულ შემთხვევებზე ანუ გარემოებებზე (Fox, 2011).

გრძელვადიანი მეხსიერება, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში (და შესაძლოა მთელი სიცოცხლის განმავლობაში) შემოინახება ადამიანის თავის ტვინის სტრუქტურებში, უკავშირდება ახალი რნმ-ის და ცილების სინთეზს, და ამდენად წამლები, რომლებიც თრგუნავენ გენეტიკური ტრანსკრიპციისა და ტრანსლაციის პროცესებს, არღვევს ხანგრძლივი მეხსიერების პროცესებს.


ამნეზიით დაავადებულ პაციენტებს დარღვეული აქვთ დეკლარატიული მეხსიერება. დადგენილ იქნა, რომ მოკლევადიანი მეხსიერების გადასვლა გრძელვადიან მეხსიერებაში წარმოადგენს მედიალური საფეთქლის წილების, კერძოდ მარცხენა ჰემისფეროს ჰიპოკამპისა და ნუშისებრი კომპლექსის ფუნქციას (Burton et al., 2002).

ჰიპოკამპის ნეიროანატომიური მიმოხილვა

ჰიპოკამპი, რომელიც მდებარეობს საფეთქლის წილის მედიალურ ნაწილში, წარმოადგენს ფილოგენეზურად ერთ-ერთ უძველეს სტრუქტურას და შედის ლიმბური სისტემის შემადგენლობაში. ჰიპოკამპს დაკბილულ ხვეულს და ამონის რქასაც უწოდებენ – Cornu Amonii (CA). ჰიპოკამპი თავის მხრივ, მრავალი ნაწილისაგან შედგება და მჭიდრო კავშირში იმყოფება ახლოს

მდებარე პარაჰიპოკამპალურ ქერქულ რეგიონთან (სურ. 1). CA ანატომიურად და ფუნქციურად რამოდენიმე CA1, CA2, CA3, CA4 ველად დიფერენცირდება. აღნიშნული სტრუქტურები ერთობლიობაში ქმნიან ჰიპოკამპალურ მეხსიერების სისტემას (სურ. 2). ნეოკორტიკალური უბნები, რომლებიც აწვდიან ინფორმაციას ჰიპოკამპალურ მეხსიერების სისტემას, მოიცავს სენსორული ნაკადის უმაღლეს დონეებს, ასევე მულტიმოდალურ და ლიმბურ ქერქულ უბნებს და საყნოსავ ტვინს (Dudai and Morris, 2013). ეს ნაკადი მოემართება ჰიპოკამპისაკენ პარაჰიპოკამპალური ქერქული ნაწილის სამი ძირითადი განყოფილებიდან: პერირინალური, პარაჰიპოკამპალური და ენტორინალური ქერქული უბნებიდან. ძირითადი ინფორმაციული ნაკადი ჰიპოკამპისაკენ მიედინება დაკბილული ხვეულიდან დაწყებული CA3 და CA1 ველამდე და სუბიკულუმამდე. შიდა ჰიპოკამპალური ნაკადი კი ძირითადად ემსახურება ნეოკორტიკალური არეებიდან შემოსული ინფორმაციის ტოპოგრაფიული


Anatomy of the Hippocampus



სურ. 2. ჰიპოკამპალური მეხსიერების სისტემა

გრადიენტების გადანაწილებას. სუბიკულუმიდან ინფორმაციული ნაკადი მიემართება პარაჰიპოკამპალური ხვეულისაკენ, რომელიც თავის მხრივ აგზავნის ინფორმაციას უკან ნეოკორტიკალური უბნებისა და საყნოსავი ტვინისაკენ. ამრიგად ჰიპოკამპალური სისტემა ორგანიზებულია ქერქული პროცესების მაქსიმალური კონვერგენციისათვის და წარმოადგენს იდეალურ ფორმაციას ქერქთან ურთიერთობისათვის (Eichenbaum, 2001).

უკანასკნელი წლების გამოკვლევებით CA3 ველმა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მეხსიერების პროცესში მისი ჩართულობით, ადვილად მონყვლადობით ეპილეპსიური განმუხტვების და ნეიროდეგენერაციის თვალსაზრისით. CA3 ველის კავშირები უფრო მდიდარია ვიდრე სხვა ჰიპოკამპალური რეგიონებისა. ის იღებს ინფორმაციას ენტორინალური ქერქიდან უშუალოდ და ასევე არაპირდაპირ დაკბილული ხვეულიდან ხავსისებრი ბოჭკოებით, რომელთაც გააჩნიათ მსხვილი ბუტონები (5-8 μ m). ვარაუდობენ, რომ ისინი წარმოადგენენ მაღალი დონის ფილტრებს, რომლებიც ანხორციელებენ უამრავი ქერქული



სურ. 1 ჰიპოკამპი სხვა ღიმბუხი სისტემის სტრუქტურებთან ერთად

სიგნალების გარდაქმნას ჰიპოკამპალურ კოდეზად, რაც მეხსიერების კვალის წარმოქმნისათვის არის საჭირო. ნაჩვენებია (Amaral and Witter, 1983), რომ ხავსისებრი ბოჭკოები გზადაგზა გამოანთავისუფლებენ გამაამინოერბოს მჟავას (გაემ) და გლუტამატს, როგორც პრენატალურ, ასევე მთელი მოზარდობის აქტიურ პერიოდში. გაემ-ის და გლუტამატის კორელაციური გამონთავისუფლება ცალკეული იდენტიფიცირებული ბუტონებიდან საშუალებას აძლევს ჰიპოკამპის პირამიდულ ნეირონებს განახორციელონ სწრაფი აგზნება ძლიერი და დაყოვნებული შეკავების შემდეგ.

მეხსიერების კვალის კონსოლიდაცია ჰიპოკამპში

(Square & Alvarez 1995; Dudai & Morris 2008) გამოკვლევებით დადგენილი იქნა რომ თუმცა ჰიპოკამპი მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიღებასა და მის შენახვაში, ის შეიძლება ითქვას, რომ აღარ არის საჭირო მას შემდეგ, რაც მეხსიერება „გამყარდება“ ანუ განიცდის კონსოლიდაციას. ერთ-ერთ ამნეზიურ პაციენტს, სახელად „E.P.“, რომელსაც ორმხრივად დაზიანებული ქონდა საფეთქლის მიდამოს მედიალური წილები, ძალიან კარგად ახსოვდა 50 წლის წინანდელი მეზობლების სახელები, მაგრამ წარმოდგენა არ ქონდა ახალ გარემოზე და სამეზობლოზე, მას განუვითარდა ანტეროგრაფული ამნეზია.

ფუნქციონალური მაგნიტურ რეზონანსული გამოკვლევებით (fMRI) გამოკვლევებით ნაჩვენებია იქნა, რომ როცა ადამიანს სთხოვ გაიმეოროს სიტყვები, რომელთა გახსენება უჭირთ დავიწყ-

ბის გამო, შეინიშნება ტვინის უპირატესი ელექტრული აქტივობა მარცხენა ჰემისფეროს საფეთქლის წილის მედიალურ განყოფილებასა და ფრონტალურ წილში, აღნიშნული უბნების გაძლიერებული ელექტრული აქტივობა, სავარაუდოდ, მოწმობს რომ ამ უბნებში ხდება მეხსიერების კვალის კოდირება. მარცხენა ჰემისფეროს მედიალური საფეთქლის წილების დაზიანება არღვევს მეხსიერების ვერბალურ კომპონენტს – დეკლარატიულ მეხსიერებას, მაშინ, როცა მარჯვენა ჰემისფეროს მედიალური ნაწილის დაზიანება არღვევს არავერბალურ (იმპლიციტურ) მეხსიერებას, მაგ. პაციენტებს უძნელდებათ სახის გამოცნობა, ერღვევათ ცნობის მეხსიერება (Fox, 2011).

სხვა პაციენტი, სახელად „H.M.“, რომელსაც ეპილეპსიური კერების ამოკვეთის მიზნით, ჩაუტარდა საფეთქლის წილების ბილატერალური რეზექცია, ოპერაციის შემდგომ პერიოდში სრულიად უუნარო აღმოჩნდა მოეხდინა ხანმოკლე მეხსიერების კონსოლიდაცია. მისი დეფიციტი მდგომარეობდა დეკლარატიული მეხსიერების დარღვევაში. არადეკლარატიული მეხსიერება – პერცეპტუალური და მოტორული უნარები, მაგ. მანქანის ტარების უნარი, პაციენტს შენარჩუნებული ქონდა. H.M. – შეეძლო ცოტა ცოტა ხნით დაემახსოვრებინა ვერბალური ინფორმაცია. ხშირი გამეორების შემთხვევაში საკმაოდ დიდი ხნით შეეძლო ინფორმაციის შენახვა ხანმოკლე მეხსიერებაში, მაგრამ გამეორება ხანგრძლივ ეფექტს არ ახდენდა. მას შეეძლო დაუსრულებლად ეკითხა ერთი და იგივე გაზეთი ან მოესმინა ერთი და იგივე მონათხრობი და ყოველთვის აღმოეჩინა ახალი ინფორმაცია. მრავალი კლინიკური გამოკვლევით ნაჩვენებია იქნა, რომ ჰი-

პოკამპი მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მოხდეს ხანმოკლე მეხსიერების კონსოლიდაცია ანუ ინფორმაციის გამყარება და გადასვლა ხანგრძლივ მეხსიერებაში.

ლაბორატორიული და კლინიკური მონაცემები, რომელიც ეხება მეხსიერების კვალის კონსოლიდაციის საკითხს, დაგროვილია თითქმის 100 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, მაგრამ რაოდენობრივი კვლევები რეტროგრადული ამნეზიის შესახებ დაიწყო მხოლოდ 1970-იან წლებში და იდეა, რომ კონსოლიდაცია გულისხმობს დიალოგს ჰიპოკამპსა და ნეოკორტექსს შორის ჯერ კიდევ ახალია. არსებობს მოსაზრება, რომ ინფორმაცია დასაწყისში გროვდება როგორც ჰიპოკამპში, ასევე ნეოკორტექსში და რომ ჰიპოკამპი მხოლოდ შემდგომ ანხორციელებს ინფორმაციის სტაბილიზაციისა და რეორგანიზაციის გრადუალურ პროცესს, რა დროსაც ნეოკორტექსი ხდება დამოუკიდებელი ჰიპოკამპისაგან (Dudai, Morris, 2013). ასეთია დღეისათვის არსებული მეხსიერების კონსოლიდაციის სტანდარტული მოდელი. ცნობილია, რომ ამ პროცესის სისწრაფე დამოკიდებულია იმ ახალი ინფორმაციის მოცულობაზე, რომელიც უნდა დაუკავშირდეს უკვე არსებულ ცოდნას დაფიქსირებულს ნეირონულ „კარტოთეკებში“. ნეირონთა ასეთი ურთიერთდაკავშირებული კომპლექსები ქმნიან ე.წ. „კოგნიტიურ სქემებს“.

ნეიროტრანსმიტერები და მეხსიერება

ნეიროტრანსმიტერები მეხსიერების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ნაჩვენებია კატექოლამინების,

აცეტილქოლინის და ზოგიერთი ნეირომოდულატორის მნიშვნელობა მეხსიერების ფენომენის რეალიზაციაში. აცეტილქოლინისადმი (აცქ) განსაკუთრებული ყურადღება აღიძრა მას შემდეგ, რაც აღმოჩენილ იქნა, რომ აცქ – ის გამომყოფი ტერმინალური ბუტონების გადაგვარება ადამიანის გონებასუსტობას (დემენციას) იწვევს. დემენციის ყველაზე ზოგად ფორმას წარმოადგენს ალცჰაიმერის დაავადება, რა დროსაც ადამიანი კარგავს მეხსიერებისა და აზროვნების ფუნქციებს. პირველად ავადმყოფს აღენიშნება სიძნელეები ადამიანთა სახელების გახსენებაში, აგრეთვე სიტყვების სემანტიკური მნიშვნელობის გახსენებაში. განსაკუთრებულად გამოხატულად ვლინდება მეხსიერების დეფიციტი უახლოეს მოვლენებზე და ამიტომ ეს დაავადება დასაწყისში ანტეროგრადულ ამნეზიას (კორსაკოვის სინდრომს) ემსგავსება. დაავადება პროგრესირდება და ადამიანი საბოლოოდ სრულიად უმწეო ხდება. ნერვული ელემენტები განსაკუთრებით ჭარბად არიან გადაგვარებული ნეოკორტექსის საფეთქლისა და ფრონტალურ მიდამოებში. აცქ-ის გამომყოფი ნეირონები განთავსებული არიან არა საკუთრივ ჰიპოკამპსა და ნეოკორტექსში, არამედ ქერქვეშა წარმონაქმნებში, რომლებიც პროექციებს ნეოკორტექსისაკენ და ჰიპოკამპისაკენ აგზავნიან. კერძოდ, ქოლინერგული ნეირონები, რომლებიც პროექციებს ნეოკორტექსისაკენ აგზავნიან, განთავსებული არიან პრეოპტიკური მიდამოს ახლოს მდებარე ბაზალურ ბირთვში, ხოლო იმ ქოლინერგული ნეირონების სხეულები, რომლებიც პროექციებს ჰიპოკამპში აგზავნიან ლოკალიზებულნი არიან ძვიდუში (Everitt and Robbins 1997; Sarter and Bruno, 2000). ალცჰაიმერის

დაავადება ვითარდება ასევე გლუტამატერგული ნეირონების დეგენერაციის დროს, რომლებიც სათავეს აძლევენ პერფორანტულ გზას (ენტორინალური ქერქიდან დაკბილულ ხვეულამდე) (ნა-ნეიშვილი, 1996).

ნეიროდეგენერაციული დაავადებების განვითარების მოლეკულური მექანიზმები

ის მოლეკულური მექანიზმები, რომლებიც უჯრედის დაზიანების შეუქცევად ცვლილებებს იწვევენ, საკმაოდ რთულია, გამომწვევი მიზეზები კი ძალზე მრავალფეროვანი. უჯრედის დაზიანება შეიძლება გამოიწვიოს ჰიპოქსიამ, ქიმიური, ფიზიკური და ინფექციური აგენტების სიმრავლემ, ისევე როგორც იმუნური ლიზისის პროცესებს შეუძლია უჯრედის მემბრანის დაზიანება და კვდომა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი უჯრედის დაზიანებისა, არის თავისუფალი ე.წ. რეაქტიული ჟანგბადური სახეობებით (Reactive Oxygen Species –ROS) დაზიანება. ბიოქიმიიდან ცნობილია, რომ ROS რადიკალების უმეტესობა წარმოიქმნება არასრული მეტაბოლიზმის პროდუქტებში, ელექტრონების ჟანგბადიდან წყალზე გადატანის პროცესში. წარმოქმნილი ნაირსახეობები ცნობილია, როგორც რედოქს-აქტიური ნივთიერებები, რომლებიც მოქმედებენ უჯრედულ კომპონენტებზე, როგორცაა ცილები, ლიპიდები, ნახშირწყლები და ნუკლეინის მჟავები. თავისუფალ რადიკალებს შეუძლიათ ავტო-კატალიზური ჯაჭვური რეაქციების ინიცირება და გავრცელება.

ალცჰაიმერის დაავადება, ისევე როგორც პარკინსონისა და ჰუნტინგ-

ტონის დაავადებები. ნეიროდეგენერაციული დაავადებების რიცხვს განეკუთვნება, კერძოდ, ე.წ. „პროტეინ-კონფორმაციულ“ დაავადებებს და აღენიშნებათ მსოფლიოს ასაკოვანი მოსახლეობის ასეულ ათასობით ადამიანს. პროტეინ კონფორმაციული დაავადებები ვითარდება ფუნქცია დაკარგული და შესაბამისად არაბუნებრივი კონფორმაციის მქონე პროტეინების აგრეგაციის შედეგად. ეს პროცესი ხშირად ასოცირდება მრავალგვარ მეტაბოლურ დარღვევებთან, რაც იწვევს რეაქტიული ჟანგბადნაერთების სახეობების – ROS წარმოქმნას და ოქსიდაციურ სტრესს.

ოქსიდაციური სტრესი მრავალი ფიზიოლოგიური პროცესის რეგულაციისა და პათოფიზიოლოგიური პროცესის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმია. ROS განისაზღვრება როგორც მოლეკულების ჯგუფები, რომლებიც მოქმედებენ უჯრედულ კომპონენტებზე, გააჩნიათ მათზე დამაზიანებელი ზეგავლენა და იწვევენ მათ დისფუნქციას. ROS მოიცავს თავისუფალ რადიკალებს, როგორცაა სუპეროქსიდი O_2^- , აზოტის ჟანგი NO, ჰიდროქსილ რადიკალი OH \cdot და სხვა ნაირსახეობები, როგორცაა წყალბადის ზეჟანგი H_2O_2 და პეროქსინიტრიტი $ONOO^-$.

NO იყო პირველი აირი, რომელიც იდენტიფიცირებული იყო როგორც ნეიროტრანსმიტერი და მოქმედებს როგორც ცნს-ში ასევე პნს-ში. იგი გამონთავისუფლდება პრესინაპსური აქსონიდან და გავლენას ახდენს მეზობელი უჯრედების მემბრანის შემადგენლობაში მყოფ ლიპიდურ მოლეკულებზე. ზოგ შემთხვევაში NO პოსტსინაპსურ მემბრანაზე წარმოიქმნება და დიფუნდირებს უკან პრესინაპსური ნეირონისაკენ

ე.ი. მოქმედებს როგორც რეტროგრადული მესენჯერი (Fox, 2011).

NO წარმოიქმნება აზოტის ოქსიდის სინთეზას მიერ (NOS) მრავალი ორგანოს უჯრედებში, ამინომჟავა L – არგინინისაგან და ის ერთვება უჯრედის მრავალგვარ ფუნქციებში. სისხლძარღვებში ის მოქმედებს ლოკალურად, როგორც ქსოვილთა რეგულატორი, რაც იწვევს სისხლძარღვის გლუვკუნთოვანი მუსკულატურის რელაქსაციას და შესაბამისად სისხლძარღვთა გაფართოებას. მაკროფაგებში და სხვა უჯრედებში NO ანადგურებს ბაქტერიებს. სამიზნე უჯრედში მოხვედრისას იგი ააქტიურებს ციკლურ გუანოზინმონოფოსფატს (cGMP), რომელიც მოქმედებს როგორც მეორადი მესენჯერი.

იმ შემთხვევაში თუ NO ჭარბი რაოდენობით წარმოიქმნება, ის ერთვება რედუქციული ოქსიდაციური რეაქციების ჯაჭვში და იწვევს უჯრედის დაზიანებას ე.წ. „ნიტროზულ სტრესს“. ნიტროზული სტრესი მონაწილეობს ნეიროდეგენერაციული დაავადებების პათოგენეზში. ერთერთ ასეთ ნეიროდეგენერაციულ დაავადებას წარმოადგენს ალცჰაიმერის დაავადება.

ალცჰაიმერით დაავადებულ ადამიანებს აღენიშნებათ:

1. ნეირონების შემცირება ჰიპოკამპში და თავის ტვინის ქერქში;
2. უჯრედშიდა პროტეინების აკუმულაცია, რაც წარმოქმნის ნეიროფიბრილარულ გროვებს;
3. უჯრედგარეთა ცილების დეპოზიტი, რასაც უწოდებენ სენილურ ფოლაქებს.

ყველაზე დიდი რაოდენობით წარმოქმნილ დეპოზიტში შეინიშნება ამილოიდ β-პეპტიდი (Aβ). Aβ ფორმირდება უფრო დიდი პრეკურსორი ცილის (APP – აბრევიატურა) დათიშვის შედე-

გად, ფერმენტების α, β, და γ-სეკრეტაზას ზეგავლენით. ფერმენტი γ-სეკრეტაზა აკატალიზებს კონკრეტულად Aβ პეპტიდის წარმოქმნას, რასაც აქვს დიდი სამედიცინო მნიშვნელობა. Aβ პეპტიდი, 42 ამინომჟავის სიგრძის პეპტიდია, რომელიც წარმოქმნის მეტად ტოქსიკურ წყალში უხსნად ბოჭკოვან გროვებს, რომელთაც შეუძლიათ მეზობლად მდებარე ნეირონების განადგურება. ადამიანებს, რომელთაც გააჩნით ალცჰაიმერის დაავადების მიმართ მემკვიდრეობითი განწყობა, აღენიშნებათ მუტაცია, რომელიც ზრდის Aβ პეპტიდის რაოდენობას განპირობებულს γ-სეკრეტაზის აქტივობით.

ალცჰაიმერის დაავადების შემთხვევათა უმეტესობა კლასიფიცირდება როგორც „სპორადული“ ფორმები – არ მომდინარეობს ოჯახური ხაზით და განპირობებულია მრავალი გენისა და გარემო ფაქტორების ურთიერთქმედებით. სპორადული ფორმების ზუსტი მიზეზი ჯერ კიდევ შეუსწავლელია, თუმცა პროგრესირებს და გარკვეულ კორელაციაში იმყოფება Aβ გროვების წარმოქმნასთან (Smith et al., 1997).

კლინიკური დაკვირვებით გამოვლენილია, რომ ინტელექტუალურად და ფიზიკურად აქტიური ცხოვრების სტილი იცავს ალცჰაიმერის დაავადების განვითარებისაგან, სავარაუდოდ, ე.წ. „კოგნიტური რეზერვების“ შექმნის გზით. ასევე არსებობს მონაცემები (Fox, 2011; დავითაშვილი, 2013), რომ საკვებ რაციონში მაღალ კალორიული პროდუქტებისა და ნაჯერი ცხიმების გამოთიშვა და C, E ვიტამინებისა და ფოლიუმის მჟავის დამატება საგრძნობლად ამცირებს დაავადების განვითარების რისკს.

თუკი დაავადება უკვე განვითარდა, უმეტესი სიმპტომების მკურნალობა მი-

მდინარეობს აცეტილქოლინესთერაზის აქტივობის დამორგუნველი პრეპარატების გამოყენების გზით, ვინაიდან ალცჰაიმერის დაავადება ძირითადად ქოლინერგული ნეირონების დესტრუქ-

ციას იწვევს და პრეპარატები, რომლებიც თრგუნავენ აცეტილქოლინის (აცქ) ინაქტივაციას, ხელს უწყობენ ქოლინერგული ტრანსმისიის გაძლიერებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დავითაშვილი დ. ოქსიდაციური სტრესის როლი თავის ტვინის ნეიროდეგენერაციული დაზიანებების დროს და მისი მოდულაცია – თბილისი 2013, 167 გვ.
2. ნანეიშვილი თ. – ქცევის ფსიქოფიზიოლოგია თბილისი, გვ. 349-370, 1996.
3. Alvarez P., Squire L., Memory consolidation and medial temporal lobe: A simple network model. – Proc. Nat. Acad. Sci. 91, 7041-7045, 1994.
4. Amaral D.G., Witter M.P. The three-dimensional organization of the hippocampal formation: a review of anatomical date. – Neuroscience 31, 571-591, 1983.
5. Burton LA., Gilliam D. Global affective memory for faces in patients with temporal lobe epilepsy. – Neurosci. nov.1:22(21):9502-12, 2002.
6. Carlson Neil R. – Physiology of Behavior. p.1010. 1998.
7. Dudai Y., Morris RGM. Memorable Trends. – Neuron 80, 742-750, 2013.
8. Everitt B.J. and Robins T.W. Central cholinergic systems and cognition. – Annu. Rev. Psychology, 48,649-684, 1997.
9. Hovard Eichenbaum. The long and winding road to memory consolidation – Nature Neuroscience, vol.4, #11, 2011.
10. Scoville W.B., Milner B. Loss of recent memory after bilateral hippocampal lesions. – J. Neurol. Neurosurg. Psychiatry 20, 11-21. 1957.
11. Sarter M. and Bruno J. Cognitive functions of cortical acetylcholine. – Brain Res. Rev. 23, 28-46, 2000.
12. Squire L., Alvarez P. Retrograde Amnesia and Memory Consolidation: A Neurobiological Perspective. – Curr. Opin. Neurobiol. # 5 : 169-177, 1995.
13. Smith MA., Richey Harris PL., Bekman JS., Perry G. Widespread Peroxynitrite – mediated Damage in Alzheimer’s disease. – J. Ne.

**სოციალური
მეცნიერებები**

MIGRATION OF HIGHLY QUALIFIED EMPLOYEES

Nona Gelitashvili
E-mail:
ngelitashvili@thu.edu.ge



Nona Gelitashvili

*Doctor of Economics,
Professor of Tbilisi Humanitarian Teaching University
ngelitashvili@thu.edu.ge*

ABSTRACT

The article introduces various approaches of advanced countries in relation to international migration, reveals the essence and significance of migration of highly qualified employees. Against the context of the American „success story“, as well as due to negative demographic developments in many OECD countries, more and more countries have begun to hire highly skilled workers for their labor market. At the same time, they are in intense competition with each other, especially with the United States, which is still the main target country for the migration of highly qualified specialists. In recent years, the immigration of skilled and highly skilled workers has been increasingly discussed. In the international labor market, the current situation is characterized by high unemployment rates and a simultaneous shortage of skilled workers. Research has shown that the number of highly qualified foreigners has increased in recent years, especially from the new EU member states. However, the structure of individual nationalities varies greatly.

KEYWORDS

International migration policy, Immigration of highly skilled workers, Qualification and certification, Restrictions on obtaining work permits

მაღალკვალიფიციური თანამშრომლების მიგრაცია

ნონა გელიტაშვილი
ე.დ. ფოსტა:
ngelitashvili@thu.edu.ge



ნონა გელიტაშვილი
ეკონომიკის დოქტორი
თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო
უნივერსიტეტის პროფესორი
ngelitashvili@thu.edu.ge

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია მოწინავე ქვეყნების განსხვავებული მიდგომები საერთაშორისო მიგრაციასთან დაკავშირებით, ნაჩვენებია მაღალკვალიფიციური თანამშრომლების მიგრაციის არსი და მნიშვნელობა. ამერიკული „ნარმატების ისტორიის“ ფონზე, ისევე როგორც OECD-ს ბევრ ქვეყანაში ნეგატიური დემოგრაფიული მოვლენების გავალისწინებით, სულ უფრო და უფრო მეტმა ქვეყანამ დაიწყო მაღალკვალიფიციური მუშაკების დაქირავება თავისი შრომის ბაზრისთვის. ამავე დროს, ისინი ინტენსიურ კონკურენციაში არიან ერთმანეთთან, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რომელიც კვლავ რჩება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიგრაციის მთავარ სამიზნე ქვეყნად. ბოლო წლებში სულ უფრო მეტად განიხილება გამოცდილი და მაღალკვალიფიციური მუშაკების იმიგრაცია. საერთაშორისო შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა ხასიათდება უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლებით და კვალიფიციური მუშახელის იმავდროული დეფიციტით. კვლევამ აჩვენა, რომ ბოლო წლებში გაიზარდა მაღალკვალიფიციური უცხოელების რაოდენობა, განსაკუთრებით ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნებიდან. თუმცა, ცალკეულ ეროვნებათა სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება.

საკვანძო სიტყვები

საერთაშორისო მიგრაციული პოლიტიკა; მაღალკვალიფიციური მუშაკების იმიგრაცია; კვალიფიკაცია და სერტიფიცირება; სამუშაო ნებართვის მოპოვების შეზღუდვები

МИГРАЦИЯ ВЫСОКОКВАЛИФИЦИРОВАННЫХ СОТРУДНИКОВ

Нона Гелиташвили
E-mail:
ngelitashvili@thu.edu.ge



Нона Гелиташвили

*Доктор экономики, Афилированный Профессор Тбилисского
Гуманитарного Учебного Университета*

АБСТРАКТ

В статье рассматриваются различные подходы развитых стран по отношению международной миграции, раскрываются сущность и значение миграции высококвалифицированных сотрудников. На фоне американской „истории успеха», а также ввиду негативного демографического развития во многих странах ОЭСР, всё больше и больше государств начали нанимать высококвалифицированных работников для своего рынка труда. При этом они находятся в острой конкуренции друг с другом, особенно с США, которые по-прежнему являются основной целевой страной для миграции высококвалифицированных специалистов. В последние годы всё чаще обсуждается иммиграция квалифицированных и высококвалифицированных рабочих. На международном рынке труда текущая ситуация характеризуется высоким уровнем безработицы и одновременной нехваткой квалифицированных рабочих. Исследования показали, что количество высококвалифицированных иностранцев в последние годы увеличилось, особенно из новых стран-членов ЕС. Однако структура отдельных национальностей сильно различается.

КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА

Международная миграционная политика, Иммиграция высококвалифицированных рабочих, Квалификация и сертификация, Ограничения на получение разрешений на работу

Основной текст

Высококвалифицированные мигранты – это подготовленные и специализированные рабочие с высшим образованием. Они пользуются большим спросом во всём мире, особенно в области математики, инженерии, естественных наук и технологий, то есть в так называемых профессиях STEM (Science, Technology, Engineering and Mathematics). Но врачи, менеджеры и предприниматели также пользуются большим спросом во всём мире. Это относится не только к высокоразвитым промышленно развитым странам, но во всё большей степени также к развивающимся странам и странам с переходной экономикой, поскольку эти навыки и квалификация могут внести значительный вклад в экономический рост страны. В связи с этим большим спросом постоянно увеличивается миграция высококвалифицированных рабочих.

США – самая важная страна для иммиграции высококвалифицированных специалистов. Здесь в первой половине прошлого века начали набирать высококвалифицированных мигрантов. Например, еще в Законе об иммиграции 1924 года были первые положения о найме высококвалифицированных рабочих, которые, однако, всё еще были связаны с выходцами из определенных стран. [7]

После Второй мировой войны краеугольным камнем иммиграционной политики США в отношении высококвалифицированных специалистов считается Закон об иммиграции и гражданстве, принятый в 1952 году. Закон ввёл две особые категории иммиграции высококвалифицированной рабочей силы,

которые по сей день составляют основу для иммиграции высококвалифицированных сотрудников в США. К этим категориям относятся:

► С одной стороны, иммиграционная категория для постоянных иммигрантов, зарезервированная для трудящихся и членов их семей;

► С другой стороны, категория временных иммигрантов, которые либо отличаются исключительными достоинствами и способностями, либо могут испытывать определенные ограничения на внутреннем рынке труда.

Закон об иммиграции 1990 г. облегчил временную иммиграцию высококвалифицированных рабочих. Первоначальная программа H-1 была преобразована в новую программу H-1B, которая теперь является самой важной программой для высококвалифицированных специалистов во всём мире. Первоначально лимит на выдачу виз H-1B составлял 65 000 в год. В 1998 году число иммигрантов было увеличено с 65 000 до 115 000, на основании „Закона США о конкуренции за повышение квалификации рабочей силы“, а в 2000 году – на основании так называемого „Закона о конкурентоспособности Америки в XXI веке“ до 195 000 человек. [2. P.107]

Большинство виз H-1B предназначалось для американского сектора информационных технологий (профессий, связанных с компьютерами), за которым следовали архитекторы, инженеры и исследователи, а также – административные специальности и профессии в области медицины и здравоохранения. Дополнительные изменения в правила H-1B были внесены законодательством в 1998, 2000, в 2003 году для Сингапура и Чили в Закон о реформе визового режи-

ма Н-1В 2004, 2008 и 2009 годов. С тех пор Служба гражданства и иммиграции США изменила также правила игры.

Н-1В – это виза в США в соответствии с разделом 101(a)(15)(H) Закона об иммиграции и гражданстве [9], которая позволяет работодателям США временно нанимать иностранных работников по определённым специальностям. Срок пребывания составляет три года с возможностью продления до шести лет; после чего держателю визы может потребоваться повторная подача заявления. Законы ограничивают количество виз Н-1В, которые выдаются каждый год: в 2019 году было выдано 188 100 новых и первоначальных виз Н-1В [8].


Летом 2020 года президент Трамп временно приостановил выдачу виз после коронавирусного кризиса, и даже некоторые владельцы виз не смогли вернуться в США. [6]

На фоне американской „истории успеха», а также ввиду негативного де-

мографического развития во многих странах ОЭСР (сокр. ОЭСР Организация экономического сотрудничества и развития. англ. Organisation for Economic Cooperation and Development, OECD), все больше и больше государств также начали нанимать высококвалифицированных работников для своего рынка труда. При этом они находятся в острой конкуренции друг с другом, особенно с США, которые по-прежнему являются основной целевой страной для миграции высококвалифицированных специалистов.

Как показывает исследование ОЭСР, почти все государства-члены ОЭСР теперь имеют специальные программы найма, предназначенные для привлечения высококвалифицированных специалистов со всего мира. [2. Р. 109] В некоторых странах (США, Австралия, Канада) этот набор инструментов очень доработан, и льготы устанавливаются не только для высококвалифицированных сотруд-

ДИАГРАММА 1. Приток иностранных граждан в страны ОЭСР на постоянное жительство, 2000-2016 годы (в млн человек)



Источник: ОЭСР, Доклад о миграции в мире. Примечание: Данные не стандартизированы и поэтому отличаются от статистических данных о притоке мигрантов в отдельные страны на постоянное жительство, которые содержатся в Обзоре международной миграции за 2018 год ОЭСР (ОЭСР, 2018).

ников, но и для членов их семей. В принципе, можно выделить два типа политики найма: 1) модели ориентированные на спрос и 2) на предложение.

Из 33,2 миллиона иммигрантов в ОЭСР и 11 миллионов в ЕС, имеющих высокий уровень образования, около 8,1 и 2,9 миллиона, соответственно, заняты на должностях, для которых они сверхквалифицированы. Еще 7 или 2,4 миллиона из них – безработные. Это означает, что вместе взятые формальные квалификации почти 45% иммигрантов с высоким уровнем образования в странах ОЭСР и ЕС используются не полностью. Для высококвалифицированных специалистов, родившихся внутри страны, соответствующая доля составляет 40% в зоне ОЭСР и 30% в ЕС. [4] Диаграмма 1 показывает постоянный рост притока иностранных граждан в страны ОЭСР на постоянное жительство, в 2000-2016 годы (Диаграмма 1.).

ჯარისკაცის ურთიერთობა საკუთარ სამსახურთან მოიცავს სამ მომენტს: სამსახურის შეფასება როგორც განსაზღვრული სოციალური ფასეულობა, დამოკიდებულება საკუთარი პროფესიისა და სპეციალობის მიმართ, რომელიც არის ერთერთი სახე შრომითი საქმიანობის, და სამსახურთან დამოკიდებულება. ყველა ეს სამი დამოკიდებულება განსხვავებულია და ამავედროულად აქვთ საერთო, ისინი შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ვარიანტებშიც. სამსახურთან დამოკიდებულება მოიცავს დაკმაყოფილების ან დაუკმაყოფილებლობის სურვილს, პროფესიით ან სამსახურით, განსხვავებულია მიჯაჭვულობის დონეც. ის განისაზღვრება სოციალური მდგომარეობით და პიროვნების როლზე სამუშაო პროცესში. ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ სამსახურთან დამოკიდებულება, როგორც ხასიათის უმნიშვნელოვანესი მხარე ჯარისკაცისა გამოვლინდება აზრებში და გრძნობებში და აისახება ქცევაზე.

ადამიანის დამოკიდებულება საკუთარი თავის მიამრთ დაკავშირებულია ხასიათთან, ისევე როგორც დამოკიდებულება სხვა ადამიანებისა და კოლექტივისადმი რომელშიც ის მოღვაწეობს.

პიროვნების ხასიათი ძალიან არის დაკავშირებული ტემპერამენტთან, ზოგ შემთხვევაში რთულია მათი

ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ადამიანის ხასიათი ძლიერ გავლენას ახდენს ტემპერამენტის გამოვლინებაზე, მის ცვლილებებზე და მის გამოვლინებებზე ადამიანის ქცევაში.

მთავარი განსხვავება მათ შორის მდგომარეობს იმაში, რომ ტემპერამენტი განსაზღვრულია, როგორც თანდაყოლილი ბიოლოგიური თავისებურება ნერვული და ენდოკრინული სისტემა ადამიანისა, ხოლო ხასიათი არის შეძენილი რომელსაც განაპირობებს გარემო და აღზრდა.

თანამედროვე ფსიქოლოგია ფიქრობს, რომ ნებისმიერი ხასიათის ფორმირება შესაძლებელია, ამას ყველაფერს განაპირობებს ის გარემო, რომელშიც ეს კონკრეტული პიროვნება ცხოვრობს. სამხედრო სამსახური პირდაპირ გავლენას ახდენს სამხედროს ხასიათის ფორმირებაზე. სამხედროს უნდა ჰქონდეს ძლიერი, მტკიცე, შეუპოვარი ხასიათის ნიშან-თვისებები. არცთუ ისე იშვიათად, სამხედრო დადებითად აფასებს სიჭიუტეს, თვლის რომ ეს პრინციპულობის გამოვლინებაა, ასევე ხასიათის სიძლიერის გამოვლინებაა. ისეც ხდება, რომ ისინი უარყოფითად აფასებენ ხასიათის დადებით მხარეებს, ისინი ამას მიაწერენ ხასიათის ისეთ მხარეებს როგორიცაა: გაუბედაობა, გულმავიწყობა, არათანამედროვეობა და ა. შ. ისინი მგრძნობიარობას სუსტ ხასიათს მიაწერენ, ამასთან აცხადებენ, რომ მგრძნობიარობა ეს არის სუსტი ნებისყოფა, ამიტომ სამხედრო უნდა იყოს ცივისსხლიანი და უხეში. თავაზიანობა ხელმძღვანელობასთან მიმართებაში განიხილება როგორც ლაქუცი და სარგებლის მიღება. მნიშვნელოვანია, რომ მეთაურებმა სწორი აზროვნება ჩამოუყალიბონ სამხედროებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

ქეშმარიტი წარმოდგენების არსებობა და იდეალის ძიების მთავარი პირობაა ძლიერი ხასიათის ჩამოყალიბება. თუმცა მხოლოდ ეს არ არის საკმარისი. მნიშვნელოვანია, რომ ადამიანს ჰქონდეს არამხოლოდ სწორი წარმოდგენა, არამედ სწორად უნდა იქცეოდეს სხვადასხვა სიტუაციებში, რათა მისი მორალური ცნობიერება მთლიანად ემთხვეოდეს მის ქცევას.

როდესაც ქცევა არის აზროვნების შესაბამისი, შეიძლება ითქვას, რომ ჩამოყალიბებულია სწორი მსოფლმხედველობა. თუ ეს ასე არ არის, მაშინ ჯარისკაცის ქცევა არის უფრო ცალმხრივი, არასრული. ცნობილია, რომ ერთიდაიგივე ქცევამ შეიძლება მიგვიყვანოს ხასიათის სხვადასხვა ნიშანთვისებების ჩამოყალიბებამდე, რომელსაც საფუძვლად უდევს ინტერესები, შეხედულებები, სურვილები. თანამშრომლის კრიტიკამ შეიძლება ჩამოაყალიბოს არამართო პრინციპულობა და სამართლიანობა, არამედ ეგოიზმი, თავლთმაქცობა. მნიშვნელოვანია, რომ საუბარი უნდა ეხებოდეს სამხედროების აღზრდასა და გამოცდილების გაზიარებას, არამართო განსაზღვრული ქცევის დროს, არამედ მასში ჩადებული სწორი და დადებითი მოტივების დროს.

სამხედროს ძლიერი ხასიათი გამოიწვევს სირთულეებთან ბრძოლის დროს, ბარიერების გადალახვის შემთხვევაში. ქცევის სწორი ფორმის განმტკიცება ავითარებს ძლიერ, ვაჟკაცურ, მამაც, ინიციატივიან, დამოუკიდებელ, აქტიურ მხარეებს.

სამხედრო სამსახურის დაწყებასთან ერთად იწყება ახალი ეტაპი სამხედროს ხასიათის ჩამოყალიბებისა. სამხედრო წესრიგი მას აიძულებს დაემორჩილოს მკაცრ წესებს და მოვალეო-

ბებს, გაითვალისწინოს წესდებები, ინსტრუქციები, ბრძანებები, წესდებების მოთხოვნები, დავალებების შესრულება, სამხედრო მორიგეობები, საყარაულო სამსახური და სხვა მოვალეობები ავითარებს სამხედროებში ხასიათის შემდეგ თვისებებს: დისციპლინა, მიზანდასახულობა, პასუხისმგებლობა, აკურატულობა, ორგანიზებულობა და ა. შ.

ქმედების გამეორების პროცესში, ქცევებით გროვდება გამოცდილება. ეს ყველაფერი აისახება ცნობიერებაში და დროთა განმავლობაში ეს ქცევა ხდება ჩვევა.

სამხედროს ხასიათის კრიტიკული თვისებების განვითარებისათვის განმსაზღვრელ როლს თამაშობს ასევე კოლექტივი. თანამშრომლობა, კონტროლი და მოთხოვნები, რომელსაც სამხედრო კოლექტივი უყენებს თავის წევრებს, სამხედროებს უყალიბებს პასუხისმგებლობას, თანამშრომლობას, ერთმანეთის დახმარების სურვილს. ეს თვისებები ხასიათს აძლევს მიმართულებას და ვალდებულებებს.

თანამედროვე პირობებში, ჯარისკაცის ხასიათის ჩამოყალიბების სფეროში, დიდი წვლილი შეაქვს სამხედროს ფიზიკურ მომზადებას, მის ფიზიკურ მზობას სხვადასხვა დაბრკოლებების წინაშე, ფიზიკურად რაც უფრო მომზადებულია სამხედრო, იგი მით უფრო მეტად არის დარწმუნებული საკუთარ ძალებში.

ხასიათის თვისებების ფორმირების საკითხის დიდ როლს თამაშობს სამხედროს თვითაღზრდა, საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერება. ამ პროცესებს უნდა ხელმძღვანელობდნენ მეთაურები, სამხედროსში აღვიძებდნენ ისეთ თვისებებს ხასიათისა, რომელიც ხელს შეუწყობს მათ წარმატებულ სამსახურს სამხედრო საქმეში.

მნიშვნელოვანია ჯარისკაცს მეთაურმა ასწავლოს საკუთარი საქციელის სწორი შეფასება, რათა შეიგრძნოს საკუთარი ნაკლოვანებები და შემდგომში შეძლოს ამ ნაკლოვანებების დაძლევა.

ამრიგად, ხასიათი ეს არის ადამიანის ფსიქიკური თავისებურება, რომელზეც დამოკიდებულია ადამიანის მსოფლმხედველობა და მისი ქცევები. [4]

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იმნაიშვილი თ. „შეირაღებული ძალები XXI საუკუნის მიჯნაზე“. <http://www.nplg.gov.ge/gSDL/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1--0-10-0--0-0->
2. სამხედრო ფსიქოლოგია. მეთოდოლოგია, თეორია, პრაქტიკა. მოსკოვი. 1996 წ.
3. http://goup32441.narod.ru/files/ogp/001_oporn_konspekt/2005/2005-08-3.html
4. Военная психология Под редакцией В. в. Шеляга, А. д. Гло-точкина, К. к. Рлатонова ВОЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО.МОСКВА – 1972. С-400.

FOR IMPROVING OF ACTUAL ASPECTS IN BANKING

Besarion Nakopia
ერ. ფოსტა:
besarionakopia@yahoo.com



Besarion Nakopia

Professor at Tbilisi Humanitarian Teaching University

ABSTRACT

Considering national experience accumulated in banking and comprehensive study and generalization of the practice of the European Union, the United States, and other foreign countries, it is of the highest importance to analyze and develop effective methods of banking management, to determine the correct strategy of banking institutions. One of the macroeconomic areas of the economy that has gone through a difficult and controversial period and, unlike other areas, has achieved high results is the banking system. The progress, development of the economy, is unthinkable without the active functioning of the monetary-credit system. The banking system has a direct impact on almost all sectors of the economy and significantly determines its development vector. In commercial banks, due to the specifics of a banking product, the risk is a necessary and constantly accompanying process. There should be a discussion in banks about not completely neutralizing the risk but foreseeing and reducing it to a minimum. In commercial banks, the method of the final evaluation of the borrower is increasingly used, which involves determining the customer's rating. Borrower evaluation criteria are individual for each bank and are based on the experience of the bank. In order to meet the growing demand for credit resources, maximum mobilization of accumulated savings and current requirements must be met based on constraints, flexible deposit policies, and a high guarantee of reliability for their customers.

KEYWORDS

Transparency, Independence, Universality, Accountability

საბანკო საქმიანობის სრულყოფის აქტუალური საკითხები

ბესარიონ ნაყოფია
ე.ფ.ფოსტა:
besarionakopia@yahoo.com



ბესარიონ ნაყოფია

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის
პროფესორი, ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი

აბსტრაქტი

საბანკო საქმეში დაგროვილი ეროვნული გამოცდილებისა და ევროკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საზღვარგარეთული სხვა ქვეყნების პრაქტიკის კომპლექსურად შესწავლისა და განზოგადების გათვალისწინებით აუცილებელია, უმნიშვნელოვანესია საბანკო მენეჯმენტის ეფექტიანი მეთოდების ანალიზი და დამუშავება, საბანკო ინსტიტუტების სწორი სტრატეგიის განსაზღვრა.

ეკონომიკის მაკროეკონომიკური ერთ-ერთი სფერო, რომელმაც რთული და წინააღმდეგობრივი პერიოდი გამოიარა და სხვა სფეროებისაგან განსხვავებით, მაღალ შედეგებს მიაღწია, არის საბანკო სისტემა. ეკონომიკის წინსვლა, განვითარება წარმოდგენილია ფულად-საკრედიტო სისტემის აქტიური ფუნქციონირების გარეშე. საბანკო სისტემა უშუალო ზეგავლენას ახდენს ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროზე და უმნიშვნელოვანესწილად განსაზღვრავს მისი განვითარების ვექტორს. კომერციულ ბანკებში, საბანკო პროდუქტის სპეციფიკის გამო, რისკი აუცილებელია და მუდმივად თანმდევი პროცესია. ბანკებში მსჯელობა უნდა იყოს რისკის არა მთლიანად განეიტრალებაზე, არამედ მისი წინასწარი განჭვრეტისა და მინიმალურ ოდენობამდე შემცირებაზე.

კომერციულ ბანკებში სულ უფრო გამოიყენება სესხის მიმღების საბოლოო შეფასების მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს კლიენტის რეიტინგის განსაზღვრას. მსესხებლის შეფასების კრიტერიუმები თითოეული ბანკისათვის ინდივიდუალურია და დაფუძნებულია ბანკის გამოცდილებაზე.

კომერციულმა ბანკებმა საკრედიტო რესურსებზე მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, დაგროვილი დანაზოგების მაქსიმალური მობილიზება და მიმდინარე მოთხოვნილებები შეზღუდვის, მოქნილი დეპოზიტური პოლიტიკისა და თავიანთი კლიენტებისათვის საიმედოობის მაღალი გარანტიის უზრუნველყოფის საფუძველზე უნდა განახორციელონ.

საკვანძო სიტყვები:

გამჭვირვალობა, დამოუკიდებლობა, უნივერსალურობა, ანგარიშგაღებულება

საბანკო სისტემის განვითარების მიმართ ახალ გამოწვევებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: ა) ტექნოლოგიური რევოლუცია; ბ) მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება-განსაკუთრებით კომპიუტერულ და ტელესაკომუნიკაციო საშუალებათა სფეროში სრულიად ახალი მრავალფეროვანი საბანკო ტექნოლოგიების შემუშავება-დანერგვის პროცესს უზრუნველყოფს; გ) რესურსების ღირებულების ზრდა; დ) დერეგულირების პროცესი კონკურენციის ზრდასთან ერთად იწვევს პასიური ოპერაციების ღირებულების ზრდას. ყოველივე ამის გამო ბანკების უმრავლესობისათვის საოპერაციო დანახარჯების შემცირება ფინანსური მომსახურების განხორციელების კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების ძირითად საშუალებას წარმოადგენს.

საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების მნიშვნელოვანი ფაქტორია კომერციული ბანკების ფუნქციებისა და საქმიანობის სრულყოფა. აღნიშნული ამოცანის უზრუნველსაყოფად საჭიროა, რომ ბანკებმა აქტიური ოპერაციების მართვის სრულყოფის მიმართულებით გაატარონ სათანადო ეფექტური ღონისძიებები, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობიდან უმტკივნეულოდ და უფრო მოკლე დროში გამოყვანას. რამდენადაც ბანკის აქტიური ოპერაციების საფუძველზე ხორციელდება მისი, როგორც საინვესტიციო, ასევე უმეტესწილად საკრედიტო საქმიანობა, დიდი ადგილი უნდა დაეთმოს მსესხებელთა კრედიტუნარიანობის წინასწარ და სწორად განსაზღვრას, ლიკვიდურობის ამაღლებას, კაპიტალის ბრუნვადობის დაჩქარებას, მოზიდული სახსრების ორგანიზებულად გამოყენებას.

კომერციული ბანკების საქმიანობის შედეგების შეფასება, საბანკო მენეჯმენტის ეფექტიანი მეთოდების ანალიზი და დამუშავება, საბანკო ინსტიტუტების სტრატეგიის განსაზღვრა უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს საბანკო საქმეში დაგროვილი ეროვნული გამოცდილებისა და ევროკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა განვითარებული ქვეყნების პრაქტიკის კომპლექსურ შესწავლასა და განზოგადებას.

ლიბერალური ეკონომიკის მაკროეკონომიკური ერთ-ერთი სფერო, რომელმაც რთული და წინააღმდეგობრივი პერიოდი გამოიარა და სხვა სფეროებისაგან განსხვავებით მაღალ შედეგებს მიაღწია, არის საბანკო სისტემა. სწორედ საბანკო სექტორი წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და აუცილებელ დარგს, რომელიც განვითარების თავისებურებებით ხასიათდება და მთელი ეკონომიკური სისტემის ქმედითუნარიანობას განსაზღვრავს. საბანკო სისტემა უშუალო ზემოქმედებას ახდენს ლიბერალური ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროზე, უმნიშვნელოვანესად განსაზღვრავს მისი განვითარების ვექტორს.

საქართველოს ეროვნული ბანკი ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის შემუშავებისას ქვეყნის მაკროეკონომიკური ამოცანებიდან უნდა გამოდიოდეს, ინფლაციურ პროცესებზე კონტროლის განხორციელების მეშვეობით უნდა ასტიმულირდეს ეროვნული ეკონომიკის რეალური სექტორის სტაბილურ ზრდას. მას სავალუტო ინტერვენციების გატარების საშუალებით შესაძლებლობა ეძლევა ფულის მასის ზრდა რეალურ ეკონომიკურ მოთხოვნას შეუსაბამოს, რაც ზღუდავს ინფლაციის წარმოქმნას, თუმცა,

მეორეს მხრივ, იგი ეროვნული ბანკის ანგარიშებზე უცხოური აქტივების მოცულობის შემამცირებელ ფაქტორად გვევლინება. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად ხშირად იყენებენ ეროვნული ბანკის შეღავათიანკრედიტებს. კომერციული ბანკები მაღალი საკრედიტო რისკის პირობებში არ არიან დაინტერესებულები საკრედიტო პროცენტის შემცირებით. ასევე დეპოზიტების მოზიდვის კონკურენციული პირობების უქონლობის გამო სადეპოზიტო განაკვეთების სიდიდე კვლავ დაბალია, ვინაიდან ეროვნული ბანკი არ ფლობს ღია ბაზარზე გავლენის მოსაპოვებლად საკმარის ფონდებს. ის ვერ ახდენს არსებით ზეგავლენას საპროცენტო განაკვეთების შემცირებაზე. ფულადი ემისიის განხორციელების შემდგომ ეროვნული ბანკი დგება ინტერვენციების გატარების აუცილებლობის წინაშე, რის გამოც მცირდება სავალუტო რეზერვები და საფრთხე ექმნება ინფლაციური ეფექტის შეჩერებას. თუ ფულადი მასის რეგულირებას განვახორციელებთ ერთობლივი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპების შესაბამისად და დავიცავთ მათი ზრდის ტემპებს შორის თანაფარდობას, შევინარჩუნებთ ინფლაციის მაჩვენებლის დაბალ დონეს.

კომერციული ბანკების ეფექტიანი ფუნქციონირება მიიღწევა სტრატეგიული დაგეგმვის განხორციელებით. ასეთი დაგეგმვის შედეგს უნდა წარმოადგენდეს ხანგრძლივი სამომავლო, გრძელვადიანი მიზნების დასადგენად წინადადებების მომზადება და მიმდინარე საქმიანობის გეგმის პროექტის შემუშავება მათი რეალიზაციის მიმართულებათა ჩვენებით. ამასთან, სტრატეგიული დაგეგმვა თავისთავად

კომერციული ბანკისათვის მოგების მომტანი არ არის. ოპტიმალურად შემუშავებული სტრატეგიის პირობებშიაც კი ბანკმა შეიძლება მუშაობის შედეგებით წარმატებებს ვერ მიაღწიოს მოტივაციის, ორგანიზაციის, კონტროლისა და ზოგადად, მენეჯმენტში დაშვებული შეცდომების გამო. ამიტომ სტრატეგიული დაგეგმვა ხელს უწყობს ბანკის საქმიანობის მკაცრ კოორდინაციას, მოითხოვს მიზნის ზუსტად დასმას. იგი მნიშვნელოვნად ასუსტებს საბანკო რისკებს.

კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებამ, ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის მასშტაბების გაფართოებამ, შიგასახელმწიფოებრივი და შიგასანარმოებრივი დაგროვების პროცესის შენელებამ, კაპიტალის ბაზარზე აუცილებელი სახსრების მობილიზაციის შესაძლებლობათა შეზღუდვამ, უდიდესი ინფორმაციული მასალების ბანკებში თავმოყრამ გამოიწვია საბანკო რეგულირების გაძლიერება. სამეურნეო სტრუქტურებზე ბანკების მარეგულირებელი ზემოქმედების ძირითადი ინსტრუმენტია მათი კაპიტალი. ბანკები აქტივებისა და პასივების ეფექტიანი მართვის პოლიტიკის გატარების პარალელურად, რომელიც რისკის მინიმიზაციის მიზნით ხორციელდება, საკუთარი კაპიტალის მეშვეობით პირდაპირ ზემოქმედებას ახდენენ მსესხებლებზე – ისინი აწესებენ სესხების მოცულობის, მათი გაცემისა და დაფარვის პირობებს. როგორც წესი, საკონტრაქტო ხელშეკრულებაში გაითვალისწინება მთელი რიგი მოთხოვნები, რომელთა დაცვა დაკრედიტების აუცილებელი პირობაა. მსესხებლის მიერ საგადასახადო დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში ბანკს შეუძლია მსესხებელს უარი

უთხრას სესხის გაგრძელებაზე, რაც არა მარტო წარმოების პროცესის დესტაბილიზაციას იწვევს, არამედ დაბლა სცემს მსესხებლის რეპუტაციას. საგადასახადო დისციპლინის სერიოზულმა დარღვევებმა შეიძლება გამოიწვიოს წარმოების პროცესში ბანკის აქტიური ჩარევა. ბანკები პირდაპირი რეგულირების ღონისძიებების პარარელურად იყენებენ ზემოქმედების არაპირდაპირ, ირიბ ბერკეტებს-წახალისებისა და ბონუსების, პრემიების სისტემებს, რომლებიც მიმართულია მსესხებლის საქმიანობის წარსამართავად ბანკის, როგორც მაკონტროლებელი ინსტიტუტის, მოთხოვნილებათა შესაბამისად.

კომერციულ ბანკებში საბანკო პროდუქტის სპეციფიკის გამო რისკი აუცილებელი და მუდმივად თანმდევი მოვლენაა. ბანკებში მსჯელობა უნდა იყოს რისკის არა მთლიანად განეიტრალებაზე, არამედ მისი წინასწარი განჭვრეტისა და მინიმალურ ოდენობამდე შემცირების შესახებ. ბანკებში რისკი წარმოშობის მიხედვით იყოფა საგარეო და საშინაო რისკებად. საგარეო რისკებია, რომლებიც დაკავშირებული არ არის ბანკის ან მისი კლიენტის საქმიანობასთან; საშინაო რისკებს მიეკუთვნება სავალუტო, საპროცენტო, საბაზრო, საკრედიტო რისკები, ასევე დეპოზიტების ფორმირებასთან დაკავშირებული ზარალები და სხვ. საბანკო რისკებიდან ყველაზე გავრცელებულია საკრედიტო რისკი, რომელიც დაკავშირებულია მსესხებლის მიერ კომერციული ბანკის წინაშე აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობასთან. საკრედიტო რისკის შემცირების უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი ღონისძიებებიდან გავრცელებულია მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასება, ერთ მსესხებელზე გასაცემი

კრედიტის მოცულობის შემცირება, კრედიტების დაზღვევა, საკმარისი უზრუნველყოფის მოზიდვა, სადისკონტო სესხების გაცემა და ა.შ.

კომერციულ ბანკებში სულ უფრო გამოიყენება სესხის მიმღების საბოლოო შეფასების მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს კლიენტის რეიტინგის განსაზღვრას. მსესხებლის შეფასების კრიტერიუმები თითოეული ბანკისათვის ინდივიდუალურია და დაფუძნებულია ბანკის გამოცდილებაზე, რომელიც პერიოდულად გადაიხედება. ერთ მსესხებელზე გასაცემი კრედიტის მოცულობის შემცირება მაშინ გამოიყენება, როდესაც კომერციული ბანკი დარწმუნებული არ არის კლიენტის რეალურ კრედიტუნარიანობაზე. საკმარისი უზრუნველყოფის მოზიდვის მეთოდის გამოყენება კომერციულ ბანკს გაცემული სესხის დაბრუნებისა და პროცენტის მიღების გარანტიას აძლევს. საკრედიტო რისკისაგან თავის დასაღწევად ბანკი მოიზიდავს სესხის საკმარის უზრუნველყოფას, რაც მას ბანკის საკრედიტო ხელშეკრულებით მსესხებლის მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულების გარანტიას აძლევს. სადისკონტო სესხების გაცემას შედარებით ნაკლები დონით შეუძლია საკრედიტო რისკის შემცირება; სესხის გაცემის ასეთი წესი კრედიტის საფასურის მიღების გარანტიას აძლევს კომერციულ ბანკს.

საკრედიტო რისკი არის ძირითადი ვალისა და პროცენტის დაუბრუნებლობის რისკი. საკრედიტო რისკის შეფასების კრიტერიუმებია-მიმდინარე საწარმოო თუ სხვა საქმიანობის პროცესში გამომუშავებული ფულადი სახსრებით ვალის დაფარვის უნარი, მსესხებლის რეპუტაცია, საკუთარი კაპიტალის საკმარისობა და ის პირობები, რომელთა

საფუძველზე ხორციელდება საკრედიტო გარიგება.

კომერციულ ბანკებში საკრედიტო პორტფელის ანალიზი გულისხმობს საკრედიტო რისკის პოზიციებიდან სესხის ხასიათის შეფასებისათვის კრიტერიუმების შერჩევას, სესხების კლასიფიკაციას, საპროცენტო რისკის განსაზღვრას სესხის თითოეული დონისათვის, იმ რეზერვის განსაზღვრას, რომელიც საკმარისი იქნება გაცემული სესხის დროზე დაუბრუნებლობით გამოწვეული ზარალის დასაფარავად და სხვ.

საზღვარგარეთულ საბანკო სისტემაში გამოიყენება სესხის ხასიათის შეფასების ორი ძირითადი მეთოდი: დანომვრის და საბანკო სისტემებით. გასული პერიოდების საანგარიშგებო მონაცემების ბაზაზე საკრედიტო რისკის პროგნოზირებისათვის გამოიყენება საფინანსო კოეფიციენტების სისტემა. ერთ-ერთი მათგანი აგებულია საანგარიშსწორებო სალდოს მაჩვენებელზე, ხოლო მეორე სისტემა შედგების ანგარიშგების მაჩვენებლებზე. საფინანსო კოეფიციენტების ორივე სისტემა არა მარტო კლიენტის კრედიტუნარიანობის საერთო შეფასებას იძლევა, არამედ გამოყოფს ჩამოყალიბებულ ტენდენციებსაც.

საერთოდ, საბანკო სისტემა საჭიროებს ბანკების მენეჯმენტის ხარისხის შეფასების დანერგვასა და განვითარებას. ჩვენი აზრით, საკრედიტო ორგანიზაციების რისკების მართვის სისტემების შეფასებისა და მართვის რეიტინგების მინიჭება წარმოადგენს პოზიტიურ ტენდენციას, რომელიც ასახავს რისკ-მენეჯმენტის გაზრდილ ინტერესს განხორციელებულს საქმიანობის ეფექტიანობისათვის. საბანკო სისტემისათვის შემუშავებული

ხარისხის სტანდარტები არის კარგი კომპონენტი, რომელთა საშუალებითაც ხდება ეროვნული საბანკო ბაზრის თანდათანობითი ტრანსფორმაცია და ის გახდება ღია, გამჭვირვალე და ეფექტური მექანიზმი. ბანკისათვის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს სარისკო მოვლენების სწორი იდენტიფიკაცია. თავისი წარმოშობის მომენტში სარისკო მოვლენა შეიძლება დაფიქსირდეს როგორც სარისკო შემთხვევა, რადგან ბანკს თავდაპირველად არა აქვს ინფორმაცია მოცემული რისკის გამოვლინების ხანგრძლივობის შესახებ.

სარისკო მოვლენის ფორმით წარმოდგენილი საკრედიტო რისკის აღნიშნული თვისებებიდან გამომდინარე, გთავაზობთ სარისკო მოვლენის ოპერატიული მართვის შემდეგ ხერხებს:

1. მსესხებლის საქმიანობის გამჭვირვალეობის ოპერატიული ამაღლება;
2. მსესხებლის ბიზნესის შთანთქმისადმი წინააღმდეგობის განწევა;
3. მხარდაჭერა მსესხებლებისათვის, რომელსაც დროებითი სირთულეები აქვს ვალის დაბრუნებასთან დაკავშირებით.

ამჟამად, კომერციული ბანკების ძირითადი პროდუქტი-კრედიტი რაოდენობრივ ცვლილებას განიცდის, რასაც საბოლოოდ, ზემოთ თქმულის ხასიათიდან გამომდინარე, მივყავართ ბანკების როლის ხარისხობრივ ცვლილებამდე, რადგანაც კრედიტი თავისუფალი კონკურენციის იარაღიდან მონოპოლისტური კაპიტალის იარაღად გარდაიქმნა.

ფინანსური სისტემის სტაბილურობა უშუალოდ არის დაკავშირებული შიდა საგადასახადო სისტემის სტაბილურობასთან, ანუ გადახდების საიმედო მექანიზმების არსებობით არის

განპირობებული, რომელიც ბანკთაშორისო ურთიერთობებისა და გადახდების ოპერაციების უწყვეტად განხორციელების შესაძლებლობას იძლევა.

კომერციული ბანკების ის სახსრები, რომლებიც ცენტრალური ბანკის ანგარიშებზეა, მათ მიერ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების შესრულების შესაბამისად ჩაირიცხება. ისინი არა მარტო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნებისათვის გამოიყენება, არამედ იგი საგადასახადო სისტემის საიმედო ფუნქციონირებასაც უზრუნველყოფს, რადგანაც სახსრები საჭიროების შემთხვევაში გადახდებში შეფერხებების აღმოფხვრისათვის შეიძლება იქნეს გამოყენებული. გარდა ამისა, გამართული და ეფექტიანად ფუნქციონირებადი საგადასახადო სისტემები ფულის მიმოქცევის დაჩქარებას უწყობს ხელს.

ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის სწორედ საგადასახადო სისტემების ეფექტიანი მუშაობის უზრუნველყოფა მეთად მნიშვნელოვან საქმიანობად გვესახება. აქ მნიშვნელოვანია:

- ▶ სახელმწიფოში ყველანი უნდა მონაწილეობდნენ მთავრობის შენახვაში შემოსავლების მისაღებად, რომლებსაც ისინი ღებულობენ მისი მხარდაჭერის შემთხვევაში;

- ▶ ყოველი გადასახადი უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული ვადის, გადახდის წესის და თანხის მიხედვით;

- ▶ თითოეული გადასახადი უნდა იქნეს ამოღებული იმ ვადაში და იმ წესებით, რომლებიც მოსახერხებელია გადამხდელისათვის;

- ▶ თითოეული გადასახადი ისე უნდა იყოს შემუშავებული, რომ შესაძლებელი იყოს მისი ამოღება მცირე დანახარჯებით.

უფრო რთული პრობლემების გადაჭრის აუცილებლობის დროს სახელმწიფო ზრდის გადასახადებს. მაგრამ, ამასთან, უნდა ვიცოდეთ, რომ გადასახადების ზრდა საწარმოს მოგებაზე განსაზღვრულ ფარგლებს მიღმა ამცირებს დასაბეგრ ბაზას და წარმოების მოცულობას. კომერციული გარიგებების გადახდებში შეყოვნებები იმავდროულად ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობაზე აისახება. აღნიშნული გარემოების თავიდან აცილების მიზნით სპეციალური საკლირინგო პალატები არის, რომლებიც ურთიერთ მოთხოვნების ჩათვლების გზით უნაღდო ანგარიშსწორებას ახორციელებენ. ანგარიშსწორების სისტემის ასეთი სახით ორგანიზება მათ დაჩქარებასა და გაიაფებას უწყობს ხელს. კლირინგული ანგარიშსწორების სისტემის გაუმჯობესება ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის მეშვეობით მოქმედების სფეროს გაფართოებას ითვალისწინებს. საგადასახადო სისტემის საიმედოობის ამაღლების სფეროში უმნიშვნელოვანეს ამოცანას რისკების შემცირება წარმოადგენს.

სწორედ ასეთი სახის რისკის, რომელსაც სისტემურს უწოდებენ, ბანკის მიერ ურთიერთ გადახდების ჩათვლის სისტემის ორგანიზების ანუ კლირინგების, ან ცალკეული კერძო კლირინგული პალატების საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების მეშვეობით გაფრთხილება არის შესაძლებელი.

კომერციული ბანკი თავის კლიენტებთან მის განკარგულებაში რეალურად არსებული რესურსების ფარგლებში მუშაობს. ანუ იგი ყველა ოპერაციას მის საკორესპონდენტო ანგარიშებზე სახსრების ნაშთის ფარგლებში ახორციელებს. სპეციფიკური საბანკო ოპერაციების შესრულების შესაძლებლობა

პასივების სტრუქტურით მკაცრად არის დეტერმინირებული, რაც ბანკებისაგან თავიანთი რესურსების ფორმირების წყაროების არჩევასთან დაკავშირებით სერიოზულ მუშაობას მოითხოვს. სწორედ აქედან წარმოიქმნება რესურსებზე მძაფრი ბრძოლა და მათი დაბანდებისათვის უფრო მეტად მომგებიანი სფეროების მოძიება.

დღემდე კომერციული ბანკები უპირატესად ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს აკრედიტებდნენ, თუმცა ბოლო დროს ზოგიერთმა მათგანმა დაიწყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამამუშავებელ და მსუბუქი მრეწველობის იმ სექტორების დაფინანსება, რომლებსაც მცირე ზომის ინვესტიციებიც ყოფნის. რაც შეეხება მძიმე მრეწველობის დაკრედიტებას, იგი ძირითადად უცხოური კაპიტალის ინვესტირების იმედზეა და კომერციული ბანკები მათ დაკრედიტებას თავს არიდებენ. ასევე თავს არიდებენ ისეთი სახის საქმიანობას, როგორცაა ფასიანი ქაღალდების ემისია და მათი განთავსება, ლიზინგი, ფაქტორინგი, ინფორმაციულ-საკონსულტაციო მომსახურება.

თანამედროვე სიტუაცია ხასიათდება იმით, რომ საბანკო რესურსების საერთო მოცულობაში საერთო-სახელმწიფოებრივი ფონდების წილი მნიშვნელოვნად შემცირდა. ამიტომ ბანკები კომერციული დამოუკიდებლობისა და კონკურენციის პირობებში, საკუთარი კაპიტალისა და მოზიდული რესურსების ფორმირების საკითხებს დიდ დროს უთმობენ. კომერციული ბანკის რესურსები ჩვეულებრივად განისაზღვრება როგორც ბანკის განკარგულებაში არსებული საკუთარი და ნასესხები სახსრების ერთობლიობა და მის მიერ მათი აქტიური ოპერაციების

განხორციელებისათვის გამოყენების შესაძლებლობა.

კომერციული ბანკისათვის რეალურად მოზიდული რესურსების ფარგლებში მუშაობა და თავისი ლიკვიდურობის მხარდაჭერის უზრუნველყოფა მხოლოდ იმ შემთხვევაში არის შესაძლებელი, თუ იგი საქმიანობის შედეგებზე სრული ეკონომიკური პასუხისმგებლობისა და მისი საქმიანობის ეკონომიკური მეთოდებით რეგულირების პირობებში ეკონომიკური დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხს ფლობს. ეკონომიკური დამოუკიდებლობა ითვალისწინებს ბანკის საკუთარი და ნასესხები სახსრების თავისუფალ არჩევანს, გადასახადების გადახდის შემდეგ დარჩენილი მოგების განკარგვის შესაძლებლობას. ბანკი თავის ვალდებულებებზე მის კუთვნილებაში არსებული ყველა საშუალებებითა და ქონებით არის პასუხისმგებელი, რომლებზეც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ყადაღის დადება არის შესაძლებელი. კომერციული ბანკი თავისი ყველა ოპერაციებისაგან წარმოქმნილ რისკს თავისთავზე იღებს.

კომერციულმა ბანკებმა საკრედიტო რესურსებზე მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით დაგროვილი დანაზოგების მაქსიმალური მობილიზება უნდა განახორციელონ და მიმდინარე მოთხოვნილების შეზღუდვის, მოქნილი დეპოზიტური პოლიტიკისა და თავიანთი კლიენტებისათვის საიმედოობის მაღალი გარანტიის უზრუნველყოფის საფუძველზე სახსრების აკუმულირების მიზნით საკმაოდ ეფექტური სტიმულირების მექანიზმები უნდა ჩამოაყალიბონ. აქ, რა თქმა უნდა, ბანკების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა მოსახლეობის დროებით თავისუფალი ფულადი სახსრებისა და

დანაზოგების კაპიტალად გადაქცევა. საკრედიტო ფულის მიმოქცევის პირობებში არა მარტო იურიდიული პირები, არამედ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ერთდროულად გამოდის როგორც მსესხებლის, ისე კრედიტორების როლში. ე.ი. მისი დანაზოგები წარმოადგენს დაგროვების წყაროს როგორც კერძო მენარმეებისათვის, ისე სახელმწიფოსათვის. მაგრამ აქვე აღსანიშნავია, რომ კომერციული ბანკების საქმიანობას არ გააჩნია დიდი ხნის ისტორია. ერთის მხრივ, პრაქტიკული გამოცდილება, მეორეს მხრივ, საბანკო რესურსების სიმცირე და ბანკების ეკონომიკური დაკნინება ქვეყანას ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შეახსენებს თავს. საკრედიტო რესურსების მცირე მოცულობა კომერციულ ბანკებს პრობლემურს ხდის.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გააფართოვა ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განსახორციელებლად გამოყენებულ ინსტრუმენტართა რიცხვი და დანერგა ისეთი მექანიზმები, როგორიცაა : საშინაო ბაზრის სავალუტო ინვესტიციები; ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების სააუქციონო ოპერაციები; კომერციული ბანკების მიერ მოზიდულ სახსრებზე წაყენებული მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები, რაც ეროვნულ ბანკში შენახვას ექვემდებარება, ლომბარდული კრედიტის მექანიზმი და სხვ. ეროვნული ბანკი სახაზინო ვალდებულებების განვითარების საფუძველზე ცდილობს ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის განვითარებას, რათა ხელი შეუწყოს მონეტარული რეგულირების მექანიზმის ღია ბაზრის ოპერაციების პრაქტიკაში დანერგვას. მიგვაჩნია, რომ კომერციული ბანკების პრობლემების გადაჭრის, გადაწყვეტის

ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალებაა აუდიტორული მომსახურება, რომლის გარეშე შეუძლებელია ბანკის ფინანსური პრობლემების გადაჭრა და მათი საქმიანობის სრულყოფა. ორგანიზებული შიდა კონტროლი ხელს უწყობს ინვესტიციებისა და საერთოდ ბანკის კლიენტების ინტერესთა დაცვას. ბანკის თანამშრომლების მიერ მიღწეული უნდა იქნეს არსებული კანონმდებლობის, ნორმატიული აქტების და პროფესიული სტანდარტების განუხრელი შესრულება, რომ ბანკის საიმედოობის ხარისხი ამაღლდეს და განხორციელდეს საბანკო საქმიანობის რისკების მინიმიზაცია.

კომერციული ბანკების მიერ მოზიდული სახსრების მოკლევადიანი მოკლევადიანი ხასიათისაა და, შესაბამისად, საკრედიტო პოლიტიკის უმნიშვნელო ოპერაციებზე კონცენტრირების გამო ქვეყანაში არ იქმნება წარმოებისა და ეკონომიკური ზრდის საკმარისად ხელშემწყობი პირობები. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, მიზანშეწონილია საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გაატაროს ღონისძიებათა ისეთი კოპლექსი, რომელიც დააინტერესებს, სტიმულს მისცემს კომერციულ ბანკებს განავითარონ გრძელვადიანი დაკრედიტება და უზრუნველყონ საბანკო სფეროში მსხვილი ინვესტიციების მოზიდვა.

საბანკო სისტემის სინქრონული მუშაობა, რომელიც ძირითადი საფინანსო ოპერაციების განხორციელებაში ვლინდება, ქვეყნის ეკონომიკაში ინდიკატორის როლს ასრულებს. თუ გადავხედავთ ბანკების განვითარების ისტორიასთან კონტექსტში მათ სტრუქტურასა და ინტერესებს, ბანკები ზუსტად ასახავენ ქვეყნის საფინანსო მდგომარეობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კოვზანაძე ი. კონტრიძე გ. თანამედროვე საბანკო საქმე. თბ. 2014 წ.
2. ნაყოფია ბ. საქართველოში საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის სრულყოფა ევროკავშირის ქვეყნების მაგალითზე. თბ. 2020წ. (გამოქვეყნებულია Google Scholar – ში 2020 წ.
3. პაპავა ვლ. საგადასახადო ფედერალიზმი: თანხმობა თუ სეპარატიზმი. თბ 2010 წ.
4. სილაგაძე ა. მიკროეკონომიქსი. თბ. 2016 წ.

LEGAL BASIS OF DEFINITION OF FAMILY, MARRIAGE AND ENGAGEMENT

Lia Chiglashvili
E-mail:
Lika.chig@yahoo.com



Lia Chiglashvili

*Doctor of Law, Affiliated Professor of the Tbilisi Humanitarian Teaching University,
Dean of the Faculty of Law,
Member of the Union of Law Scientists of Georgia*

ABSTRACT

The family gives rise to a new life for a man and a woman, it includes the marital union, their responsibility to each other, their children and society. Relationships between family members are governed by family law. By its essence, it is related to the preservation of the Georgian traditional family. There is no doubt that cultural-mental values are important for the Georgian people when creating a family, under the influence of which this or that person is formed.

In recent times, the consciousness of Georgian youth is greatly influenced by modern trends and many of them refuse to set up a traditional family, preferring an unregistered relationship with a partner. In many cases, they avoid responsibilities in the family relationship, and the latter threatens to the preservation of „institution of family“. The fact is that the family, as a social institution, is experiencing a crisis, and the birth rate can not ensure the quantitative growth of future generations.

KEY WORDS

Family, Marriage, Engagement

ოჯახის, ქორწინებისა და ნიშნობის დეფინიციის სამართლებრივი საფუძვლები

ლია ჭილაშვილი
ე. ფოსტა:
Lika.chig@yahoo.com



ლია ჭილაშვილი

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის
სამაჩთრის ფაკულტეტის დეკანი,
აფიდიხებული პროფესორი
საქართველოს სამაჩთრის მეცნიერთა კავშირის წევრი

აბსტრაქტი

ოჯახი დასაბამს აძლევს ქალისა და კაცის ახალ ცხოვრებას, იგი მოიცავს ცოლ-ქმრულ კავშირს, მათ პასუხისმგებლობას ერთმანეთის, შვილებისა და საზოგადოების მიმართ. ოჯახის წევრთა ურთიერთობები საოჯახო სამართლით რეგულირდება. იგი თავის შინაარსით ქართული ტრადიციული ოჯახის შენარჩუნებას უკავშირდება. ეჭვგარეშეა, რომ ქართველი ხალხისათვის ოჯახის შექმნისას მნიშვნელოვანია კულტურულ-მენტალური ფასეულობები, რომელთა ზემოქმედებითაც ყალიბდება ესა თუ ის პიროვნება.

ბოლო დროს, ქართველი ახალგაზრდების ცნობიერებაზე დიდ გავლენას ახდენს თანამედროვე ტენდენციები და ბევრი მათგანი უარს ამბობს ტრადიციული ოჯახის შექმნაზე, უპირატესობას ანიჭებს არარეგისტრირებულ კავშირს პარტნიორთან. ხშირ შემთხვევაში ისინი გაურბიან ოჯახურ ურთიერთობაში პასუხისმგებლობებს, ეს უკანასკნელი კი საშიშროებას უქმნის „ოჯახის ინსტიტუტის“ შენარჩუნებას. ფაქტია, რომ ოჯახი, როგორც სოციალური ინსტიტუტი, განიცდის კრიზისს, შობადობის დონე კი ვერ უზრუნველყოფს მომავალი თაობების რაოდენობრივ ზრდას.

საკვანძო სიტყვები

ოჯახი, ქორწინება, ნიშნობა

ოჯახი რთული სოციალური მოვლენაა. იგი დასაბამს აძლევს ადამიანის ახალ ცხოვრებას და ცოლ-ქმრულ კავშირად ყალიბდება.

თითოეული ადამიანისათვის ოჯახური ურთიერთობები ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია; შესაბამისად მართებულია, ვიცნობდეთ ოჯახურ თანაცხოვრებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ნორმებს, რათა მაქსიმალურად მოწესრიგებული და დაბალანსებული იყოს ოჯახის წევრთა ურთიერთობები.

ქორწინებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და უკავშირდება კაცობრიობის გაჩენას. დღეისათვის საზოგადოებრივი დებატების აქტუალური თემატიკის საგანს სწორედ ოჯახისა და ქორწინების ინსტიტუტის შენარჩუნება წარმოადგენს. საგრძნობლად იმატა ტრადიციული ოჯახების ნგრევამ, შესაბამისად იზრდება განქორწინებულ წყვილთა სტატისტიკა. აღნიშნული საკითხი გლობალურია და მსოფლიოში ოჯახის ფენომენს მართლაც ექმნება საფრთხე.

ბოლო პერიოდში თავი იჩინა ოჯახური ცხოვრების ალტერნატივებმა, მათ შორის, მნიშვნელოვანია ერთობლივი თანაცხოვრება ქორწინების გარეშე. სტატისტიკური მონაცემების თანახმად საქართველოში ბოლო 15 წლის მანძილზე საგრძნობლად გაიზარდა დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილების დაბადების ფაქტები და, შესაბამისად, გახშირდა არარეგისტრირებული ქორწინებებიც ქორწინებისა და ოჯახის ცნება, არსი და განვითარების ძირითადი ეტაპები

ტერმინი „ოჯახი“ თურქულიდან წარმოიშვა და დაკავშირებულია „სახლთან“, იგი არამართო მთელ საგვარეულოს და გვარს ნიშნავდა, არამედ ერთ

ცოლქმრობაზე დამყარებულ ოჯახსაც მოიცავდა¹. სიტყვა „კომლი“ კი, ერთ ქერქვეშ მცხოვრები ახლობლების ერთობას გულისხმობდა.²

ცნობილია, რომ ადამიანები, განვითარების ადრეულ ეტაპზე ჯოგებად ცხოვრობდნენ. მათ არ ჰქონდათ მუდმივი საცხოვრებელი, რაიმე სახის ქონება და არც სამეტყველო ენა. ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა მოუწესრიგებელ სქესობრივ ურთიერთობასა და სისხლის აღრევას.³

ქართველ ერს გავლილი აქვს კაცობრიობისა და ოჯახის განვითარების სრული გზა, რამაც თავის მხრივ განაპირობა სხვადასხვა ფორმით მისი შემდგომი ჩამოყალიბება.

ოჯახის წარმოშობისა და განვითარების შესახებ არსებობს სხვადასხვა შეხედულება. მათგან დომინირებს მოსაზრება, რომელიც გვაროვნული წყობილების დაშლის ხანას უკაშირდება, ამავე პერიოდში გაჩნდა კლასობრივი საზოგადოება და კერძო საკუთრება.

თანამედროვე ტიპის პატარა ოჯახის არსებობა საქართველოში მე-5 საუკუნიდან შეინიშნებოდა და მასში მოიზრებოდნენ მხოლოდ მშობლები და შვილები.

ოჯახი საზოგადოების პირველადი უჯრედი. ადამიანი იბადება ოჯახში და იქ ატარებს თავისი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს.⁴

1 ჯავახიშვილი ი. 1984. თხზულებანი, ტომი VII. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.

2 ჯავახიშვილი ი. 1928. ქართული სამართლის ისტორია. თბილისი: თავართქილადის გამომცემა, წიგნი მეორე.

3 შენგელია რ. შენგელია ე. 2009. საოჯახო სამართალი. თბილისი: მერიდიანი.

4 ჩიკვაშვილი შ. 2000. საოჯახო სამართალი.

ლუის მორგანის თქმით, „არც ერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციას არ ჰქონია ისეთი მდიდარი და შინაარსიანი ისტორია, არც ერთ მათგანს არ განუხორციელებია უფრო ხანგრძლივი და მრავალმხრივი ცვლის შედეგები, როგორც ოჯახს. ოჯახს საფუძველი, როგორც წესი, ქორწინებით ეყრება, სწორედ ოჯახში ხორცილდება და ყალიბდება მეუღლეების, მშობლებისა და შვილების, და-ძმების და სხვათა დამოკიდებულება“.⁵

ერთი მხრივ, ოჯახი აღიარებული იყო როგორც თავისებური კოლექტივი, რომელიც, როგორც წესი, ერთობლივ თანაცხოვრებასა და ახლო ნათესაობაზე იყო დამყარებული, რომლის წევრებს ერთმანეთის მიმართ გააჩნდათ უფლებები და მოვალეობები, ხოლო, მეორე მხრივ, ოჯახი წარმოადგენდა ცივილიზებული საზოგადოების განვითარების აუცილებელ ფაქტორს, შეუდარებელ საზოგადოებრივ ორგანიზმს.⁶

გ. შერშენევიჩი ოჯახს სოციოლოგიურ ასპექტში განიხილავდა და – „ქორწინებაზე ან ახლო ნათესაობაზე დაფუძნებულ ადამიანთა მცირე ჯგუფს“ უწოდებდა, – „რომლის წევრები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან საერთო ოჯახური ყოფით, ურთიერთდახმარების, მორალური და სამართლებრივი პასუხისმგებლობის გრძნობით“.⁷

ვ. რიასენცევის აზრით კი ოჯახი იურიდიული ასპექტით განიხილება

როგორც, – „პირთა წრე, ურთიერთდაკავშირებული უფლებებითა და მოვალეობებით, რომელიც გამომდინარეობს ქორწინებიდან, შვილად აღზრდის სხვა ფორმებიდან და მოწოდებულია ოჯახური ურთიერთობების გამყარება – განვითარებისაკენ“.

განსხვავებულ მოსაზრებას გვთავაზობს მ. ანტოკოლსკაია და მიიჩნევს, რომ ოჯახს არ შეიძლება ჰქონდეს იურიდიული განმარტება და ის მხოლოდ სოციოლოგიურ ქრილში უნდა იქნეს განხილული. შ. ჩიკვაშვილი მოსაზრებით, – „ოჯახი იმ საზოგადოებრივ ფორმას წარმოადგენს, რომლის საშუალებითაც ადამიანები სულიერი, ინტელექტუალური, ინტიმური ურთიერთობების მოთხოვნილებების რეალიზებას ახდენენ, გამოხატავენ ერთმანეთისადმი მზრუნველობასა და ყურადღებას. აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ მომავალი თაობის აღზრდაში“.

გერმანელი მეცნიერი ფ. ულბრიხტი ქორწინების ცნების დეფინიციის არსებობას იმით ხსნიდა, რომ იგი ქორწინებას მიიჩნევდა არა მხოლოდ სამართლებრივ, არამედ ეთნიკური ნორმებისა და ეკონომიკური კანონების ზემოქმედების ქვეშ მყოფ კომპლექსურ სოციალურ მოვლენად, რაც ექვის ქვეშ დააყენებდა მისი განსაზღვრის მართებულობას მხოლოდ სამართლებრივი პოზიციებიდან; მითუმეტეს, როცა შეუძლებელია ქორწინების სულიერი და ფიზიკური ელემენტების სამართლებრივი გზით რეგულირება.

დღევანდელი კანონმდებლობა ქორწინების ცნებას შემდეგი სახით განმარტავს, – „ქორწინება-ურთიერთსიყვარულზე დამყარებული ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია, რომლის მიზანი ოჯახის შექმნაა“.

ლი. თბილისი: მერიდიანი.

5 Морган. Л. 1936. Древнее общество. Москва.

6 Рузакова О. А .2001. Семейное право. Москва: Юрист.

7 Ulbricht W. 1965. Familiengesetzbuch der Deutschen Demokratischen Republik.

ქორწინება მრავალფეროვანი მოვლენაა და სამართლებრივ კატეგორიად არის მიჩნეული. მხოლოდ ქორწინება ადგენს მამაკაცისა და ქალის კავშირის შედეგად გაჩენილი ბავშვების უფლებრივ მდგომარეობას, შესაბამისად არეგულირებს ცოლსა და ქმარს შორის ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს, მათ შორის მემკვიდრეობის მიღების საკითხებსაც.

ამდენად, ოჯახი განიხილება, როგორც რთული სოციალური მოვლენა და შეუძლებელია მხოლოდ საკანონმდებლო ნორმებით მისი განმარტება, ამიტომაც არც საოჯახო კანონმდებლობაში და არც სამართლის სხვა დარგებში არ არის მოცემული „ოჯახის“ ცნების სრული განმარტება.

საოჯახო ურთიერთობების მოწესრიგება სამოქალაქო სამართლის რეგულირების უმთავრესი მიზანია. საოჯახო სამართალი აღარ წარმოადგენს სამართლის დამოუკიდებელ დარგს და შესაბამისად მიჩნეულია სამოქალაქო სამართლის ქვედარგად.

იბადება კითხვა, ვინ შეიძლება ჩაითვალოს ოჯახის წევრებად? და არსებობს თუ არა ამ ცნების საკანონმდებლო რეგულაცია?

საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს ოჯახის წევრთა პირთა წრეს, ესენი არიან: მეუღლეები, შვილები, მშობლები, ბებია, პაპა, და, ძმა, გერი, მამინაცვალი, დედინაცვალი, ნაშვილები, მშვილებელი, ფაქტობრივი აღმზრდელი, მუდმივად აღსაზრდელად აყვანილი ბავშვი, მეურვე ან მზრუნველი. ეს იმ ადამიანთა ჯგუფია, რომლებიც ერთმანეთთან გარკვეული იურიდიული ფაქტის საფუძველზე არიან დაკავშირებულნი.

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა ასევე იცნობს „ახლო

ნათესავის“ ცნებას, რომელსაც მიეკუთვნება პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი ხაზის, აგრეთვე გვერდითი ხაზის ნათესავები. ხოლო ნათესავებს წარმოადგენენ: შვილები, შვილიშვილები, ძმები, დები, მშობლები, შვილობილები, მზრუნველები, მეურვეები, ბებიები და პაპები .

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი, რომელიც ამ პირებს აერთიანებს, ქორწინება ან სისხლით ნათესაური კავშირია.

დაქორწინების წესი და პირობები

საზოგადოების გამრავლება, გვარის შიგნით ე.წ. სისხლის მონათესავე სქესთა შეუღლების გზით დაიწყო, რომელსაც მეცნიერებაში ენდოგამია ეწოდება. ამ მოვლენას საქართველოშიც ჰქონდა ადგილი.

ივ. ჯავახიშვილი, თავის ნაშრომში „ქართული სამართლის ისტორია“, ცოლ-ქმრის დაქორწინების წესებს განიხილავდა, მისი გადმოცემით – „ქართული მამა ძუძუობის“ ძალით მამაკაცი შედიოდა გვარის შიგნით, შვილების გაჩენის მიზნით.

ტერმინი „გათხოვება“ ქალის დაქორწინებას გულისხმობდა, – ანუ, ქალი მიდიოდა მშობლების ოჯახიდან არა დროებით, არამედ სამუდამოდ.

რუის-ურბნისის კრების დადგენილებით დაკანონდა მცირეწლოვანთა დანინდვა, ნიშნობის გარეშე მათი დაქორწინება უკანონოდ იყო მიჩნეული და კატეგორიულად იკრძალებოდა. ამ კუთხით მნიშვნელოვანი იყო მცირეწლოვანთა ქორწინების ასაკიც. მცირეწლოვანთა დაქორწინებას ეწინააღ-

მდეგებოდა საზოგადოების გარკვეული ნაწილი, თუმცა ზოგიერთ ისტორიულ წყაროში მაინც ვხვდებით გამონაკლისის სახით 12-13-14 წლის ქალ-ვაჟთა დაქორწინების ფაქტებს; რაც შეეხება 12 წელს ქვემოთ წყვილთა დაქორწინებას, საეკლესიო ძეგლებში არც ერთი ფაქტი არ ფიქსირდება.⁸

რომის სამართალში, მიღებული იყო როგორც კანონიერი, ისე ფაქტობრივი ქორწინება, რომელიც გულისხმობდა ქალისა და მამაკაცის ერთად ცხოვრებას ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რომელთა დაქორწინება ვერ ხერხდებოდა სოციალური განსხვავებების გამო, სწორედ ასეთი ფაქტობრივი კავშირი ითვლებოდა „კონკუბინატად“.⁹

ქორწინებისთვის აუცილებელი იყო საქმროსა და საცოლის თანხმობა და ზოგიერთ შემთხვევაში მშობლების თანხმობაც; საქორწინო ასაკად ქალისათვის 12 წელი განისაზღვრებოდა, ვაჟისთვის კი 14 წელი. ამასთანავე ადგილი არ უნდა ჰქონოდა ქორწინების დამატარებელ გარემოებებს; მაგ.: ერთ-ერთი მათგანი არ უნდა ყოფილიყო ქორწინებაში და მათ შორის იკრძალებოდა ნათესაური კავშირიც.

ქორწინების დამატარებელი გარემოებების არსებობის შემთხვევაში წარმოიშვებოდა კონკრეტული ხარვეზები. კერძოდ, კი დასაქორწინებელ წყვილთა შორის სოციალური და წოდებრივი უთანასწორობა. შესაბამისად წოდებრივად დაბლა მდგომი ქალზე დაქორწინება მაღალი წრის მამაკაცს ეკრძალებოდა.

რაც შეეხება მუსლიმურ ქვეყნებს, საოჯახო სამართლის თანახმად, ქორწინება მამაკაცთათვის პოლიგამიის პრინციპს ექვემდებარებოდა, ხოლო ქალებისათვის მკაცრ წესებს ითვალისწინებდა.

ყურანში აღნიშნულია, რომ მამაკაცს შეუძლია ჰყავდეს არა უმეტეს ოთხი ცოლი, ქალს კი ერთ ქმარზე მეტის ყოლის უფლება ეკრძალება.¹⁰

სიმრავლემ ანუ „siga“-მ ფართო გავრცელება ჰპოვა მუსლიმურ ქვეყნებში; ძირითადად კი არაბეთის, თურქეთის, ირანისა და აღმოსავლეთის სხვა სახელმწიფოებში ჰქონდა ადგილი.

აზერბაიჯანში, საქართველოს მეზობელ ქვეყანაში, ადგილობრივი ადათ-წესების ზეგავლენის გამო „siga“-მ საკმარისად ვერ მოიკიდა ფეხი. იგი ძირითადად დიდ ქალაქებში, მდიდარ უცხოელ მუსლიმებსა და სასულიერო პირთა წრეში გავრცელდა, რომლებმაც არაბეთსა და ირანში მიიღეს განათლება.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, მე-19 საუკუნის 60-იანი წლებში შეიცვალა ძველი წოდებრივი საქორწინო ურთიერთობები და განმსაზღვრელი გახდა ქონებრივი მდგომარეობა.

ქორწინებისთვის აუცილებელი იყო ორი რამ: დასაქორწინებელ პირთა ასაკი და წყვილთა თანხმობა.

1997 წლამდე საქორწინო ასაკად გოგონებისთვის დაწესებული იყო 16, ხოლო ვაჟებისთვის – 17 წელი.

დღეს მოქმედი კანონმდებლობით, სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნი მოიცავს საოჯახო სამართალს და

8 ჯავახიშვილი ი. 1983. თხზულებანი. ტომი VII. თბილისი: უნივერსიტეტის გამოცემლობა.

9 Friedl R. Stainer F. 1996. Der Konkubinat im kaiserzeitlichen Rom.

10 Каримова З.Х., 2007. Внебрачное репродуктивное поведение как объект социолого-демографического исследования. Автореферат. Уфа.

ასახვას პოულობს კანონმდებლობასა და კოდიფიცირებულ აქტებში. ძირითად წყაროს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც ქვეყნის უზენაესი კანონია და აღიარებს ადამიანის, როგორც მოქალაქის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ასევე მოიცავს საქორწინო – საოჯახო ურთიერთობებს.

საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლით – „ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას. სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას“, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ცნობს და იცავს მხოლოდ მამაკაცსა და ქალს შორის არსებულ კავშირს.¹¹

შესაბამისად, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, საქორწინო ასაკად განსაზღვრულია 18 წელი. ქორწინება კანონით დადგენილი წესების დაცვით რეგისტრირდება სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ და ადასტურებს წყვილთა საქორწინო კავშირს.

რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს მეუღლეთა ორმხრივ პირად და ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს და რეგისტრაციის მომენტიდან იძენს სამართლებრივ ძალას.

ამდენად, ქორწინებას დღევანდელი სამოქალაქო კოდექსი შემდეგი სახით განმარტავს – „ქორწინება მამაკაცისა და ქალის თავისუფალი, ნებაყოფლობითი და თანასწორუფლებიანი

კავშირია ოჯახის შექმნის მიზნით, რომელიც წარმოშობს მეუღლეთა შორის პირად და ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს“.

ნიშნობის ინსტიტუტის თავისებურებანი

ტერმინი „ნიშანი“ სპარსულიდან წარმოიშვა და შედარებით მოგვიანებით თურქულ, სომხურ და ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრდა. ამ ტერმინს ქორწინებასთან დაკავშირებული მნიშვნელობა მე-13 საუკუნეში მიუღია.¹²

საინტერესოა, როგორ ვითარდებოდა საქართველოში ქორწინებისა და ნიშნობის ინსტიტუტები და რა სამართლებრივ ურთიერთობებს წარმოშობდა მეუღლეთა შორის. ასევე მნიშვნელოვანია მცირეწლოვანთა ნიშნობის რიტუალები – აკვანში დანიშვნის წესი, მზითვის გადაცემა, ქალის მოტაცება და სხვა.

ნიშნობის ინსტიტუტი სათავეს იღებს ქორწინებისა და მონოგამიური ოჯახის დამკვიდრების პერიოდიდან.

„ნიშანი“ იყო გარკვეული სახის საჩუქარი (ძირითადად სამკაული), რომელსაც საქმრო მხარეთმევედა საცოლეს და საქორწინო ურთიერთობების სიმბოლოდ მოიაზრებოდა, აღნიშნულ ტრადიციას, ნიშნობა ანუ დანიშნვა ეწოდებოდა.¹³

ნიშნობის ინსტიტუტის თავისებურებების შესახებ ეთნოგრაფიული

11 საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კონსტიტუცია (786, 24.08.1995) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა: <https://matsne.gov.ge/>

12 დოლიძე ი. 1966. ქართული სამართლის ძეგლები. თბილისი: მეცნიერება.

13 ფუტკარაძე ი. 1977. ქორწინების წესები ქართული სამართლის მიხედვით. თბილისი: ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტების შრომები.

მასალებიდან ირკვევა, რომ ნიშნობა იყო გარკვეული წინასწარი შეთანხმება დასაქორწინებელ მხარეთა შორის.

ნიშნობა (დანინდვა) საქორწინო-საოჯახო სამართლის ერთ-ერთ ინსტიტუტად ითვლებოდა და იგი, ჩვეულებრივ, წინ უძღოდა ნებაყოფლობით ქორწინებას.

გ. ნადარეიშვილის მოსაზრებით, – ქრისტიანულ ეკლესიას ნიშნობაზე უფრო მაღალი შეხედულება ჰქონდა, ვიდრე სამოქალაქო გარიგებაზე. ავტორის თქმით, სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობა ნიშნობასა და ქორწინებას ერთ სიბრტყეზე განიხილავდა. ქრისტიანული საეკლესიო კანონმდებლობაც ნიშნობას თავისი შინაარსით ქორწინებას უთანაბრდება.

მცირეწლოვანთა დანიშვნის წესი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში დასტურდება. ეთნოგრაფიული მასალების შესწავლისას აღნიშნული ადათ-წესები ზოგჯერ წერილობით დოკუმენტებშიც გვხვდება, რაც ასევე კარგად ჩანს რუის-ურბნისის კრების გადწყვეტილებიდან.

ივ. ჯავახიშვილის გადმოცემით, საქართველოში „უძველეს დროს მცირეწლოვან ქალ-ვაჟის დანიდვა სცოდნიათ“. ქართულ სამართალში ნიშნობა, ორმხრივ დაპირებად განიხილებოდა.

ნიშნობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმებიდან ძველ ქართულ სამართალში განსაკუთრებით გამოვყოფთ: ვახტანგ მე-6-ის წიგნს; ბერძნული სამართლის ქართულ ვერსიას; ქართული ჩვეულებითი სამართლის კრებულსა და დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნს.

რომაულ სამართალში, ქორწინების აუცილებელ პირობას ნიშნობა წარმოადგენდა, რომელიც ხშირ შემთხვევაში მშობლების სურვილითა და ურთიერთ-

შეთანხმებით წყდებოდა.¹⁴

დიგესტების 23-ე წიგნში განმარტებულია საქმროსა და საცოლის სიტყვათა წარმომავლობა: საქმრო – „sponsus“ და საცოლე – „sponsa“, ასე იწოდებოდა დანიშნული წყვილი, რაც ლათინურად დანიშნულს ნიშნავდა ¹⁵.

რომის სამართლის მიხედვით ნიშნობის მინიმალური ასაკი 7 წელი იყო. ნიშნობა არ გამოირიცხავდა და არ აუქმებდა შეურაცხადობას ან სულით ავადმყოფობას თუ კი იგი ნიშნობის შემდეგ გახდებოდა შეურაცხადი. ნიშნობის ფორმა იყო სიტყვიერი, რომელსაც ხშირ შემთხვევაში უძღვებოდნენ შუამავალი პირები.

„ნიშნობა, მომავალი ქორწინების დათქმა (ხსენება) და ორმხრივი დაპირება“

რომაელი იურისტი – ფლორენტიუსის გადმოცემით, ნიშნობა ორ ეტაპად განიხილებოდა – „ნიშნობა მოლაპარაკების შედეგად მიღწეული შეთანხმება, როგორც მომავალი ქორწინების დათქმა და ორმხრივი დაპირება“.¹⁶

იყო თუ არა შესაძლებელი შემდგარიყო ნიშნობა, დასაქორწინებელ პირთა დასწრების გარეშე?

ულპიანეს აზრით, დასანიშნ პირთა „არათანყოფნა“ სავსებით დასაშვებია იყო იმის გამო, რომ ზოგჯერ ნიშნო-

14 Kunkel W.1990. *Römische Rechtsgeschichte*. 12. Auflage. Köln.

15 მეტრეველი ვ. სურგულაძე ნ. 2011. რომის სამართლის ძეგლები იუსტინიანეს დიგესტები. წიგნი ოცდამესამე. თბილისი: ნეკერი.

16 Дигесты Юстиниана. 1 1997// Памятники римского права. М.

ბას ატარებდნენ მომავალ მეუღლეთა მშობლები ისე, რომ ნაკლებად ითვალისწინებდნენ შვილების აზრს.

დიგესტებში ასევე ნათქვამია, რომ ნიშნობისათვის საკმარისი იყო უბრალო თანხმობაც კი, მოგვიანებით კი გაიმართებოდა მოლაპარაკება ქონებრივი და სხვა ვალდებულებების შესრულების შესახებ.¹⁷

ნიშნობის საკითხზე მსჯელობისას ულპიანეს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ მაღალი არისტოკრატიის წარმომადგენლებს ეკრძალებოდათ ქორწინება მათზე დაბლა მდგომ კატეგორიის ქალებზე, ეს წესი ეხებოდა არამართო ქორწინებას, არამედ ნიშნობასაც.

ქორწინების ინსტიტუტის კვლევისას მეცნიერთა დიდი ნაწილი ძირითად ინტერესს იჩენს საქორწინო რიტუალებისა და თვით საქორწინო კონტრაქტის შესწავლის საკითხებთან მიმართებით. ასევე მნიშვნელოვანია წინა საქორწინო მოქმედებათა მიმოხილვაც, რომელსაც თანმიმდევრულად განვიხილავთ.

ამდენად, ნიშნობა წინა საქორწინო მოქმედება იყო, რომელიც შემდგომში სამართლებრივ შედეგებს წარმოშობდა დაქორწინებულ წყვილთა შორის.

ქართულ სამართალში გვხვდება აკვანში დანიშვნის წესი. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აკვანში ან ადრეულ ასაკში დაქორწინება ერთგვარ ადათ-წესად ითვლებოდა. როგორც ირკვევა, ადრეული ქორწინების არსებობა მხარეთა ურთიერთდანათესავეების სურვილსა და სამოყვრო მისწრაფებებს უკავშირდებოდა, რაც

ცხოვრების უკეთ მოწყობის საშუალებასაც გულისხმობდა.

აკვანში დანიშვნის შესახებ ცნობები საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება. მაგ.: „ვაჟისა და ქალის მშობლები აკვანებს კერიის პირას, გვერდი-გვერდ დგამდნენ და რიგრიგობით არწევდნენ. შემდეგ კი იშლებოდა სუფრა და მამაკაცები მომავალი ცოლ-ქმრის ბედნიერი ცხოვრების სადღეგრძელოს სვამდნენ“.¹⁸

მკვლევართა აზრით, აკვანში დანიშვნის წესი მოქმედებდა როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნების ხალხებშიც. აღნიშნული წესი ქართულმა ჩვეულებითმა საოჯახო სამართალმა შემოინახა.

„ბიზანტიაში, ისევე როგორც საქართველოში, ქორწინებას წინ უძღვოდა ნიშნობა, რომელიც საეკლესიო წესით სრულდებოდა და იგი სხვა არაფერი იყო, თუ არა მხარეების ან მათი მშობლების, ან მეურვეების თანხმობა მომავალი ქორწინების შესახებ“.¹⁹

ძველი სომხური საოჯახო სამართლის მიხედვით, ნიშნობას ესწრებოდნენ მოწმეები, არანაკლებ ორი-სამი მოწმე. ამ პირობისა და სხვა დანარჩენი რიტუალების დაუცველობა იწვევდა ნიშნობის ბათილობას.²⁰

ნიშნობის დროს „შუა კაცების“ არსებობის შესახებ; რომელთაც ევალებოდათ მოდავე მხარეთა თხოვნით სხვადა-

17 Raumer F. 1923. *Rom Staatsverfassung*. Munchen.

18 სახოკია თ. 1912. ქორწილი სამეგრელოში. თბილისი: ეთნოგრაფიული გამოკვლევა.

19 ფურცელაძე დ. 1964. სამართალი ბატონიშვილის დავითისა. თბილისი.

20 Оганесян С. А. 1973. Брачно-семейное право раннефеодальной Армении в IV-XI вв. Автореферат. Ереван.

სხვა სადავო საკითხების მოწესრიგება. შუაკაცები იყვნენ ავტორიტეტული პირები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში, იხილავდნენ და აწესრიგებდნენ ცოლ-ქმრის გაყრის საკითხებს.²¹

მოგვიანებით გაჩნდა საქორწინო საქმის მაჭანკალი, რომელიც გარკვეულ გასამრჯელოსაც იღებდა. ნიშნობის რიტუალით დასტურდება მხარეთა ვალდებულებები, მათი გადაცემის წესის არსებობა, სარიტუალო ნივთების რაობა, სადაც სამართლებრივი საკითხებიც იჩენდა თავს.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ნიშნობის ბეჭედი, რომელიც დანიშვნა-დაქორწინების ძირითადი სიმბოლო ყოფილა, რომელსაც არც დღეს დაუკარგავს აქტუალობა.

ქალის დანიშვნის დროს ნიშნის სახით ბეჭედთან ერთად სხვადასხვა ქვეყნებში ფულიც მოიხსენიებოდა. „სომხური სამართლის“ მიხედვით ნიშნის სახით დასახელებულია „ბეჭედი“, „ოქრო“ და „ფული“.

ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ საქართველოში „დიდი ნიშნობა ქორწილია ქალისა მამის სახლში“. „დიდი ნიშნობა“, როგორც ხარჯით, ისე სხვა ნიუანსებით ქორწინების მოწესრიგების ბოლო საფეხური იყო. შეიძლება ითქვას, რომ დიდი ნიშნობა ახლოს იდგა ქორწილთან.

ამრიგად, ქართული სამართალი ნიშნობას მიიჩნევს, როგორც სამოქალაქო გარიგების სახეს. ზოგჯერ ნიშნობის ჩაშლის შემთხვევაში, მისი დამრღვევი პირის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხიც კი შეიძლება დამდგარიყო.

აღნიშნული პრინციპები სათავეს

იღებდა რომის სამართლიდან. თუ ნიშნობას თან ახლდა რაიმე ნიშნის მირთმევა, ნიშანს (ბეს) კარგავდა საქმრო ქორწინებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ხოლო თუ საცოლე იტყოდა უარს ქორწინებაზე, იგი ვალდებული იყო, დაებრუნებინა საჩუქარი ორმაგი ღირებულებით.

ქართული ნიშნობის სიმბოლოდ იხსენიებენ ვაშლსაც. ამის შესახებ ვახტანგ ბატონიშვილი აღნიშნავდა – ქალს სახლში ნიშნობასთან დაკავშირებული ლხინის დროს სასიძომ „შეაცვის ბეჭედი ქალსა მას ძვირფასი და ეგრეთვე მისცის ვაშლსა მსგავსად გაკეთებული ოქროთი შემკობილი“.²²

ნიშნობასთან და ქორწილთან ვაშლის დაკავშირება სხვადასხვა ქვეყნებშიც გვხვდება: ასირიულ, თურქულ, ბერძნულ და ქართულ წყაროებში ვაშლი ნიშნობის სიმბოლო იყო. სავარაუდოდ ვაშლი, როგორც ნიშანი, საბერძნეთიდან შემოვიდა.

ნიშნობის ინსტიტუტის კვლევისას ივ. ჯავახიშვილის ისტორიულ წყაროებში ასევე ვხვდებით ცნობებს ქალის მოტაცების შესახებ. მისი გადმოცემით, საქართველოში ადგილი ჰქონია „საცოლედ ქალის მოტაცებას“, მაგრამ შემდგომში ეს წესი შეცვალეს და საცოლის მოტაცება მშვიდობიანი მოლაპარაკებით სრულდებოდა.

ა.ი. პოკროვსკის აზრით, მოტაცებულ ქალს თავისუფლება მეუღლის ოჯახში შეზღუდული ჰქონდა და მოტაცებული ქალის დაკავების სიმბოლური გამოხატულება ყოფილა ბეჭედი.

გრ. ჩუსინის გადმოცემით, ნიშნობის ბეჭედი „ერთ-ერთი რგოლია იმ

21 მაჩაბელი ნ. 1978. ქორწინების ინსტიტუტი ქართლში. თბილისი.

22 ბარამიძე ნ. 1999. *ფსიქოლოგიური ნარკვევები, წერილები, სტატიები*. აჭარა: ბათუმი.

ჯაჭვისა, რომლითაც დაბმული იყო მოტაცებული ქალი. ამიტომაც საქორწინო ბეჭედს პირველად ატარებდა მხოლოდ ქალი, შემდეგ კი მისი ტარება მამაკაცებმაც დაიწყეს“.

ნ. მაჩაბლის აზრით, ნიშნობისას არსებობდა საქორწინო საქმის მაჭანკალი, რომელიც საქმისთვის გარკვეულ გასამრჯელოს იღებდა. იმავდროულად ქორწინების მეორე, აუცილებელ წინაპირობას ქალის გამზითვება წარმოადგენდა. თუ რა დროიდან იწყებოდა საქართველოში მზითვის ინსტიტუტის წარმოშობა, შესაბამის წყაროებში არ არის მითითებული.

ათენში მზითვზე ქალის მამას, კირიოს უნდა ეზრუნა. მამისთვის შეურაცხმყოფელად ითვლებოდა, თუ ქალიშვილს მზითვით ვერ გაისტუმრებდნენ. მზითვი მოიაზრებოდა ქალის მატერიალური უზრუნველყოფის მექანიზმად. ქმარს მზითვით გამოხატული კაპიტალური ამონაგები თანხით უნდა უზრუნველყო ცოლის შენახვა. მზითვის ფაქტობრივი მესაკუთრე კი მათი შვილი ხდებოდა.

რაც შეეხება რომს, მზითვის განკარგვასთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარი წესები არსებობდა რომშიც. ქმარს ჰქონდა უფლება, განეკარგა მზითვი, თუმცა სამართლებრივად ქალს ეკუთვნოდა. მზითვის შესახებ მოლაპარაკებას მხარეები აწარმოებდნენ. გაყრის შემთხვევაში როგორც საბერძნეთში, ისე რომში, მზითვი ქალს უკან უბრუნდებოდა; თუ ქმარი უარს იტყოდა მზითვის დაბრუნებაზე, ამ შემთხვევაში ქალის მხარე სასამართლოში იწყებდა დავას. ათენში მზითვისგან დამოუკიდებლად ქალს შეეძლო ქმრის სახლში პატარა ქონებაც წაეღო.

მზითვის განკარგვის საკითხი საკმაოდ განსხვავებული იყო სპარტაში. არისტოტელე უარყოფითად აფასებდა, როცა სპარტელი ქალები დიდძალ საკუთრებას ფლობდნენ მზითვის სახით. სხვა წყაროებზე დაყრდნობით, მეცნიერთა ნაწილი უარყოფდა მზითვის არსებობას სპარტაში და მას ქორწინების დროს მხარეთა შორის ქონების თაობაზე დადებულ შეთანხმებად მოიხსენებდა.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ნიშნობის ინსტიტუტი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში საკანონმდებლო წესით იყო რეგლამენტირებული.

მათ შორის საქართველოშიც ნიშნობა სამართლებრივ აქტს წარმოადგენდა და სადავო საკითხების რეგულირების საკითხი დგებოდა მაშინ, როცა ნიშნობით გათვალისწინებული პირობები დაირღვეოდა ქალის ან ვაჟის მხრიდან.

უნდა ითქვას, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოს კანონმდებლობაში ნიშნობის ცნება არ განიხილებოდა. დღევანდელ სამოქალაქო კოდექსში კი კანონმდებლებმა გაითვალისწინეს ტრადიციული ნიშნობის ფორმის აქტუალურობა და ევროპის ცივილიზებული ქვეყნების მსგავსად ნიშნობის საკითხს მიეძღვნა 1109-ე მუხლი, სადაც „ნიშნობა“ შემდეგი სახით არის განმარტებული:

1. დასაქორწინებულ პირთა წინასწარი თანხმობა (ნიშნობა) არ წარმოშობს შემდგომში დაქორწინების ვალდებულებას;

2. ნიშნობა არ არის სასამართლოში იძულებითი დაქორწინების მოთხოვნის შესახებ სარჩელის წარდგენის საფუძველი;

3. ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრები დაუქორწინებლობის შემ-

თხვევაში მხარეებს უკან უბრუნდებათ.²³

რაც შეეხება გერმანულ სამოქალაქო კოდექსს, ნიშნობა ასევე სამართლებრივ ნორმად არის მიჩნეული და შემდეგი სახით განიმარტება – „ნიშნობის ჩაშლისას თუ ქორწინება არ შედგება, მაშინ ნებისმიერ დანიშნულს უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად, შეუძლია მეორე მხარისაგან მოითხოვოს ყველა იმ ნივთის უკან დაბრუნება, რაც მან ამ უკანასკნელს აჩუქა ან ნიშნად გადასცა. საექვოობისას ივარაუდება, რომ უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ ნიშნობა უქმდება ერთ-ერთი დანიშნულის გარდაცვალებით“.²⁴

მიგვაჩნია, რომ ნიშნობის ინსტიტუტის შენარჩუნება წყვილებს შორის კიდევ უფრო გაამყარებს ურთიერთობას, ამას ემატება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1109-მუხლი, რომელიც არეგულირებს „დაუქორწინებლობის შემთხვევაში მიღებული საჩუქრების მხარეებისათვის უკან დაბრუნებას, თუმცა ნიშნობის ჩაშლა წყვილებს შორის გარკვეულ უხერხულობას მაინც წარმოშობს და დავა სასამართლოში გრძელდება.

ვფიქრობთ, დადებით შედეგს გამოიღებს თუ კი, ნიშნობის დროს მხარეებს შორის გაფორმდება წერილობითი შეთანხმება, ისე როგორც საქორწინო კონტრაქტის დროს ხდება, აღნიშნული სიახლის დარეგვა მნიშვნელოვნად შეამცირებს სასამართლო დავებსა და ხელს შეუწყობს ოჯახის შენარჩუნებას.

ამდენად, ოჯახი, საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უჯრე-

დია, სადაც წარმოიშობა და ხორციელდება ოჯახის სხვადასხვა სქესისა და ასაკის წევრთა განსხვავებული და მრავალმხრივი პიროვნული ურთიერთობა, ცალკეული ინდივიდების ყოველდღიური ცხოვრების ორგანიზება, პიროვნების ღირებულებათა ორიენტაციებისა და მოთხოვნების მთელი სისტემის ჩამოყალიბება.²⁵ შესაბამისად, ოჯახის ინსტიტუტის გაძლიერების მიზნით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ახალგაზრდა თაობის ცნობიერების ამაღლება და მეტი ინფორმირებულობა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ოჯახის როლი მოზარდი თაობის ღირსეულად აღზრდაში, საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური პროგრესის უზრუნველყოფაში, სწორედ ოჯახში ყალიბდება ადამიანის ხასიათის საფუძვლები. სახელმწიფოს უმთავრეს მიზანს უნდა წარმოადგენდეს მტკიცე და სრულფასოვანი ოჯახის განვითარების ხელშეწყობა, სადაც ზნეობრივად ჯანსაღი და მატერიალურად უზრუნველყოფილი საზოგადოების წევრები იცხოვრებენ ჰარმონიულ და მშვიდ გარემოში.

23 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
24 Семейный кодекс Российской Федерации. 1995.

25 მ. ბუქია, გ. წულაძე, ზ. გოქაძე, გ. მელაძე – ოჯახის კრიზისი საქართველოში და საოჯახო პოლიტიკის პრინციპები, თბილისი, 1996, გვ. 7-8.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარამიძე ნ. 1999. ფსიქოლოგიური ნაჩვენებები, წიგნები, სტატიები. აჭარა: ბათუმი.
2. ბეჯია, მ. წულაძე, გ. გოქაძე, ზ. მელაძე, გ. 1996 – ოჯახის კრიზისი საქართველოში და საოჯახო პოლიტიკის პრინციპები, თბილისი, გვ. 7-8
3. დოლიძე ი. 1966. ქართული სამართლის ძეგლები. თბილისი: მეცნიერება.
4. მაჩაბელი ნ. 1978. ქორწინების ინსტიტუტი ქართლში. თბილისი
5. მეტრეველი ვ. სურგულაძე ნ. 2011. რომის სამართლის ძეგლები იუსტინიანეს დიგესტები. წიგნი ოცდამესამე. თბილისი: ნეკერი.
6. სახოკია თ. 1912. ქორწილი სამეგრელოში. თბილისი: ეთნოგრაფიული გამოკვლევა.
7. ფუტყარაძე ი. 1977. ქორწინების წესები ქართული სამართლის მიხედვით. თბილისი: ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტების შრომები
8. ფურცელაძე დ. 1964. სამართალი ბატონიშვილის დავითისა. თბილისი.
9. შენგელია რ. შენგელია ე. 2009. საოჯახო სამართალი. თბილისი: მერიდიანი
10. ჩიკვაშვილი შ. 2000. საოჯახო სამართალი. თბილისი: მერიდიანი
11. ჯავახიშვილი ი. 1928. ქართული სამართლის ისტორია. თბილისი: თავართქილაძის გამოცემა, წიგნი მეორე.
12. ჯავახიშვილი ი. 1983. თხზულებანი. ტომი VII. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა
13. ჯავახიშვილი ი. 1984. თხზულებანი, ტომი VII. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.
14. Friedl R. Stainer F. 1996. Der Konkubinats im kaiserzeitlichen Rom
15. Kunkel W. 1990. Römische Rechtsgeschichte. 12. Auflage. Köln.
16. Raumer F. 1923. Rom Staatsverfassung. München
17. Ulbricht W. 1965. Familiengesetzbuch der Deutschen Demokratischen Republik.
18. Дигесты Юстиниана. 1 1997// Памятники римского права. М.
19. Морган. Л. 1936. Древнее общество. Москва
20. Каримова З.Х., 2007. Внебрачное репродуктивное поведение как объект социолого-демографического исследования. Автореферат. Уфа
21. Оганесян С.А. 1973. Брачно-семейное право раннефеодальное Армении в IV-XI вв. Автореферат. Ереван

22. Рузакова О. А .2001. Семейное право. Москва: Юрист
23. საკანონმდებლო ლიტერატურა
24. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 1997
25. საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კონსტიტუცია (786, 24.08.1995) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა: <https://matsne.gov.ge/>
26. Семейный кодекс Российской Федерации. 1995

**მედიცინისა და
ჯანმრთელობის
მეცნიერებები**

SOME MECHANISMS OF ADAPTIVE PROCESSES

Mariam Gagnidze
E-mail:
marigagnidze48@mail.ru



Mariam Gagnidze

Student of the Faculty of Tbilisi Humanitarian Teaching University, Psychology

Supervisor: Martha Kldiashvili, Doctor of Biology

ABSTRACT

Not only all living organisms but also any technical device has the ability to perceive and respond to information from the environment. But the ability to adapt, depending on the situation, is unique to living things.

Any external or internal impact on the body that requires a response is stress. In order to realize the potential of the genetic program, it is necessary for the organism to be exposed to the influence of stress factors in the moderate range throughout its development.

Environmental pollution, which is very close to critical, actualizes the study of the body's adaptive response to this stress. Particularly acute manifestations are observed in children.

The rules for providing information and the way a child perceives it have changed. Acceleration of perception and development of skills towards diversity is noted. Negative consequences include the loss of cognitive functions, the emergence of moral and ethical principles, mental infantilism. It is suggested that the mechanism of such changes is epigenetic processes – as an adaptive response of the developing organism to social stress.

KEYWORDS

Epigenetics, Adaptability, Adaptation, Stress factors, Stress, Genome, Bisphe-nol A

ადაპტაციური პროცესების ზოგიერთი მექანიზმები

მარიამ გაგნიძე
ე. ფოსტა:
marigagnidze48@mail.ru



მარიამ გაგნიძე

ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტი, ფსიქოლოგია
ხელმძღვანელი: მაია კვინაშვილი, ბიოლოგიის დოქტორი

აბსტრაქტი

გარემოდან ინფორმაციის აღქმის და მასზე რეაგირების უნარი გააჩნია არა მხოლოდ ყველა ცოცხალ ორგანიზმს, არამედ ნებისმიერ ტექნიკურ მოწყობილობას. მაგრამ ადაპტირების უნარი, სიტუაციის მიხედვით, დამახასიათებელია მხოლოდ ცოცხალი არსებებისათვის.

ორგანიზმზე ნებისმიერი გარეშე ან შინაგანი ზემოქმედება, რომელიც საჭიროებს საპასუხო რეაქციას, წარმოადგენს სტრესს. გენეტიკური პროგრამის პოტენციალის რეალიზაციისთვის აუცილებელია, რომ ორგანიზმმა მთელი თავისი განვითარების მანძილზე განიცადოს სტრეს-ფაქტორების ზემოქმედება ზომიერ დიაპაზონში.

გარემოს დაბინძურება, რომელიც ძალიან ახლოსაა კრიტიკულთან, ახდენს ამ სტრესზე ორგანიზმის ადაპტაციური პასუხის შესწავლის აქტუალიზირებას. განსაკუთრებით მწვავე გამოვლინებები აღინიშნება ბავშვებში.

შეიცვალა ინფორმაციის მიწოდების წესი და ბავშვის მიერ მისი აღქმის გზა. აღინიშნება აღქმის დაჩქარება და მრავალსახეობისადმი უნარის განვითარება. უარყოფით შედეგებს მიაკუთვნებენ კოგნიტიური ფუნქციების დაკარგვას, მორალური და ზნეობრივი პრინციპების, ფასეულობების ორიენტირების დამახინჯებას, ფსიქიკური ინფანტილიზმის გაჩენას. ვარაუდობენ, რომ ასეთი ცვლილებების მექანიზმს წარმოადგენენ ეპიგენეტიკური პროცესები – როგორც განვითარებადი ორგანიზმის ადაპტიური პასუხი სოციალურ სტრესზე.

საკვანძო სიტყვები

ეპიგენეტიკა, ადაპტირების უნარი, ადაპტაცია, სტრეს-ფაქტორები, სტრესი, გენომი, ბისფენოლი A

მსოფლიო სწრაფად იცვლება. სრულყოფილი ცხოვრება ჩვენს ულამაზეს და, როგორც აღმოჩნდა, ნაზ პლანეტაზე, მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული.

გარემოდან ინფორმაციის აღქმის და მასზე რეაგირების უნარი გააჩნია არა მხოლოდ ყველა ცოცხალ ორგანიზმს, არამედ ნებისმიერ ტექნიკურ მოწყობილობას სენსორული გადამწოდით. მაგრამ ადაპტირების უნარი, სიტუაციის მიხედვით, დამახასიათებელია მხოლოდ ცოცხალი არსებებისათვის.

გ. სელიეს კონცეფციის თანახმად, ორგანიზმზე ნებისმიერი გარეშე ან შინაგანი ზემოქმედება, რომელიც საჭიროებს საპასუხო რეაქციას, წარმოადგენს სტრესს. თუ ზემოქმედება საჭიროებს ორგანიზმის სისტემების გადაჭარბებულ დაძაბვას, რაც იწვევს პათოლოგიურ ცვლილებებს, მაშინ ამ მოვლენას ეწოდება დისტრესი. ფიზიკურ-ქიმიური და გარემოს სხვა ფაქტორების გარდა, ცალკე გამოყოფენ სოციაურ-ეკონომიკურ სტრესულ ფაქტორებს, რომლებიც ახდენენ ზემოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე ფსიქოსომატიკის მექანიზმების მიხედვით.

განასხვავებენ ადაპტაციის ორ სახეობას. თუ პირველი მოკლევადიანი ადაპტაცია აღინიშნება უშუალოდ გამაღიზიანებლის მოქმედების დაწყების შემდეგ და რეალიზდება უკვე არსებული ფიზიოლოგიური მექანიზმების საფუძველზე, მეორე გრძელვადიანი ადაპტაცია თანდათან ვითარდება, ორგანიზმზე სტრეს-ფაქტორების ხანგრძლივი ან მრავალჯერადი მოქმედების შედეგად. გრძელვადიანი ადაპტაციის დამახასიათებელი ნიშნებია მოლეკულურ დონეზე გარდაქმნები, რაც ზრდის ენერგეტიკული და პლასტიკუ-

რი ცვლის, ასევე მარეგულირებელი სისტემების მუშაობის ეფექტურობას.

ვარაუდობენ, რომ ძირითად მექანიზმს, რომელიც ახდენს გრძელვადიანი ადაპტაციის რეალიზებას, წარმოადგენს ეპიგენეტიკური რეგულირება.

ეპიგენეტიკა შეისწავლის გენის ფუნქციების მემკვიდრეობას, რომლებიც არ არის დაკავშირებული დნმ-ის პირველად სტრუქტურასთან. ეპიგენეტიკის მექანიზმებით მემკვიდრეობა განისაზღვრება არა დნმ და რნმ მოლეკულებით, არამედ მათი უშუალო გარემოთი. დღეს ეპიგენეტიკური გავლენის ძირითად ტიპად ითვლება დნმ-ის მეთილირება, ჰისტონის ცილების მოდიფიკაცია, გენომის რემოდელირება და მიკრო-რნმ გენების ექსპრესია. ბოლო დროს გამოვლენილია ეპიგენეტიკური მექანიზმების მონაწილეობა ისეთ პროცესებში, როგორცაა იმპრინტინგი, გენის დუმლილი, X-ქრომოსომების ინაქტივაცია, ტერატოგენები, კანცეროგენები.

მკვლევარებისთვის განსაკუთრებით საინტერესოა ადრეული ონტოგენების, დაბერების ეპიგენეტიკური მექანიზმების შესწავლა, აგრეთვე ფსიქიკური დაავადების ეთიოლოგიაში ეპიგენეტიკური ფაქტორების მონაწილეობა.

ცნობილია, რომ გენომის მოდიფიკაციის შესაძლებლობები წარმოადგენენ ევოლუციის საფუძველს – გარემოსთან ადაპტაციისა, ადაპტაციური თვისებების განვითარებისა.

ეჭვგარეშეა, რომ გენეტიკური პროგრამის პოტენციალის რეალიზაციისთვის აუცილებელია, რომ ორგანიზმმა მთელი თავისი განვითარების მანძილზე განიცადოს სტრეს-ფაქტორების ზემოქმედება ზომიერ დიაპაზონში.

გარემოს დაბინძურება, რომელიც ძალიან ახლოსაა კრიტიკულთან, ახდენს ამ სტრესზე ორგანიზმის ადაპტაციური პასუხის შესწავლის აქტუალიზირებას. განსაკუთრებით მწვავე გამოვლინებები აღინიშნება ბავშვებში ეკოლოგიურად არახელსაყრელ რაიონებში. ვლინდება ფიზიკური განვითარების დარღვევა, ფუნქციური რეზერვების შემცირება და ავადობის შესაბამისი ზრდა.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენენ „ენდოკრინული დიზრატორები“ (გამანადგურებლები) – ნივთიერებები, რომლებიც ამახინჯებენ ჰორმონალურ რეგულაციას. ასე, პლასტმასის ნაწარმის წარმოებისას გამოიყენება გამამყარებელი – ბისფენოლი A. მას შეიცავს ყველა პლასტიკური ჭურჭელი და იგი ფარავს შიგნიდან მეტალის ქილებს, ასევე არის სტომატოლოგიურ ბჟენებში. ბისფენოლი A აღმოჩენილია ამნიონურ სითხეებში, დედის რძეში, ახალშობილების სისხლში. ჰარვარდის მკვლევარების ჯგუფმა დაადგინა, რომ ბისფენოლი A აფერხებს კვერცხუჯრედების მომწიფებას და ამით იწვევს უნაყოფობას, ასევე ზრდის კვერცხუჯრედებში ქრომოსომული ანომალიების სიხშირეს.

კიდევ ერთი საგანგაშო ფაქტი ეხება იმას, რომ ბისფენოლი A არღვევს ესტროგენების რეცეპტორების მაკოდირებელი გენების ნორმალურ მეთილირებას. ამის გამო, მამრი თაგვები იბადებოდნენ „ქალის“ ხასიათით – დამჯერი და მშვიდი, ქრებოდა განსხვავება მამრებისა და მდედრების ქცევაში. ბისფენოლი A-ს გააჩნია ძლიერად გამოხატული ესტროგენული აქტივობა, ემბრიონის განვითარების დროს მას შეუძლია მეთილირების პროფილის შეცვლა, ესე იგი ზოგიერთი გენების

აქტივობისა. შედეგად, ზრდასრულ ასაკში, იზრდება გარკვეული დაავადებების (სიმსუქნე, დიაბეტი და ა.შ.) განვითარების რისკი.

მაგრამ ყველაფერი ასე შავბნელ ფერებში არ არის, ცნობილია საპირისპირო მაგალითები. მწვანე ჩაის რეგულარულმა გამოყენებამ, რომელიც შეიცავს ეპიგალოკატეჟინ-3-გალატს, შეიძლება შეამციროს ონკოდაავადებების რისკი, ვინაიდან ეს ნივთიერება, ახდენს რა დნმ-ის დემეთილირებას, თრგუნავს სიმსივნური უჯრედების ზრდას.

გარკვეულ ინტერესს იწვევს გენისტიკა, რომელსაც შეიცავს სოიო. ვარაუდობენ, რომ გენისტიკა ამცირებს მიდრეკილებას ზოგიერთი ასაკობრივი დაავადებების მიმართ.

ბევრი საკვები პროდუქტი შეიცავს კომპონენტებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ეპიგენეტიკურ პროცესებზე. ასე, ფოლიუმის მჟავა B12 ვიტამინთან და ამინომჟავა მეთიონინთან ერთად წარმოადგენს მეთილის ჯგუფების დონორს, რაც აუცილებელია განვითარებადი ორგანიზმისათვის.

ცნობილია, რომ ორსულობის პერიოდი და სიცოცხლის პირველი თვეები ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანის ონტოგენეზში. სახელმძღვანელოებში მოყვანილი მონაცემების თანახმად, ამ პერიოდში საფუძველი ეყრება ადამიანის არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ ფსიქიკურ ჯანმრთელობას. ნეირობიოლოგის, პ. შპორკას აზრით, ხანდაზმულობის ასაკში ჩვენ ჯანმრთელობაზე ხანდახან უფრო ძლიერად მოქმედებს ჩვენი დედების რაციონი ორსულობის პერიოდში, ვიდრე საკვები ცხოვრების მიმდინარე მომენტში. ეს ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ როგორ შეიძლება არ დაეთანხმო ფაქტებს?

ეპიგენეტიკა ასევე დაგვეხმარა იმის გაგებაში, თუ რატომ არის ზოგი ადამიანი ფსიქოლოგიურად გამძლე, ზოგი კი პანიკისა და დეპრესიისკენ არის მიდრეკილი.

მ. მიკიმ და მისმა კოლეგებმა ჩაატარეს ექსპერიმენტი ვირთხებზე, რომელიც ცნობილია როგორც „licking and grooming“ (გალოკვა და მოვლა). ცხოველთა დნმ-ის კვლევამ აჩვენა, რომ ახალშობილებში, რომლებსაც დედები არ ლოკავდნენ, მოხდა ნეგატიური ცვლილებები გიპოკამპში, გამოვლინდა სტრესის ჰორმონებისადმი რეცეპტორების რაოდენობის შემცირება. ცხოველების ამ ჯგუფში, სიტუაციები, რომლებსაც მშვიდად იტანდა საკონტროლო ჯგუფი, იწვევდა ძლიერ სტრესს. ანალოგიური სიტუაციები შეიმჩნევა ადამიანთა საზოგადოებაში. ბავშვთა მრავალრიცხოვანმა გამოკვლევებმა, რომლებმაც დაკარგეს მშობლის მზრუნველობა ადრეულ ბავშვობაში ან რაიმე სახის ძალადობა განიცადეს, აჩვენა, რომ ისინი იზარდებოდნენ ნერვული სისტემის ამა თუ იმ დამახინჯებული ფუნქციით. ეს ცვლილებები ეპიგენეტიკურად იყო დაფიქსირებული ნეირონებში. ყველა ასეთ ბავშვს ახასიათებდა არაადეკვატური რეაქცია სუსტ გამაღიზიანებლებზეც კი. ყველაფერი ეს მომავალში ახდენდა მიდრეკილების ფორმირებას ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, სუიციდის და სხვ. მიმართ.

ცნობილია, რომ გარემო, განსაკუთრებით ბავშვობაში, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კოგნიტიურ შესაძლებლობებსა და ემოციურ სფეროზე. დადგენილია, რომ ჩვილთა გამდიდრებული გარემო ხელს უწყობს ნეიროგენეზის შენარჩუნებას მთელი ცხოვრების განმავლობაში და არეგულირებს მთელი რიგი გენების ექსპ-

რესიას, რომლებიც განსაზღვრავენ ტვინის მუშაობის ეფექტურობას. ექსპერიმენტულ მონაცემებზე დაყრდნობით, მეცნიერები ცდილობენ განახორციელონ კორექცია თუ არა, თავის ტვინის განითარების პროფილაქტიკის მცდელობები მაინც. ადამიანის განვითარების დაავადებებს მიაკუთვნებენ ინტელექტუალურ და კომუნიკაბელურობის დარღვევებს, აუტიზმის სპექტრის დარღვევებს, ყურადღების დეფიციტის სინდრომს ჰიპერაქტიურობით, სწავლების პრობლემებს, მოძრაობით დარღვევებს, ეპილეფსიასა და შიზოფრენიას.

საგანმანათლებლო პროცესის დღევანდელი ციფროვიზაცია გულისხმობს დროის გაზრდას, რომელსაც ბავშვი მონიტორთან გაატარებს. შეიცვალა ინფორმაციის მიწოდების წესი და ბავშვის მიერ მისი ალქმის გზა. აღინიშნება ალქმის დაჩქარება და მრავალსახეობისადმი უნარის განვითარება. უარყოფით შედეგებს მიაკუთვნებენ კოგნიტიური ფუნქციების დაკარგვას (ინფორმაციის ზედაპირული ალქმა, აზროვნების უნარის დაკარგვა, გონებრივი შრომისუნარიანობის, ფაქტების კრიტიკული შეფასების და ინფორმაციის ნაკადში ორიენტირების უნარის შემცირება), მორალური და ზნეობრივი პრინციპების, ფასეულობების ორიენტირების დამახინჯებას, ფსიქიკური ინფანტილიზმის გაჩენა. ვარაუდობენ, რომ ასეთი ცვლილებების მექანიზმს წარმოადგენენ ეპიგენეტიკური პროცესები – როგორც განვითარებადი ორგანიზმის ადაპტიური პასუხი სოციალურ სტრესზე. საგანმანათლებლო სისტემისადმი ადაპტაციამ შეიძლება გავლენა იქონიოს ადამიანის გენომზე.

ნაჩვენებია, რომ არახელსაყრელი ეკოლოგიური მდგომარეობის კომბინა-

ცია ფსიქოლოგიური და პედაგოგიური პრობლემების არსებობასთან აძლიერებს გენომის არასტაბილურობის მაჩვენებლებს როგორც ბავშვებში, ასევე მასწავლებლებში.

გარემოს მოთხოვნები განსაზღვრავს ადაპტაციური ცვლილების მიმართულებას. არც თუ ისე შორეულ წარსულში ადამიანისთვის მნიშვნელოვანი იყო ჰქონოდა კარგი ფიზიკური

შესაძლებლობები, დღესდღეობით ეს არ არის აქტუალური ქალაქში ცხოვრების და სიცოცხლის შენარჩუნებისათვის.

რთულია ჩვენში მომხდარი ცვლილებების შეფასება. ამისთვის დროა საჭირო... თუმცა, ორგანიზმის უნარი მოახდინოს ადაპტირება უამრავი რაოდენობის სტრეს-ფაქტორების მოქმედებაზე, თავისთავად ოპტიმისტურია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Dimauro I. et all. Exercise, redox homeostasis and the epigenetic landscape. Redox Biol. 2020; 35; 101477. DOI: 10.1016/j. redox. 101477.
2. Bale t, L., Epigenetic and Transgeneration Reprogramming of Brain Development. Nat. Rev. Neurosci. 2015.
3. Moasavi A., Arcecani A. A., Role of Epigenetic in Biology and Human Diseases. Iran Biomed J. 2016.
4. Mulligan C. J. Early Environment, Stress and Epigenetics of Human Health. Annu. Rev. Antropol. 2016; 20(5).
5. Шпорк П., Читая между строк ДНК. М. 2014.
6. Ball N. j., Enriched Environments as a Potential Treatment for developmental Disorders: A Critical Assessment. Front Psychol. 2019.

DIAGNOSTIC TESTS FOR HEREDITARY MICROSPHEROCYTOSIS

Ciuri Eradze
E-mail:
ciurieradze@gmail.com



Ciuri Eradze

Academic Doctor of Biology

Manana Dolaberidze

Doctor of Biology

ABSTRACT

The aim of the given work is to study complex researches on patients with various types of hereditary microspherocytosis and their practically healthy parents and closest relatives (family) in order to reveal the criteria of differentiation of expressed and latent forms of the disease.

KEYWORDS

Congenital microspherocytosis, Neutral fatty acids, (Na⁺⁺K⁺) ATPase activity

მემკვიდრეობითი მიკროსფეროციტოზის სადიაგნოზო ტესტები

ციური ერაძე
ე. ფოსტა:
ciurieradze@gmail.com



ციური ერაძე
ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი

მანანა დოლაბერიძე
ბიოლოგიის დოქტორი

საკვანძო სიტყვები

თანდაყოლილი მიკროსფეროციტოზი, ნეიტრალური ცხიმოვანი მჟავები, (Na⁺+K⁺) ატფ-აზური აქტივობა

შესავალი

მემკვიდრეობითი მიკროსფეროციტოზი წარმოადგენს პოლიმორფულ დაავადებას. ცნობილია დაავადების მძიმე, საშვალო და მსუბუქი ფორმები. ამასთანავე აღწერილია სრულიად უსიპტო ფორმებიც კლინიკურად ჭანმრთელ პირებში, რომლებიც გენეტიკური გამოთვლის საფუძვლზე მიკროსფეროციტოზის გენის მატარებლები უნდა იყვნენ. მკვლევარების გარკვეული ნაწილი თანდაყოლილი მიკროსფეროციტოზის პათოგენეზში მთავარ მიზეზად მემბრანის ცილოვანი ნაწილის დარღვევებს მიიჩნევს, მეორე ნაწილი მემბრანის ლიპიდურ ფრაქციებში განსაკუთრებით ფოსფოლიპიდებში და ქოლესტერინში არსებულ ცვლილებებს.

შრომის მიზანი: ზემოთქმულიდან გამომდინარე შრომის მიზანს შეადგე-

ნდა გამოგვეჩინა მემკვიდრეობითი მიკროსფეროციტოზის უფრო ზუსტი საშვალეები რის გამოც შევისწავლეთ ერითროციტის მემბრანის ზოგიერთი ფუნქციური მახასიათებლები. კერძოდ (Na⁺+K⁺) ატფ-აზური აქტივობა, ნეიტრალური ლიპიდები და პლაზმის ელექტროლიტები (Na⁺, K⁺)-ის შემცველობა, რაც დაპირისპირებული იყო ერითროციტების მორფოლოგიურ თავისებურებებთან, რაოდენობრივ ერითროციტულ მაჩვენებლებთან, კლინიკურ-ჰემატოლოგიურ სტატუსთან და გენეტიკურ ვარიანტებთან.

გამოსაკვლევი მასალა: გამოკვლეული იყო თანდაყოლილი მიკროსფეროციტოზით დაავადებული კლინიკური და ამბულატორიული ავადმყოფები და პრაქტიკულად ჭანმრთელი მშობლები და ახლო ნათესავები.

მიღებული შედეგები: კვლევის საფუძველზე დადგინდა რომ მემკვიდრე-

ობითი მიკროსფეროციტოზის კლინიკური ფორმების დასადგენად და ლატანტური ფორმების გამოსამჟღავნებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერითროციტის მემბრანის ნეიტრალური ლიპიდების ფრაქციული შემადგენლობის შესწავლას და (Na⁺+K⁺) ატეფაზური აქტივობის განსაზღვრას, ვინაიდან მათი მომატება დამახასიათებელია მემკვიდრეობითი მიკროსფეროციტოზის ყველა ფორმისთვის.

დასკვნა

1. გამოვლენილია მემკვიდრეობითი მიკროსფეროციტოზის კლინიკური პოლიმორფიზმი და გენეტიკური ჰეტეროგენულობა ქართულ პოპულაციაში.

2. დადგენილია, რომ ერითროციტის მემბრანის (Na⁺+K⁺) ატეფაზური აქტივობისა და თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების შეფარდებითი შემცველობის მომატება ახასიათებს მემკვიდრეობითი მიკროსფეროციტოზის ყველა გენოტიპს და რჩება სპლენექტომიის შემდეგაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Manciu S, Matei E, Trandafir B. Hereditary Spherocytosis – Diagnosis, Surgical Treatment and Outcomes. A Literature Review. *Chirurgia (Bucur)*. 2017 Mar-Apr; 112(2):110-116. [PubMed]
2. Mariani M, Barcellini W, Vercellati C, Marcello AP, Fermo E, Pedotti P, Boschetti C, Zanella A. Clinical and hematologic features of 300 patients affected by hereditary spherocytosis grouped according to the type of the membrane protein defect. *Haematologica*. 2008 Sep; 93(9):1310-7. [PubMed]
3. Ciepiela O. Old and new insights into the diagnosis of hereditary spherocytosis. *Ann Transl Med*. 2018 Sep; 6(17):339. [PMC free article] [PubMed]
4. Comité Nacional de Hematología. Donato H, Crisp RL, Rapetti MC, García E, Attie M. [Hereditary spherocytosis. Review. Part II. Symptomatology, outcome, complications, and treatment]. *Arch Argent Pediatr*. 2015 Apr; 113(2):168-76. [PubMed]
5. Christensen RD, Yaish HM, Gallagher PG. A pediatrician's practical guide to diagnosing and treating hereditary spherocytosis in neonates. *Pediatrics*. 2015 Jun; 135(6):1107-14. [PMC free article] [PubMed]

**საბუნებისმეტყველო
მეცნიერებები**

MODERN RESEARCH METHODS USED FOR SOIL BIOREMEDIATION OF AGRICULTURAL LANDS POLLUTED BY CHLORPYRIFOS-CONTAINING PESTICIDES

Marine Shavlakadze
E-mail:
marishavlakadze@gmail.com



Marine Shavlakadze¹, Giorgi Natroshvili², Levan Itriashvili³, Kakha Didebulidze⁴, Ana Gujabidze⁵
Tbilisi Humanitarian Teaching University¹, Georgian Technical University^{2,3}, Agricultural University of Georgia^{4,5}

ABSTRACT

This review is focused on the latest developments in the field of bioremediation of Chlorpyrifos (CP) along with its physicochemical properties, toxicity, fate, and conventional (UV-Visible spectroscopy, FTIR, NMR, GC-MS, etc.) and advanced detection methods (Biosensors and immunochromatography-based methods) from different environmental samples. Apart from it, this review explores the role of metagenomics, system biology, in-silico tools and genetic engineering in facilitating the bioremediation of CP. One of the objectives of this review is to educate policymakers with scientific data that will enable the development of appropriate strategies to reduce pesticide exposure and the harmful health impacts on both Human and other environmental components. Moreover, the paper provides up-to-date developments related to the sustainable remediation of CP.

KEYWORDS

Chlorpyrifos, Bioremediation, Lactobacillus

Introduction

Chlorpyrifos (CP) is a chlorinated, organophosphorus, wide-spectrum insecticide and nematicide which has been used for controlling pests on a wide variety of plants, including maize, cotton, almond, citrus, tomatoes, and fruit trees. The worldwide chlorpyrifos market is expected to grow in forthcoming years, as global food demand is forecasted to enhance by 70% in the next 25–30 years to feed the exponentially growing population. The same situation is case with the insects and pests that will increase crop damage with changing climatic patterns. On average, every year 2 million tons of pesticides are used globally to avoid crop damage. Still merely, about 0.1% of these chemicals act on targeted species, and about 90–99% remain in the environment because of their recalcitrant and persistent nature. Finally, they leach into soil and water bodies, thus polluting the pristine environment. Similarly, the extensive, disproportionate, and excessive application of chlorpyrifos affects crop quality and facilitates the emergence of insect resistance. The half-life of chlorpyrifos is about 60–120 days and varies depending on many environmental parameters of the surrounding environment. However, a few percent of these chemicals are lost through photolysis, hydrolysis, evaporation, and bioremediation. Several factors such as temperature, pH, soil type, and pesticide concentration affect the photolysis rate. A study by Keerthana et al. (2021) concluded that tropical soils have a greater rate of photodegradation/photolysis. Hydrolysis of chlorpyrifos forms more toxic intermediates such as 3, 5, 6-trichloropyridinol (TCP), Chlorpyrifos Oxon (CPO), diethyl thiophosphate,

and 3, 5, 6-trichloro-2-methoxy pyrimidine and are toxic to non-targeted organisms such as humans and animals and indeed to most of the microbial communities. In neutral and acidic environments, CP is resistant to hydrolysis. As a result, the odds of hydrolysis increase as the pH rises. According to the WHO classification of pesticides, chlorpyrifos comes under class II of pesticides, which are moderately harmful to humans and animals and possess carcinogenic properties. Looking at the grave danger of the CP, it becomes imperative to detect and degrade this pollutant from the environment. Several traditional methods of degradation have been in use for a long time, such as incineration, volatilization, and photodegradation, but these methods fail to thoroughly remediate the pesticide and its metabolite from the environment. Apart from it, methods such as ultrasonication, nanoparticle-based degradation, and UV-degradation have been used to degrade CP and its metabolite TCP but are quite ineffective in completely removing the pollutant. Looking at the constraints faced in several remediation approaches, scientists shifted to microbial-based bioremediation of xenobiotics, which proves to be the most efficient, economical, and sustainable method of removal of pollutants from the environment. Bioremediation explores the natural capability of microorganisms to utilize the pesticide as its carbon source by sensitizing microbes using bioaugmentation and biostimulation methods. Several microbes have been isolated to date with the potential to degrade chlorpyrifos, such as *Pseudomonas*, *Bacillus*, *Klebsiella*, *Arthrobacter*, *Enterobacter*, *Xanthomonas*, etc. these microbes utilize the CP and its degraded metabolites.

Apart from degradation, detecting CP concentration as a contaminant in the environment is necessary to understand its harmful impact. Recently, the most frequently used methods for detecting CP in the samples include GC-MS, LC-MS, UV-Vis spectrophotometer, and NMR. However, these methods have several complexities, such as tedious pre-treatment steps and a complex interface making real-time analysis quite difficult. The chlorpyrifos pesticide has several negative impacts on human and environmental health. Chlorpyrifos affects the central nervous system of the target species by phosphorylating acetylcholinesterase, which inhibits its function at the synapse of neurons as well as in the plasma. As a result, acetylcholine builds up at the neuron synapse, causing the target insect to die. CP not only kills the pests it is supposed to kill but also interacts with soil microbes, resulting in a shift in microbiomes. Human exposure to CP during pregnancy contributes to neonatal death or abnormal neurological development in the newborn. Chlorpyrifos is banned in most of the developed nations to safeguard the environment, but it is used mainly in developing countries like India and China as it doesn't hamper the seed germination activity and acts on a broad spectrum of insects and pests, and is economically competitive and readily available. Through an extensive literature survey, we found that there are reviews published on chlorpyrifos between the year 2015–2022 highlighting how badly this contaminant has impacted our environment.

Articles on the adverse impact of CP on different organisms are available, and most of them deal with the traditional methods of bioremediation and conven-

tional detection methods such as GC-MS, LC-MS, HPLC, etc. In this review, we discussed the physicochemical properties of CP and its worldwide application, the latest development related to the toxicity of CP on different organisms, and its environmental fate. We also covered the traditional and advanced methods for detecting pesticides like CP, and possible advanced microbes-mediated remediation strategies to fill the literature gap. The review also covers the mechanism microbes adapt to degrade chlorpyrifos and the genes and enzymes of microbes involved in the process. To narrow the literature gap, the role of gene-editing tools such as CRISPR, advanced metagenomics, and in-silico tools in predicting the compound formed after degradation is also covered.

Biodegradation of chlorpyrifos by lactic acid bacteria during kimchi fermentation

We examined the role of microorganisms in the degradation of the organophosphorus (OP) insecticide chlorpyrifos (CP) during kimchi fermentation. During the fermentation of kimchi, 30 mg L⁻¹ of CP was added and its stability assayed during fermentation. CP was degraded rapidly until day 3 (83.3%) and degraded completely by day 9. Four CP-degrading lactic acid bacteria (LAB) were isolated from kimchi fermentation in the presence of 200 mg L⁻¹ CP and were identified as *Leuconostocmesenteroides* WCP907, *Lactobacillus brevis* WCP902, *Lactobacillus plantarum* WCP931, and *Lactobacillus sakei* WCP904. CP could be utilized by these four strains as the sole source of carbon and phosphorus. Coumaphos (CM), diazinon (DZ),

parathion (PT), and methylparathion (MPT) were also degraded by WCP907, WCP902, WCP931, and WCP904 when provided as sole sources of carbon and phosphorus.

Biodegradation of two organophosphorus pesticides in whole corn silage as affected by the cultured *Lactobacillus plantarum*

Biodegradation of the pesticides is considered as one of the safest and cheapest ways of their neutralization. The aim of the present study was to reveal if the inoculated Lactic acid bacteria widely used in silage could provide beneficial safety to guarantee dairy feedstuffs and fresh milk. Organophosphorus pesticides (OPPs) degradation in whole corn silage was investigated. Two OPPs, chlorpyrifos and phorate, were added to the whole corn, which was inoculated with *L. plantarum* 1.0315, *L. plantarum* 1.0624, *L. plantarum* 1.0622 and their combination at room temperature for 10 weeks. OPPs residues in the whole corn silage at different weeks were analyzed by gas chromatography after OPPs extraction and purification. The degradation rate constants were calculated according to the OPPs residues results at different fermentation stage. The data showed that the inoculated microorganisms and strain combination exhibited obvious acceleration on OPPs degradation as the wild microorganisms did and resulted in decreased levels of OPPs from 24.9 to 33.4 %. Strains combination brought about greater OPPs degradation than single strain or the wild microorganisms. Compared to phorate, Chlorpyrifos had lower degradation rate constants (0.0274–0.0381

vs. 0.0295–0.0355 week⁻¹) and was more stable. The present result indicates safety benefit of lactic acid bacteria on corn silage besides lactic acid fermentation.

Conclusion

For the biological degradation of pesticides, it is important to understand the molecular mechanisms involved in enzymatic catalysis, which will enable to design new alternatives and/or efficient tools for the treatment of pesticide residues or for the bioremediation of contaminated sites. This information could be used in the future to treat pesticide residues in the field (such as waste resulting after washing pesticide containers), or the obsolete pesticides.

Moreover, in implementing strategies to increase the efficiency of degradation, such as cell immobilization (bacteria or fungi), we may have tools to abate the existence of obsolete pesticides and waste generated, it will reduce the danger of pesticides to the environment and human health.

REFERENCES:

1. Aman Raj, Ashwani Kumar „Recent advances in assessment methods and mechanism of microbe-mediated chlorpyrifos remediation“. <https://doi.org/10.1016/j.envres.2022.114011>
2. Cho KM, Math RK, Islam SM, Lim WJ, Hong SY, Kim JM, Yun MG, Cho JJ, Yun HD. Biodegradation of chlorpyrifos by lactic acid bacteria during kimchi fermentation. *J Agric Food Chem*. 2009 Mar 11;57(5):1882-9. doi: 10.1021/jf803649z. PMID: 19199784.
3. Zhang, YH., Xu, D., Zhao, XH. et al. Biodegradation of two organophosphorus pesticides in whole corn silage as affected by the cultured *Lactobacillus plantarum*. *3 Biotech* 6, 73 (2016). <https://doi.org/10.1007/s13205-016-0364-3>.
4. Ma. Laura Ortiz-Hernández, Enrique Sánchez-Salinas, Edgar Dantán-González and María Luisa Castrejón-Godínez „Pesticide Biodegradation: Mechanisms, Genetics and Strategies to Enhance the Process“.
5. M. K. Harishankar , C. Sasikala, M. Ramya „Efficiency of the intestinal bacteria in the degradation of the toxic pesticide, chlorpyrifos“. *3 Biotech* (2013) 3:137–142, DOI 10.1007/s13205-012-0078-0.
6. Dhanya M.S. „ADVANCES IN MICROBIAL BIODEGRADATION OF CHLORPYRIFOS“, *J. Environ. Res. Develop. Journal of Environmental Research And Development* Vol. 9 No. 01, July-September 2014.
7. Hindumathy CK* and Gayathri V „Effect of Pesticide (Chlorpyrifos) on Soil Microbial Flora and Pesticide Degradation by Strains Isolated from Contaminated Soil“, Department of Biotechnology, Vinayaka Mission University, Salem, Tamil Nadu, India, *Bioremediation & Biodegradation*, Hindumathy and Gayathri, *J Bioremed Biodeg* 2013, 4:2 <http://dx.doi.org/10.4172/2155-6199.1000178>
8. <http://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC3597131/>
9. http://pubchem.ncbi.nlm.nih.gov/compound/Chlorpyrifos_oxon#section=Top
10. <http://ispub.com/IJMB/4/1/7764>
11. http://www.ijopaasat.in/yahoo_site_admin/assets/docs/11_IJPAST-722-V20N2.144124829.pdf
12. http://www.researchgate.net/publication/255963967_MONITORING_OF_ORGANOPHOSPHORUS_PESTICIDES_AND_BIOREMEDIATION_CHLORPYRIFOS_IN_SOIL
13. <http://www.omicsonline.com/open-access/bioremediation-technology-a-new-horizon-for-environmental-cleanup-0974-8369-4-158.pdf>

14. http://www.ijopaasat.in/yahoo_site_admin/assets/docs/11_IJPAST-722-V20N2.144124829.pdf
15. http://www.ijopaasat.in/yahoo_site_admin/assets/docs/11_IJPAST-722-V20N2.144124829.pdf
16. <http://dSPACE.thapar.edu:8080/dspace/bitstream/10266/2125/1/gagan%2B301001009.pdf>
17. <http://www.ipcbee.com/vol18/16-ICBEM2011M10013.pdf>
18. http://www.researchgate.net/publication/255963967_MONITORING_OF ORGANOPHOSPHORUS PESTICIDES AND BIOREMEDIATION CHLORPYRIFOS IN SOIL
19. <http://www.jerad.org/ppapers/dnload.php?vl=9&is=1&st=232>
20. http://www.scielo.cl/scielo.php?script=sci_arttext&pid=S0718-95162010000100004
21. <http://quechers.cvua-stuttgart.de/>
22. <https://www.mdpi.com/2073-4395/11/4/624/htm>



**თბილისის ჰუმანიტარული
სასწავლო უნივერსიტეტი**

მისამართი:

0144, თბილისი, ბერი გაბრიელ
სალოსის გამზირი #31 (ყოფილი
ჩოღოყაშვილის #53)

ელ.ფოსტა:

thu-posta@thu.edu.ge

ტელეფონი:

(+995 32) 255 24 24

(+995 32) 254 59 09

(+995 32) 254 59 08

**TBILISI HUMANITARIAN
TEACHING UNIVERSITY**

ADDRESS:

0144, Tbilisi, Monk Gabriel Salos Ave.
№31 (Old Cholokashvili Street #53)

EMAIL:

thu-posta@thu.edu.ge

PHONE:

(+995 32) 255 24 24

(+995 32) 254 59 09

(+995 32) 254 59 08